

ისტორიულ-მეცნიერული ჟურნალი №1 (73), 2017, იანვარი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

თურქი
წელწობა

სპარტაკის
ატანყება
რომაული
კატაკლიზმი

ქართული
შესამოსელი
პირვანდელი
ბრწყინვალეობით



ჩიჩენ-იცას
„ფენოვანი“ პირამიდა

„50 პერსონა —
მათ შორის ისტორია“
ტომი XI
„ლეონარდო
და ვინჩი“

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად — 8 ლარი

განსაკუთრებული
სტატუსი მცხეთის
ძეგლებსთვის

მოაზროვნე
ბრინჯაოს ხანიდან

„შავი კატა“ —
მოუხელთებელთა ბანდა

შოთა რუსთაველის 850
წლისთავის
აღნიშვნა კოლონეთში

9 იანვარი მონეტა №8

დაუძოვა
საბანძური თაობებს



ქვემოთაა დაწვრილი
ფიგურისადაც



შეაგროვე 24 უძველესი ქართული მონეტა, განათავსე წიგნ-ალბომში და გახდი უნიკალური განძის მფლობელი



სპილენძი. დავით IV
აღმაშენებელი (1089-1125)

მონეტის სპეციალური ფასი 3,5 ლ
გაზეთთან ერთად 5 ლ

თვეში ერთხელ 1 ახალი მონეტა გაზეთ
„კვირის კალითრასთან“ ერთად



წიგნ-ალბომი და მონეტები იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.



სახიჩვი

ახალი აბაჯი
 ჩიჩენ-იცას „ფენოვანი“ პირამიდა 6
 მოაჯროვნა ბრინჯაოს ხანიდან 7
 განსაკუთრებული სტატუსი მცხეთის კაგებობისთვის 8

მოკლე აბაჯი
 შოთა რუსთაველის 850 წლისთავის აღნიშვნა კოლონიებში 10

ახალი აბაჯი
 ქართული სახალალო წეს-ჩვეულებები 12



ახალი აბაჯი
 7000 წლის ეგვიპტურმა ძალაქმა მცხენიერები გააოცა 16

საბანძუი
 ქართული შუსამოსელი პირგანდელი ბრწყინვალეობი 18

ილსხიიხეილი ისოიი
 ქართული სუროთმოქვრება 26

მოგზაიი თონორობის ჩანაიიხეი
 თუშური წველწლობა 30

ბანოიხიი
 სკარტაპის აჯანწება – რომაული კატაკლოგი 40



სახიჩვი

უახლესი ისტორია
 „მსოფლიოს ღირებუებები“ 48

ახიონინაუი სახიონინაუი
 „შაპი კატა“ – მოუხმლითუბაღლით ბანდა 56

უახლესი კუბუბი
 მცხეთის ჳკარი 64

სსოუბა
 მცხეთის სადარღლი 72

სსოუბა
 კროფსორ გიორგი ჳკახსიფილის
 მოსაბონარი 77

უახლესი ხაჩინა
 სკოლა მთაში 80

უახლესი უახლესი
 ისტორიული ამბები კველი
 შურნალ-გავმთუბიდან 86

სკანსორღი 90

უურნალ „ისტორიანის“ ტველი ნომრების შუბენა შუეიღლიათ
 „ბიბლუსის“ მალაზიათა უსელში. ფასი 2 ლარი

ხელახლოვის სვები

ძვირფასო მკითხველო,

სამწუხაროდ, ლარის კურსმა ჩვენს ჟურნალსაც შეუქმნა პრობლემები. ამ ვითარებაში ჟურნალი ან უნდა გაგვეძვირებინა, ანდა მისი მოცულობა ოდნავ შეგვემცირებინა. მაგრამ რადგან დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ჟურნალის გაძვირება ჩვენს ერთგულ მკითხველს შეუქმნიდა პრობლემებს, ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჟურნალი „ისტორიანი“ ჯერჯერობით თავდაპირველ ფორმატს დავუბრუნოთ (92 გვ.). ექვსი წლის წინ სწორედ ასე დავიწყეთ, შემდგომ მკითხველთა თხოვნით ჟურნალის მოცულობა გაიზარდა. იმედი მაქვს, ფორმატის გაზრდის საკითხს ახლო მომავალში მივუბრუნდებით. ამჟამად კი ჟურნალის რედკოლეგამ მხოლოდ ეს გამოსავალი იპოვა.

ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ კვლავაც უწინდებურად შევეცდებით მრავალფეროვანი მასალების მოწოდებას. ამ ნომერში მოვითხრობთ საახალწლო წეს-ჩვეულებების შესახებ ძველ თბილისსა და საქართველოს კუთხეებში. ცალკე სტატია ეძღვნება თუშეთსა და იქაურ „წელწლობას“, ანუ ახალ წელს თუშური ლუდის თანხლებით. გაგაცნობთ სამეფო და სადელოფლო კოსტიუმების უნიკალურ კოლექციას, რომელთა რესტავრაცია საკმაო ხანს მიმდინარეობდა. სამუშაო ახლახან დასრულდა და უკვე ყველას შეუძლია, სასიკეთო შედეგი სამუშეუმო სივრცეში იხილოს.

სწორედ ახლა, როცა მცხეთის ძეგლებს — ჯვრის მონასტერს, სვეტიცხოველსა და სამთავროს იუნესკომ გაძლიერებული დაცვის სტატუსი მიანიჭა, „ქართული ძეგლების“ ტრადიციულ რუბრიკაში მცხეთის ჯვარს დავათვალიერებთ დეტალურად. რაჭიდან რეპორტაჟი კი მოგვითხრობს მთის სკოლაზე, რომლის ექვსი მოსწავლე და რვა მასწავლებელი სოფელ ველევში ამგრებენ მშობლიურ კუთხეს.

გამორჩეული ადგილი ეკავა საბჭოთა დამნაშავეობის ისტორიაში ბანდას, სახელწოდებით „შავი კატა“, რომლის წევრები კრიმინალთა წრის წარმომადგენლები კი არა, სულ სხვა, მოულოდნელი საზოგადოებრივი ფენიდან გამოსულები ყოფილან. თუმცა მათი კონსპირაციული ოსტატობისა ნებისმიერი ქვეყნის დაზვერვას შეშურდებოდა. სპარტაკის აჯანყების თითქოსდა კარგად ცნობილ ამბავში კი არაერთი ფაქტია დაუზუსტებელი. ეს გახლავთ ჭკუის სასწავლებელი ისტორია ადამიანთა ძლიერებისა და სისუსტის, დაუჯერებელი სიმამაცისა და წარმოუდგენელი შეცდომების შესახებ...



ამ ნომერში მოგიხსნით საახალწლო წეს-ჩვეულებების შესახებ ძველ თბილისსა და საქართველოს კუთხეებში. ცალკე სტატია ეძღვნება თუშეთსა და იქაურ „წელწლობას“

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე როშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩაუა, ნიკოლოზ ხოვერაია

კორექტორები:
ნანა მაჭუარაიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70
e-mail: istoriani@palitra.ge

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

„პალიტრამედის“ ცხელი ხაზი: **219-60-13; 219-60-53**
e-mail: contact@palitra.ge

ჟურნალის გამომწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,
ვებ-გვერდზე: **www.elva.ge**
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მითანა უფასო!

კუკულკანის
პირამიდა
ჩიჩენ-იცაში

ჩიჩენ-იცას „ფანოვანი“ პირამიდა



არქეოლოგებმა დაადასტურეს, რომ აღმო-
საელთ მექსიკაში, კუკულკანის უზარმაზარი,
მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი
პირამიდის კედლებს მიღმა, კიდევ ორი მომ-
ცრო პირამიდა აღმოჩნდა.

ყველაზე პატარა პირამიდა 10-მეტრიანია,
ხოლო მასსა და დიდ პირამიდას შორის კიდევ
არის 30-მეტრიანი პირამიდა. სპეციალისტთა
განცხადებით, აღმოჩენა ადასტურებს, რომ
კუკულკანის მშენებლობა სამ ფაზად იყოფა.

მაიას ცივილიზაციამ ცენტრალური ამე-
რიკა დაიპყრო და პიკს მიაღწია VI საუკუნე-
ში. ახლახან აღმოჩენილი პატარა პირამიდა
550-800 წლებს შორის მონაკვეთში უნდა
იყოს აშენებული.

30-მეტრიანი პირამიდა კი 1930-იან წლებში
აღმოაჩინეს. ის 800-1000 წლებით თარიღდება.
დიდი, კუკულკანის პირამიდა კი 1050-1300
წლებით ის მექსიკის იუკატანის შტატში მდებარე
ჩიჩენ-იცას ვრცელი კომპლექსის ერთ-ერთი
ყველაზე თვალსაჩინო ნაგებობაა. მეცნიერთა
აზრით, აღმოჩენები შესაძლოა გაგრძელდეს.

**რენე ჩავეს სეგურა, მექსიკის ეროვნული
ავტონომიური უნივერსიტეტის მკვლევარი:**
„ის რუსულ მატრიოშკას ჰგავს, დიდი პი-
რამიდის შიგნით ვპოულობთ სხვას და იმის
შიგნით — სხვას“.

პატარა პირამიდას მეცნიერებმა სამგან-
ზომილებიანი ელექტრორეზისტენტული ტო-
მოგრაფიის გამოყენებით მიაგნეს. მათ იმედი
აქვთ, რომ ამ აღმოჩენით მაიას კულტურის
შესახებ დამატებით ინფორმაციას მიიღებენ.

ამას გარდა, შარშან მკვლევრებმა ასევე
აღმოაჩინეს, რომ კუკულკანის პირამიდა
აშენებულია ჭაზზე, რომელიც მიწისქვეშა
მდინარეს უკავშირდება.

ვერავენ ამბობს, იცოდა თუ არა მაიას
ხალხმა ამ ჭის არსებობის შესახებ, თუმცა,
მკვლევართა განცხადებით, ფაქტია, რომ
პატარა პირამიდა ზუსტად მის თავზეა აშენე-
ბული და თუ იმასაც გაეთვალისწინებთ, რომ
კუკულკანი წყლის ღმერთი იყო, საგარაუდოდ,
რომ ეს შემთხვევითობა არ არის.

რენე ჩავეს სეგურა: „სტრუქტურა, რო-
მელსაც ჩვენ პირამიდის შიგნით მივაკვლიეთ,
კუკულკანის პირამიდის ცენტრში კი არა, პირ-
დაპირ იქ დგას, სადაც არის ჭა. ეს მოწმობს,
რომ მისი აშენებისას მაიას ხალხმა იცოდა
ჭის არსებობის შესახებ“.

დღეს ჩიჩენ-იცა იუნესკოს მსოფლიო კულ-
ტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია და
მას ყოველწლიურად 1 მილიონამდე ვიზიტიო-
რი ათვალეიერებს.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

მოაზროვნე ბრინჯაოს ხანიდან

ისრაელში არქეოლოგთა და სტუდენტთა ჯგუფმა უცნაური ფორმის თიხის დოქი აღმოაჩინა, რომელიც 3800 წელს ითვლის. მათი ყურადღება წყლის ჭურჭელზე წამოსკუპებულმა ფიგურამ მიიქცია. ჩაფიქრებულ მამაკაცს იდაყვი მუხლზე უდევს, ლოყით კი ხელის მტევანს ეყრდნობა.

მამაკაცის ფიგურა როდენის „მოაზროვნის“ პოზას იმეორებს

სიძველეთა მკვლევრები ფიქრობენ, რომ თელავითან ახლოს, იეჰუდში აღმოჩენილი დოქი შუა ბრინჯაოს ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. სტატუის სიმაღლე დაახლოებით 18 სანტიმეტრია.

გილად იტაჩი, ექსპედიციის ხელმძღვანელი: „ამჟამად, რომ თვდაპირველად თიხის დოქი ტრადიციული, იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ტექნიკით დაამზადეს. შემდეგ კი მასზე სტატუა დაამაგრეს. გათხრებისას ადრე მსგავსი რამ არასოდეს უპოვიათ. ჩანს, რომ ჩაფიქრებულ მამაკაცს თავი ხელზე აქვს ჩამოყრდნობილი“.

ამას გარდა, არქეოლოგიურ საიტზე ნაპოვანია ისრის თავები, ხანჯლები, ცულის პირები, ცხვრისა და სუარაუდოდ, ვირის ძვლები.

მეცნიერის თქმით, სამარხში აღმოჩენილი კოლექცია მიუთითებს, რომ იქ უძველესი საზოგადოების მნიშვნელოვანი ფიგურა იყო დაკრძალული.

„რამდენადაც ვიცი, ამ ეპოქის ასეთი მდიდრული სამარხისთვის, სადაც ამასთანავე ასეთი უნიკალური ჭურჭელი იქნებოდა, ქვეყანაში არასოდეს მიუკვლევიათ“, — ამბობს იტაჩი.

ბოლო თვეებში მეცნიერთა ჯგუფმა უკვე მიაკვლია სამკაულებს, ოქროს მონეტებსა და მოზაიკის უძველეს ნიმუშებს.

მომზადებულია „როიტერის“ მიხედვით



აღმოჩენის ადგილას




განსაკუთრებული სტატუსი მსხეთის ქვებანისთვის



ჯვრის მონასტერს, სვეტიცხოველსა და სამთავროს იუნესკომ გააღიერებული დაცვის სტატუსი მიანიჭა

ისტორიული სატახტო ქალაქი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნის სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრსაც წარმოადგენდა, ახალ წელს ახალი სტატუსით შეხვდა. ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი და სამთავრო იუნესკომ გაძლიერებული დაცვის მქონე ძეგლთა ნუსხაში შეიყვანა. ეს ნიშნავს, რომ შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში მისი მონაწილე მხარეები ვალდებული იქნებიან, ქალაქ-მუზეუმის ტერიტორიაზე მდებარე ამ ძეგლების დაცვაზე იზრუნონ, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში ჯერ კიდევ 1994 შეიტანეს.



სამთავრო

მანანა ვარძელაშვილი, ძეგლთა დაცვის სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი: „ეს იმ ქვეყნების ვალდებულებაა, რომელთაც აღიარებული აქვთ „შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის“ ჰააგის 1954 წლის კონვენცია. კონვენციის მიხედვით, საომარი მოქმედებებისას მათ არ უნდა დაუშვან გაძლიერებული სტატუსის მქონე ძეგლებზე საომარი შეტევების განხორციელება, საომარ ოპერაციებში ამ ობიექტების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის გამოყენება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაზიანება ან საგანძურის გაძარცვა“.

კულტურული მემკვიდრეობის ობიექტზე გაძლიერებული დაცვის რეჟიმის გასაგრძელებლად, ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის თანახმად, ის რამდენიმე პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: უნდა წარმოადგენდეს კაცობრიობისთვის უდიდეს მნიშვნელობის მქონე კულტურულ ფასეულობას, შიდა საკანონმდებლო დონეზე აღიარებული უნდა იყოს განსაკუთრებული კულტურული და ისტორიული ღირებულების მქონე ქონებად და არ უნდა გამოიყენებოდეს სამხედრო მიზნებისთვის ან სამხედრო ობიექტების დასაფარავად.

სპეციალისტები ამბობენ, რომ იუნესკოს ეს გადაწყვეტილება მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის მორიგი აღიარება არ არის და სამი ძველისთვის მინიჭებული სტატუსი, ფაქტობრივად, მთელ ისტორიულ ქალაქზე ვრცელდება.

ქრისტინა დარჩია, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს შეფასება-რეაბილიტაციის პროექტების მთავარი კოორდინატორი: „მცხეთაში ადამიანის ცხოვრების კვალი ჯერ კიდევ ძვ.წ. III-II ათასწლეულებიდან, ანუ ადრე და შუა ბრინჯაოს ხანიდან აღინიშნება. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ის მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცენტრია, განსაკუთრებულ შინაარსს კი მცხეთა უკვე ქრისტიანული საქართველოს პერიოდში იძენს. იუნესკოს მიერ მინიჭებული ეს სტატუსი დაიცავს არა მხოლოდ ამ სამ ძველს, არამედ მცხეთას, როგორც ისტორიულ ქალაქს“.

ჯერის მონასტრის, სვეტიცხოვლისა და სამთავროსთვის გაძლიერებული დაცვის სტა-



კასტელ-დელ მონტეს ციხესიმაგრე იტალიაში, — იუნესკოს გაძლიერებული დაცვის სტატუსის მქონე ძველი

ტუსის მინიჭების თხოვნით იუნესკოს საქართველოს კულტურის სამინისტრომ მიმართა.

„შეიარაღებული კონფლიქტის დროს კულტურულ ფასეულობათა დაცვის“ ჰააგის 1954 წლის კონვენციის მე-2 ოქმის თანახმად, გაძლიერებული დაცვის ქვეშ მყოფი ძველის ხელყოფა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.

დღეს გაძლიერებული დაცვის სტატუსი მსოფლიოში კულტურული მემკვიდრეობის მხოლოდ ათ ობიექტს აქვს. მათ შორის არის ქალაქი პაფოსი კვიპროსზე, კასტელ-დელ მონტეს ციხესიმაგრე იტალიაში, აგრეთვე შირვანშაჰის სასახლე აზერბაიჯანში.

„ისტორიანი“

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..



დარკამთ: 219 60 13



მოგვწერათ: contact@palitra.ge

ან: „**კვირის პალიტრის**“ („სიტყვა და საქმის“)

საფოსტო ყუთების საშუალებით



შოთა რუსთაველის 850 წლისთავის აღნიშვნა პოლონეთში

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისთვის

1921 წელს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ამბროსიმ, კორნელი კეკელიძემ და ივანე ჯავახიშვილმა, თეოლოგიური განათლების მისაღებად, ნიჭიერი ახალგაზრდა მეცნიერი გრიგოლ ფერაძე ბერლინში გაგზავნეს და სტიპენდიაც დაუნიშნეს. მოკლე ხანში მან თორმეტი ენა (მათ შორის ძველბერძნული, ძველბერძნული, სირიული, არაბული) შეისწავლა და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხიც მიიღო. იმ წლებში გასაბჭოებულ სამშობლოში დაბრუნებაზე ოცნებაც წარმოუდგენელი იყო და ქართველი მეცნიერი ვეროპის წამყვან უნივერსიტეტებში მოღვაწეობდა. 30-იან წლებში პარიზში წმინდა ნინოს სახელობის ქართული ეკლესია დააარსა და მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მისი წინამძღვარიც გახდა.

ბევრმა ქართველმა დღესაც არ იცის, გრიგოლ ფერაძის წყალობითაც რომ გადაურჩა განადგურებას ომის დროს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ საფრანგეთში გადამალული ქართული საგანძური. მის შესაფასებლად ცნობილი მეცნიერი ფაშისტებმა მიიწვიეს და გრიგოლმა საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად დაარწმუნა მტერი, რომ აქ საგანძური კი არ ინახება, არამედ მხოლოდ ქართველთათვის მნიშვნელოვანი ნივთები, რომელთაც სხვა მხრივ არავითარი ღირებულება არ გააჩნიაო.

ბოლოს მაინც მოხდა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. იქ კი ერთი მრავალწლიანი ებრაელის სასჯელი საკუთარ თავზე აიღო და გაზის კამერაში მოწამებრივად აღესრულა 1942 წლის 6 დეკემბერს. ქართულმა ეკლესიამ 1995 წელს ღირსი მოწამე წმინდანად შერაცხა და მღვდელმთავრად გრიგოლი უწოდა...

აღსანიშნავია, რომ ასევე 30-იან წლებში მამა გრიგოლ ფერაძე პოლონეთში, ვარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სკოლის დირექტორადაც მიიწვიეს, სადაც რამდენიმე წელიწადი დაყო და მის ღვაწლს დღესაც არ ივიწყებენ.

2016 წლის 6-8 დეკემბერს ვარშავის უნივერსიტეტში გაიმართა წმინდა გრიგოლ ფერაძის სახელობის მე-15 საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც უდიდესი ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850 წლისთავს მიეძღვნა. კონფერენცია მოწყო პოლონეთის პრეზიდენტ ანჟეი დუდას პატრონაჟით, პოლონეთში საქართველოს საელჩოსა და ვარშავის უნივერსიტეტის ერთობლივი თანამშრომლობით.

დავით ყოლბაია, ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის კავკასიოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი: „კონფერენცია ჩვენი ინიციატივით ყოველწლიურად იმართება 2002 წლიდან. ის ხელს უწყობს ვეროპაში ქართუ-



ლი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურის წარმოჩენას“.

კონფერენციის დღეებში მოეწყო გამოფენა: „წერის ანბანური სისტემა და ქართული დამწერლობა“ და „ქართული ჰიმნოგრაფია“. გაიმართა ასევე ვარშავის უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies-ის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ნომრის პრეზენტაცია.

კონფერენციაში მონაწილეობდნენ ქართველი, პოლონელი, გერმანელი და ფრანგი მეცნიერები. მოხსენებებით გამოვიდნენ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი და საკრებულოს წევრი, ისტორიკოსი ჯაბა სამუშია.

მონაწილეთა ერთი ნაწილი წმინდა გრიგოლ ფერაძის საერთაშორისო პრემიით დაჯილდოვდა. დაჯილდოებულთა შორის არიან არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი და წმინდა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი ვახტანგ ფერაძე. აღნიშნული უნივერსიტეტის სტუდენტებს, ორმხრივი მემორანდუმის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ, სწავლა განაგრძონ პოლონეთში, ვარშავის უნივერსიტეტში.

კონფერენციის დასასრულს პოლონეთის პრეზიდენტის ანჟეი დუდას სახელით პოლონეთის აღორძინების მედალი გადაეცა ვარშავის უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველ მეცნიერ დავით ყოლბაიას.

„ისტორიანი“



„ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ-ქართული გამოცემა

დავით ყოლბაია პოლონეთის აღორძინების მედალით
გადაცემის შემდეგ



ქართული სახალწლო წეს-ჩვეულებები

(კველი თბილისი და საქართველოს
ცალკეული კუთხეები)

*გლეს სწამს, რომ სახალწლო ნატვრა
შესრულდება, ამიტომ ყველას ულოცავს,
კაციდან დაწყებული პირუტყვამდე...
ნიკო ურბნელი*

ხალხური ტრადიციით, რომელიც
საეკლესიო კალენდარს ეფუძნებოდა,
ახალი წლის პირველი დალოცვა
ბარბარობიდან იწყებოდა. ის „ბედობის“
დღედ, თავმეკვლეობად ითვლებოდა.
თბილისშიც ბარბარობა სახალხო,
საერთო-სათბილისო დღეობა
იყო. მლოცველთა შორის ყველას
შეხვედებოდათ, აღმსარებლობისა და
ეროვნების განურჩევლად. ხალხური
წარმოდგენით, წმინდა ბარბარეს
ხატი იფარავდა ქალაქს ეპიდემიების,
განსაკუთრებით, შავი ჭირისგან. მას
შესთხოვდნენ ასევე უშვილო ქალები,
თვალთ სნეულები. 25 დეკემბერს (ძვ.
სტილით) კი ქრისტეშობის საუფლო
დღესასწაული აღინიშნებოდა; დამდეგ
სალამოს ბიჭები გუნდ-გუნდად კარდაკარ
ჩამოივლიდნენ ალილოზე, ოჯახებში
შედიოდნენ, ულოცავდნენ. დიასახლისები
მომლოცველებს წვრილი ფულით
ასანუჭებდნენ, რომელსაც საგანგებოდ
ინახავდნენ მაუდის ნაჭრის ქვეშ.

საშობაო, სახსნილო სუფრის აუცილებ-
ლობა იყო ღორის თავი. სოფლად საქრისტე,
ანუ საშობაო ღორს საგანგებოდ ასუქებდ-
ნენ და შობის წინა საღამოს დაკლავდნენ,
რაც ზოგადქართული წესი იყო. ხალხური
ტრადიციით, „სააღებო“ (საშობაო) ღორის
დაკვლის შემდეგ უნდა ჩამოეკლოთ შობის
მახარობლებს — მეალილოებს.

აღსანიშნავია, რომ ძველად მეფეებს ვერ-
ცხლის სინზე დადებული მოუხარშავი ღორის
თავით ულოცავდნენ ქრისტეს აღდგომასაც.



თანამედროვე ალილო თბილისში

ქალაქურ სუფრაზე აუცილებლად იყო ყვავი-
ლების სამფება თაიგული, რომელსაც ხილით
სავსე კალათზე დგამდნენ. ვისაც ახალი რმა-
ლი ჰყავდა ოჯახში, საშობაოდ აუცილებლად
სტუმრობდნენ მოყვრები მოსაკითხით.

ქალაქს საზეიმო ელფერი ეძლეოდა. შო-
ბას იმართებოდა მრავალფერი წარმოდგენები;
„ოპერა და ცირკის ხის შენობა ხომ მთლად
გადაჭვდილი იყო. ხალხის დასაკმაყოფილებ-
ლად წარმოდგენები დილითაც იმართებოდა
და საღამოსაც... საუკეთესო საზეიმო აბრეშუ-

მის კაბებში გამოწყობილი ქალები მიწურთა ბანებზე ლეკურს უვლიდნენ დაირის თანხლებით, ზოლო კაცები ქეიფობდნენ“ („ივერია“, 1886, №23).

ხალხური წარმოდგენით, დღის ყველაზე დიდი მატება სწორედ შობიდან ხდებოდა; მზე ვერძის სამ ნახტომს აკეთებდაო (სვანეთი). ქრისტეშობიდან მე-8 დღეს კი დგება ახალი წელი. საახალწლო სამზადისი ორი დღით ადრე იწყებოდა. ალაგებდნენ სახლის ყოველ კუთხე-კუნჭულს, იატაკს, ჭერს, აივანს. გატეხილ ჭურჭელს კალავდნენ. ქვეშაგებსა და ხალიჩებს მთელი დღეები ანიავებდნენ. დამდეგ საღამოს, ოჯახის უფროსი ტკბილეულობას იმარაგებდა; ყიდულობდა ხირს, თაფლს, ნიგოზს, ნუშს, შაქარყინულს. ახალი წლის წინა დღეები ყველაზე სარფიანი იყო თბილისელი ვაჭრებისთვის, განსაკუთრებით ჩირით და ტკბილეულით მოვაჭრეთათვის. საახალწლო ვაჭრობა კარნავალის სახეს იღებდა; მთელი დღეები შეუწყვეტლივ ისმოდა „მყვირალა“ ბიჭების შემახილები, რომლებიც მუშტარს უხმობდნენ ტკბილეულობით საესე ღუქნებში. მყიდველის მოსაზიდად ზოგი ვაჭარი დანის წვერზე წამოაგებდა რამე ნუგბარს, კოვხით თაფლს ამოიღებდა, თავს ზემოთ დაიჭრიალებდა, ხმაძაღლა აქებდა საქონელს და ღუქანს გარს უვლიდა. ზოგიც თაფლიან თითებს ყველას დასანახად ილოკავდა და გემოს უქებდა. წინა დღიდან დიასახლისები დღიდან იწყებდნენ ბედის პურების გამოცხობას ოჯახის თითოეული წევრის სახელზე. თუ ბედის პური კარგად არ ამოვიდოდა და დაეცემოდა, მისი პატრონი იმ წელს უცილობლად ავად გახდებოდაო. აუცილებლად ცხვებოდა ადამიანის ფორმის პური, „ბასილა“, რომელსაც თვალების ალაგას ქიშიშიის მარცვლები ეკეთა. ცნობილია, რომ 1 იანვარი (ძვ. სტილით) ბასილი დიდის ხსენების დღეა და მთელ საქართველოში წესად იყო ამ დღისთვის „ბასილა“ პურების გამოცხობა. ამავე დღეს ეკლესია, როგორც ცნობილია, აღნიშნავს უფლის სახელდების დღეს; სახარების მიხედვით, სწორედ შობიდან მე-8 დღეს დაარქვეს მას სახელად იესო; ბედის პურებს (კვერებს) სხვადასხვა ფორმას აძლევდნენ, ოჯახის წევრთა საქმიანობის მიხედვით. სოფლად, ბედის კვერებზე ხარ-უღელს, გუთანს, სამეურნეო იარაღებს, მუშა და მწველ საქონელს, ქვევრს, ყურძნის მტვერებს, პურის

თავთავეს გამოსახავდნენ; საგანგებო პური ცხვებოდა ღორების დაცვა-გამრავლებისთვის, ე.წ. „ღორის სალოცვილი/სალოცავი“ (სამეგრელო, გურია, რაჭა). ახალი წლის დამდეგს ოჯახის უფროსი ამ პურითა და ჭიქა ღვინით საღორესთან დაილოცებოდა, — წმინდა ბასილიმ ამრავლოს ღორებით! ერთი ძველი გადმოცემით, სწორედ „კურთხეულმან ვასილი განხსნა ჭამა ღორის ზორცისა, აკურთხა და განსწმიდა, რასაც მოსე მცნებითა თვისითა უწოდებს ბილწად... დღემან ბასილი შემოიღო ესე, რათა ჭამითა ღორის ზორცისა დაამოროს პურითა ქრისტეანენი და რათა მოქცეულნი ქრისტეანედ და მიმალულნი ურიაობასა პურიანი, ადვილად განიწყოდნენ“ (პლატონ იოსელიანი).

ქალაქად ბედის პურებს ხშირად კალმის, წიგნის, მაკრატლის, ანუ თავიანთი ხელობის მიხედვით აძლევდნენ ფორმას. ყოველივე ეს კეთდებოდა დღისით. წინკარში, ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით აწყობდნენ ხის ტოტებს, რომლებიც შინაურებს შინ შემოსვლისას თან შემოჰქონდათ და ბუხარში ათავსებდნენ. პირველად ოჯახის უფროსს შემოჰქონდა, ცეცხლს შეუკეთებდა და ბუხარს (ოჯახის ერთიანობის, სიწმინდის სიმბოლოს) დამდეგ ახალ წელს ულოცავდა. დაბინდებისთანავე, მთელი ოჯახი ბუხრის გარშემო იკრიბებოდა. იწყებდნენ გოზინაყის, ალვახაზის (სქლად გადადუღებული თაფლი), მურაბების ხარშვას. ახალი წლის დამით, ყველა სახლის კარი ღია უნდა დაეტოვებინათ, რათა „ბედ-იღბალი, რომელიც ამ დამეს დაიარებოდა ქვეყნიერებაზე, დაუბრკოლებლად შემოსულიყო შინ“ („Кавказ“, 1847, №3). მთელი დამე

შობა სამებაში



ისმონდა თოფების სროლა, ამით ავსულებს დევნიდნენო (ხალხ.). როგორც კი ინათებდა, „ჩიტის აზვრამდე“, ოჯახის უფროსი მამაკაცი ტაბლის გაწყობას შეუდგებოდა; ალაგებდა ბედის პურებს, საგანგებო ვერცხლის სასმისში ასხამდნენ ალვახაზს, აწყობდნენ გოზინაყს. იქვე ედოთ მბოლავი საკმეველი. ტაბლაზე დიასახლისის მიერ საგანგებოდ ამ დღისთვის ჩამოსხმულ ოთხ ცალ ფიჭის სანთელს მიამაგრებდნენ; ქართლის სოფლებში ამგვარ საახალწლო ხონჩას „აბრამიანს“ უწოდებდნენ, რომელსაც ნათლისღებამდე მარანში ტოვებდნენ.

საკვლევი ხონჩით ოჯახის თავი გამთენიასას შემოვიდოდა შინ, როცა ოჯახის წევრებს ჯერ კიდევ ეძინათ. კარის ზღურბლზე დაილოცებოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!“ ამის შემდეგ შინაური მეკვლე სათითაოდ მიდიოდა ყველასთან, ტაბლიდან თაფლს ან გოზინაყს აწვდიდა და ტკბილად „დააბერებდა“: „გილოცავ ახალ წელს. მრავალ ახალ წელს დაესწარი და ასე ტკბილად დამიბერდი!“ სამეკვლეო ტაბლაზე ზოგჯერ პურის მარცვლებით საესე ქისაც ეწყოთ, რომელსაც შემოლოცვის დროს ოთახის კუთხეებში მოაბნევდნენ, ბარაქის „დასაბედებლად“. ოჯახის უფროსს ახალი წლის დილას, თიხის ჭურჭლით აუცილებლად უნდა მიეტანა უმძრახი წყალი, რომელსაც ოთახის შუაგულში დგამდა და დაილოცებოდა: „წყალმა შემოგითვალა, წყალმა იორდანი სამა, როგორც ჩემი სახელი არ დაილევა, ისე თქვენი სიცოცხლე არ დაილიოსო“ (ხალხ.).

შინაურის გარდა, ყველა ოჯახს ჰყავდა გარეშე მეკვლეც, თავისთვის სასურველი სტუმარი, რომელიც შინაური მეკვლის შემდეგ შემოდოდა ოჯახში. გარე მეკვლედ ცდილობდნენ ბარბარობის მეკვლე გამოერჩიათ, რადგან ბარბარობა საახალწლო მეკვლეობის დასაწყისად ითვლებოდა. შემოსვლისას ისიც დაილოცებოდა. მეკვლეობის შემდეგ დილიდან იწყებოდა ერთმანეთში სტუმრიანობა, მილოცვები. ყველა მომსვლელი ამბობდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა!“ სტუმრებს ტკბილეულობით უმასპინძლდებოდნენ. დიასახლისის ბოლოს შარბათს დააღვეინებდა და რასმე ჩუქნიდა ბედნიერების ნიშნად. ხონჩებზე დაწყობილ გოზინაყსა და ალვახაზს



უგზავნიდნენ ნაცნობ-მეგობრებს, საპასუხოდ იღებდნენ წითელ ვაშლებს, მიხაკებს, შაქარყინულს.

ნაცნობები ქუჩაში შეხვედრისას ერთმანეთს ასწრებდნენ ახალი წლის მილოცვას შაქრით თუ წითელი ვაშლით. ამ დღეს ყველა მამაკაცი ვალდებული იყო ახალი წელი მიელოცა ნათესაებისთვის, მშობლებისათვის. ამასთან, ბავშვებისთვის მიჰქონდათ ვაშლები ან რამე ტკბილეულობა, საპასუხოდ უმასპინძლდებოდნენ გოზინაყით და შარბათით. ახალ წელს შინ არ უნდა შემოეტანათ რამე მწარე. სტუმრად ამ დღეს სადილზე არ რჩებოდნენ. ყველა ცდილობდა, შინ ესადილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მთელ წელიწადს სახლში ვერ იქნებოდნენო. გასესხებული ნივთები აუცილებლად შინ უნდა დაებრუნებინათ, შობა და ახალი წლის დამე კაცმა, პირუტყვმა და სახმარმა თავის ჭერქვეშ უნდა გაითენოსო (ხალხ.). ქალები არ უნდა გასულიყვნენ შინიდან და სტუმრები შინ უნდა მიედოთ. ამ დღეს ქალები აუცილებლად რამე ხელსაქმეს აკეთებდნენ, კერავდნენ ახალ ტანისამოსს. აუცილებლად ითვლებოდა, საახალწლოდ რამე ახალი ჩაცვით ტანთ. ასევე ცდილობდნენ ახალი წლის დამეს არ დაეძინათ, რათა „თავისი წილი ჭკუა-გონება არ წართმეოდათ, რომელიც ამ დამეს რიგდებოდა ქვეყნიე-



რებაზე“ („Кавказ“, 1887, №3). ხალხური ტრადიციით, არ შეიძლება ასევე არაფრის გასესხება, ცდილობდნენ, მიცვალებულიც ახალ წლამდე დაესაფლავებინათ.

ძველ თბილისში განუწყვეტლივ ისმოდა ზურნის ხმა, ნიშნად საყოფელთაო მხიარულებისა. მთელი დამე ისმოდა ქუჩებში კოცონთა გარშემო შემომსხდარი მუშების (ასე ეძახდნენ ქალაქელები მეზარეულებს) მხიარული სიმღერები, შემახილები. ხელიდან ხელში გადადიოდა ყანწები. ახალ წელს ამქრის თითოეული ოსტატი თავის უსტაბაშს ჩუქნიდა ვერცხლის მონეტებით დატენილ წითელ ვაშლს. საპასუხოდ უსტაბაში ოსტატს უმასპინძლებოდა ჩირით, ტკბილეულობითა და საგანგებოდ დამზადებული ტკბილი არყით. ამ დღეს ყველა ოსტატი თავის უსტაბაშთან სადილობდა. ოსტატები უსტაბაშს ასეთივე ვერცხლის მონეტებით დატენილ წითელ ვაშლს მაშინაც ჩუქნიდნენ, როცა ამ უკანასკნელს თანამდებობაზე ირჩევდნენ. ვერცხლის მონეტებჩარჭობილი ვაშლებით დადიოდნენ საახალწლო მილოცვებზე თბილისელი თულუხჩები და მოჯამაგირეები, იმ განსხვავებით, რომ მასპინძელს, თავის მხრივ, ვაშლში ვერცხლის წვრილი მონეტა უნდა ჩაერჭო და მისთვის უკან დაებრუნებინა („Кавказский календарь“, 1854).

თბილისელ ამქრებს კიდევ ერთი საინტერესო საახალწლო წესი სცოდნიათ: ახალ წელს, გამთენიისას მივიდოდნენ თავიანთ სახელოსნოებში და სამუშაო იარაღებს ურტყამდნენ დაზღებზე, ამით თითქოსდა უწყინდურ ძალას „ბოჭავდნენ“, რაც სიმბოლოურად გამოხატავდა წესრიგის აღდგენას, განახლებას; ამავე აზრით, მჭედლები ახალი წლის დამდევს სამჯერ სცემდნენ გრდემლზე ჩაქუსს, რათა „ამირანს არ აეშვა და ქვეყანა არ დაეღუპა (ხალხ.). ამ რიტუალს იმეორებდნენ მჭედლები ასევე დიდ ხუთშაბათს, აღდგომის წინ. ნათლისღებასაც, როდესაც თბილისის იორდანეზე — მტკვარში მღვდელმთავარი ჯვარს წყალში ჩაუშვებდა და განათლავდა, ოსტატები თავიანთი ხელობის იარაღებს ნაკურთხ წყალში ამოავლებდნენ („ივერია“, 1886, №280).

ქალაქის მაღალ საზოგადოებაში, არისტოკრატთა სახლებში კი ახალი წლის დადგომას შამპანურით სავსე ჭიქებითა და ანთებული მაშხალებით ხვდებოდნენო. საახალწლო მხიარულობები ნათლისღების დადგომამდე გრძელდებოდა.

გიორგი ჩინჩალაძე

მხატვარმა-ეთნოლოგმა ვერა ბრაილაშვილმა ასე წარმოადგინა ძველთბილისური საახალწლო განწყობა...



7000 წლის ეგვიპტურმა ქალაქმა მეცნიერები გააოცა

ეგვიპტეში, სუჰაგის პროვინციაში, უძველესი ქალაქი აღმოაჩინეს, რომელიც სავარაუდოდ, 7000 წლისაა. არქეოლოგიური გათხრების ადგილას აღმოჩენილია შენობები, სხვადასხვა სახის ინსტრუმენტები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ასევე სამარხები.


უძველესი საცხოვრებელი ქალაქი, რომელიც ძვ.წ. 5316 წლით თარიღდება, უკვე გამოცხადდა უმნიშვნელოვანესად ძველი ეგვიპტის ადრეული დინასტიის პერიოდის არქეოლოგიურ საიტებს შორის.

ეგვიპტის სიძველეთა სამინისტროს მეცნიერთა ჯგუფმა უძველესი ქოხებისა და სამარხების ნაშთებს ფარაონ სეთი I-ის (ძვ. წ. 1290-1279) სამგლოვიარო ტაძრის სამხრეთით, დაახლოებით 400 მეტრში მიაკვლია.

სეთი I-ის ტაძარი ძველი ეგვიპტის ერთ-ერთ უძველეს ქალაქში, ზემო ეგვიპტის ისტორიულ დედაქალაქ აბიდოსში მდებარეობს. ახალაღმოჩენილი საცხოვრებლები და 15 სამარხი შესაძლოა სწორედ ამ ქალაქის შემადგენელი ნაწილი ან ცალკე სოფელი ყოფილიყო, რომელიც შემდეგ აბიდოსმა შთანთქა.

„ეს აღმოჩენა ნათელს მოჰფენს აბიდოსის ისტორიის მრავალ დეტალს“, — ამბობს ეგვიპტის სიძველეთა მინისტრი მაჰმუდ აფიფი.

ეგვიპტეში, სუჰაგის პროვინციაში, უძველესი ქალაქი აღმოაჩინეს



ფარაონი სეთი I

სპეციალისტთა აზრით, აღმოჩენილი სამარხების სიდიდე მიუთითებს, რომ აქ მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ადამიანები დაკრძალეს. ქალაქში კი მაღალი თანამდებობის პირები და სამარხების აღმშენებლები ცხოვრობდნენ.

„სასაფლაოზე აღმოჩენილ სამარხთა ზომა ზოგიერთ შემთხვევაში, პირველი დინასტიის სამეფო სამარხებისას აღემატება, რაც მეტყველებს დაკრძალულ ადამიანთა მნიშვნელობასა და სოციალურ კლასზე“, — ვკითხულობთ ეგვიპტის სიძველეთა სამინისტროს ვებგვერდზე. გათხრებისას არქეოლოგებმა ასევე მიაკვლიეს რკინის იარაღებსა და კერამიკულ ნივთებს. კვლევის თანახმად, მათ სამეფო სამარხების მშენებლობაზე დასაქმებულები იყვნენდნენ.

სასაფლაო შედგება 15 მასტაბასგან (ძველეგვიპტური მართკუთხა სამარხი დამრეცი კედლებითა და ბრტყელი იატაკით). ექსპედიციის წევრის, იასირ მაჰმუდ ჰუსეინის თქმით, ეს მასტაბები ყველაზე ძველია მათ შორის, რომლებიც აქამდე აღმოუჩენიათ — გაცილებით ძველი, ვიდრე საკარას სამარხი, რომელიც ქალაქ მემფისის აკროპოლისის როლს ასრულებდა.

მომზადებულია BBC-ისა და The Guardian-ის მიხედვით

ბიოგრაფიული წიგნების სერია

იანვრიდან
ჟურნალ ისტორიანთან ერთად



პალიტრა

მათ შავხანს ისტორია

ტომი 11

ლეონახლო და ვინჩი

შედეგი წიგნი:
იულიუს კეისარი



სერიის სხვა წიგნები



გაბოღის თვეები ერთხელ

სკანდალური ფასი 5ლ
ეჩნაღთან ერთად 8ლ



პალიტრა L

უკვე გამოსული ტომები შვიდიდღიან შვიდიდღიან წიგნის მალაზიებში.

იკითხეთ წიგნის მალაზიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:

0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

Palitra.L.Publishing www.palitra.l.ge

ქართული უესამოსალი პირვანდელი ბრწყინვალებით

სამეფო და სადედოფლო კოსტიუმების უნიკალური კოლექცია უამრავ სტუმარს ხელოვნების სასახლემ წარუდგინა. დეკემბრის დასაწყისში გამართულ ეროვნული სამოსის ამ დღესასწაულს უხვად ამკობდა ოქრო, ვერცხლი, მარგალიტი, იაგუნდი, ძვირფასი და კეთილშობილი თვლებით დამშვენებული ხელოვნების ნატიფი ნიმუშები. სამოსი, რომელიც აქამდე ფართო საზოგადოებას არ უნახავს, თითქოს საქართველოს წარსულს, მის მეფე-დედოფლებსა და მოღვაწეებს აცოცხლებდა.

ბიზანტიის იმპერატორი ნიკეფორე III ბოტანიკი და დედოფალი მართა ბაგრატიონი. XI საუკუნის მინიატურა. პარიზის ეროვნული ბიბლიოთეკა



როგორც ჩვენს მკითხველს ვაუწყებთ, ხელოვნების სასახლეში უნიკალური ისტორიული კოსტიუმების რესტავრაცია მიმდინარეობდა, დავით ბეჟუაშვილის განათლების ფონდის დაფინანსებით. სამუშაო დასრულდა და საგანძური უკვე მუდმივ ექსპოზიციაშია წარმოდგენილი. რესტავრაციამ საფუძველი დაუდო ახალ სამეცნიერო პროექტს „ქსოვილი საქართველოდან“. მისი მიზანია ისტორიული ქსოვილის ფრაგმენტების შესწავლა და მოძიება, ფრესკებისა და მინიატურების მიხედვით ტექსტილის ნიმუშების აღდგენა. ამჯერად, საქართველოში ქსოვილის ისტორიას შემორჩენილი ფრესკებისა და მინიატურების მიხედვით აღვწერთ.

ბიზანტიის ქართველი დედოფალი

მინიატურა, რომელზეც საქართველოს მეფის ბაგრატ IV-ის ასული ბიზანტიის დედოფალი მარიამ-მართა ბაგრატიონია გამოსახული, ამყარებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას, რომ „ქართველ მეფეთა ტანისამოსი, სამკაული და თავსახურაჲ, აგრეთვე სამეფო ნიშნები, ბიზანტიის ხელმწიფეებისას მიაგადა და ბიზანტიიდან უნდა მომდინარეობ-

დემეტრე I-ის მეფედ კურთხვის („ხმლისშებმის“) სცენა. 1140 წელი. მაცხვარიში. მომზატველი მიქაელ მაღლაკელი



დნენ“. იგივე შეიძლება ითქვას ამ პერიოდის ქსოვილზეც, რომელიც როგორც ჩანს, უხვად იყო შემკული ოქრომკედლით, ძვირფასი და კეთილშობილი თვლებით. ივანე ჯავახიშვილი

აღნიშნავდა: „ბიზანტიის კეისრების სამეფო სამოსლის კუთვნილებას ოქრონემსული, მოთვალული, გრძელი, მაგრამ ვიწრო ზოლის მსგავსად ნაკერი, ფერადსარჩულიანი სამკაული შეადგენდა, რომლის ერთ წვერსაც ორსავე მხარეზე მოიხვედნენ და წელზე შემოხვევის შემდგომ მის მეორე წვერს მარცხენა მკლავზე გადაივლებდნენ. ბიზანტიაში ამ სამკაულს ლოროსი, ლათინურად ლორუმი ეწოდებოდა“. ლოროსი, კეთილშობილი ქვებით გაწყობილი ძვირფასი ქსოვილი, ქართველ მეფეთა სამოსში ხშირად გამოიყენებოდა.

„ხმლისუბაჰის“ სცენა

აქ მეფის სამოსი სადაა და ამასთანავე მდიდრული. სავარაუდოდ, ნაქარგობით იყო გაფორმებული საყელო, შესაკრავები, სახელოები და კაბის ძირი. ნაქარგობასთან ერთად, ქსოვილის გასამდიდრებლად მარგალიტებიც უნდა ყოფილიყო გამოყენებული. საყურადღებოა მეფის სამკლავური, რომელიც არაბული წარწერების ორნამენტირებულ ინტერპრეტაციას წარმოადგენს და მას ფსევდოკუფურ ნაქარგობას უწოდებენ.

უცნობი დედოფალი

ატენის სიონში გამოსახული დედოფლის ვინაობა გაურკვეველია. იგი მდიდრულ სამოსში, გვირგვინით, მანიაკითა და დიადემით გაწყობილი ლურჯი ბისონითა და თორაკით არის წარმოდგენილი. თორაკი იმ დროისთვის წარმოადგენდა ოქროს ძაფითა და ძვირფასი თვლებით შემკულ გერბის ფარის ფორმის ქსოვილს, რომელიც ტანსაცმელზე მაგრდებოდა და მას ძირითადად დედოფლები ატარებდნენ. საქართველოში, ჯერჯერობით ყველაზე ადრეული ხანის თორაკი დასტურდება ზედაზნის კანკელის რელიეფურ ქანდაკებაში, რომელიც XI საუკუნის პირველი ნახევრით თარიღდება. შუა საუკუნეების ხანის ქართული სახვითი ხელოვნების ნიმუშთა შორის არც ერთი ისეთი ძეგლი არ გვხვდება, რომელშიც თორაკით ფეოდალი ან მისი მეუღლე იქნებოდა გამოსახული. თორაკი მხოლოდ სამეფო შესამოსლის ელემენტს და, როგორც ჩანს, სოციალურად უმაღლეს საფეხურზე მდგომ პირთა ატრიბუტიკას

დედოფალი. XI საუკუნის II ნახევარი. ატენის სიონი





მეფე ბაგრატ IV და სუმბატ აშოტის ძე. XI საუკუნის II ნახევარი. ატენის სიონი

წარმოადგენდა. გურამ აბრამიშვილის მოსაზრების თანახმად, XI საუკუნის ბოლოდან თორაკი მეფეთა შესამოსელში ქრება და მას მხოლოდ დედოფლების სამოსში ვხვდებით.

საყურადღებოა დედოფლისა და მასთან ერთად გამოსახულ სხვა ისტორიულ პირთა ლოროსისა და ქსოვილის დეტალების გაფორმება. ორნამენტად ძირითადად მკაცრი და სადა გეომეტრიული ფიგურებია გამოყენებული.

ოქსინო

საქართველოში გავრცელებული იყო ხავერდისმაგვარი ოქროს ქსოვილი, რომელსაც ოქსინო ეწოდებოდა. იგი მოხსენიებულია მელქისედეკ კათალიკოსის მიერ 1031-1033 წლებში გაცემულ საბუთში და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში. ოქსინო, სავარაუდოდ, ოქროქსოვილი ხავერდი იყო. ატენის სიონში გამოსახული ქტიტორები სწორედ ამ ძვირფასი ქსოვილისგან შეკერილ სამოსში უნდა იყვნენ წარმოდგენილი.

ალგაჟნეგალი გელათის ფრესკაზე

დავით აღმაშენებელი აქ მდიდარ სამეფო ტანსაცმელშია. X-XIII საუკუნეების ქართული სამეფო ტანსაცმელი ძირითადად რომ ბიზანტიური წარმომავლობის არის, მკვლევართა აზრით, ეს პოლიტიკური ვითარებითა და კულტურული კავშირებით იყო განპირო-

ბებული. სამეფო სამოსელი შედგებოდა „კუართის“ — ბისონისა და დიადემისგან. დავით აღმაშენებლის სამოსს გელათის ფრესკაზე ძვირფასი ოქროსფერი ქსოვილის, კეთილშობილი დიდრონი თვლებითა და მარგალიტებით მორთული საყელო — მანიაკი ამშვენებს. მანიაკი სამეფო და დიდგვაროვანთა ტანსაცმლის მოსართავად გამოიყენებოდა. ქსოვილი, რომლისგანაც სამეფო ბისონია შეკერილი, სავარაუდოდ, ან ძვირფასი აბრეშუმი, ან სკლატი უნდა იყოს. სკლატი დავით ჩუბინაშვილი მაუდის ქსოვილად მიიჩნევს, თუმცა ივანე ჯავახიშვილის განმარტებით, „სკლატი შუა საუკუნეების არაბულ მწერლობაში კარგად ცნობილი ძვირფასი აღმოსავლური ქსოვილი იყო, რომელიც დიბასთან ერთად ეგვიპტის ფატიმიანთა ტანისამოსის საგანძურის აღწერილობაშიც არის დასახელებული“. ქსოვილი მუხის რკოს ლამაზი და დიდრონი ორნამენტებით ყოფილა მოქარგული. მეფის ტანსაცმელს მდიდრულად გაფორმებული ლოროსი ამკობს.

მეფის ბაჟვის ქსოვილი ერთი ყანად ფასობდა

ქტიტორ ვაჩიანების გამოსახულებაში რამდენიმე დეტალი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. ერისთავთერისთავებს აქ მუზარადის მსგავსი ქსოვილის თავსაბურავი ახურავთ, რომელიც ბეწვით არის შემკული. საქართველოში სიასამურით, კვერნით, კურ-


დღლით დაბეწვილი ქსოვილი გამოიყენებოდა. X საუკუნის ნიკორწმინდის სიგელში კი მელიის ბეწვით შემკული ქსოვილიც მოიხსენიება. იგი საკმაოდ ძვირფასად ითვლებოდა და საფასვდ ერთი ყანა ყოფილა განსაზღვრული. ზემო კრიხის ქტიტორთა ჩაცმულობაში ასევე საყურადღებოა ნაქარობით გაფორმებული სამკლავურები. ეს არის არაბული წარწერით გამოყვანილი ორნამენტი, რომელსაც კუფურს უწოდებენ. საერთოდ, წარწერაანი ქსოვილი განსაკუთრებით ფასობდა ისლამურ სამყაროში და ის XIV საუკუნემდე გამოიყენებოდა. ასეთი ორნამენტით გაფორმებული ტანსაცმელი ეცვათ სამეფო კარის უმაღლეს მოხელეებს, ელჩებსა და თვით ხალიფებს. უადრესი ნიმუშები ხშირად სხვადასხვა ფორმის მედალიონის ან გამოსახულების ორნამენტად გვხვდება, რაც გავრცელდა სასანურ, კობტურ, ბიზანტიურ ტრადიციებში. კუფური წარწერებით შესრულებული ქსოვილი განსაკუთრებით პოპულარული ფატიმიდურ ეგვიპტეში იყო XI-XII საუკუნეებში. ხშირად წარწერა რომელიმე მბრძანებელს აღიღებდა, თუმცა არცთუ იშვიათად ასო-ნიშნებს წმინდა დეკორატიული დატვირთვა ჰქონდა. მკვლევარ მზია კეცხოველის მოსაზრებით, კუფურმა წარწერამ საქართველოშიც მალე მოიკიდა ფეხი, როგორც ქსოვილის ორნამენტულმა მოტივმა. იგი არაერთი ქართველი ფეოდალის ტანსაცმლის გამოსახულებაში გვხვდება.

3621 მარგალიტი სამეფო კაბაზე

ეს კაბა წარმოადგენს ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს, რომელზეც დამაგრებულია 3621 მარგალიტი, 154 მოოქრული და 158 ვერცხლის ბალთა. კოსტიუმი გასული საუკუნის მეორე ნახევარში ვარძიის ფრესკის მიხედვით შექმნა ცნობილმა ქართველმა მხატვარმა სოლიკო ვირსალაძემ. მხატვარს ჩაფიქრებული ჰქონდა, რომ სამოსი ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო და ამიტომ მისი შეკერვის დროს ძვირფასი მეტალებისა და კეთილშობილი ქვების გამოყენება სურდა, თუმცა წამოწყებას საბჭოთა მთავრობამ მხარი არ დაუჭირა და ხელოვნმა საქართველოს მეფის სამოსი ბუტაფორიებით აღადგინა. 2016 წელს რესტავრატორთა ჯგუფმა (შაია ფიფია, იუველირი დავით კონტრძე) თამარის სამოსის რესტავრაცია დაიწყო. ექვსი თვე დასჭირდა გახუნებული ქსოვილის საფუძვლის

გამაგრებას, კაბაზე ბუტაფორიები, მხატვრის ჩანაფიქრის მიხედვით, ძვირფასი ლითონებითა და კეთილშობილი ქვებით ჩანაცვლდა.

სამეფო სამოსელი, როგორც აღვნიშნეთ, შედგებოდა „კუართის“ — ბისონისა და ღიადემისგან. ქართველ მეფეთა ბისონი ბიზანტიურისგან ოდნავ განსხვავებულია, ის შედარებით ფართო და მოკლე იყო, არ ჰქონდა სარტყელი და განსაზღვრული არ იყო მისი ფერი. შემორჩენილი ფრესკების მიხედვით ირკვევა, რომ თამარ მეფე იისფერ ბისონს იცვამდა. ბისონი შეიძლება ყოფილიყო მძიმე ოქროქსოვილის და ძვირფასად მორთული. ამ მხრივ განსაკუთრებით მდიდრულია თამარ მეფის ბისონი, იისფერი ქსოვილი დასერილია მარგალიტით მორთული ზოლებით, რომელთა კვეთითაც რომბებია მიღებული, ხოლო რომბებში ზამბახისფერი გულებია ჩასმული.



▲ დავით IV აღმაშენებელი. 1089-1125 წლები. XVI საუკუნის მხატვრობა. გელათის ლეონსშობლის შობის ტაძარი

◀ ქსოვილი მუხის რკოს ორნამენტებით ყოფილა მოქარვული



მეფეთ მეფე სამაჯურებს პირდაპირ ბისონის ვიწრო სახელოებზე იკეთებდა.

თამარის სამოსს ძვირფასი ქსოვილის, ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით მორთული საყელო — მანიაკი ამშვენებდა. ის ეგვიპტესა და არაბეთში გაჩნდა, შემდეგ კი ბიზანტიაში გავრცელდა სპარსეთიდან. თამარ მეფის კაბის საყელო ძალიან ჰგავს ეგვიპტელ ფარაონთა მანიაკს.

ნათელი დადიანი

ნათელი დადიანს ელეგანტური, მდიდრულად მორთული და ამასთანავე, სადა სამოსი აცვია. ეს სადღეოფლო კოსტიუმი ამკარად ქართულია, ეროვნული მოტივებით უხვად გაჯერებული. მოქარგულია კაბის მთელი შუაგული გულისპირიდან მოყოლებული ვიდრე ძირამდე, ორივე მხარეს ოქრომკედლითა და წითელი ძაფითაა შესრულებული დიდი მცენარეული ორნამენტების ლამაზი წყება. მთელი კაბის სიგრძეზე ჩამოშვებული ყურთმაჯები, რომელიც კოსტიუმს გრაციოზულობას ჰმატებს. ნათელს თავზე თხელი, ნატიფი ქსოვილის მანდილი ახურავს, წვრილი მარგალიტებით მორთული, რომელზეც ჯვრები ამოქარგული. დედოფალს ძვირფასი თვლებით გაწყობილი თავსახვევი, იგივე დიადემა ახურავს. ფრესკა მიუთითებს, რომ ოქრომკედი საქართველოში ფართოდ გამოიყენებოდა არამარტო საეკლესიო ქსოვილისა და შესამოსლის მოსართავად, არამედ საერო პირთა ტანსაცმელშიც. ოქრომკედი, აბრეშუმის ან ბამბის ძაფთან შეგრეხილი ოქროს ან ვერცხლის ძაფი იყო, რომელსაც ძვირფასი ქსოვილებისა და სამოსლის საქარგავად იყენებდნენ. ადრინდელ ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებულ ტერმინ „ოქრონემსულს“ (ოქროს ძაფით ნაკერ) მოგვიანო ხანის ძეგლებში „ოქრომკედლით ნაკერი“ შეესატყვისება. ოქრომკედლით ქარგვის ძველი ქართული ტრადიციები (მდიდარი ორნამენტი, მხატვრული სიმბოლიკა, სიუჟეტური კომპოზიციკა, შესრულების მანერა) კარგად იყო შემონახული XIX საუკუნის ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. ქარგავდნენ უძითავესად ხავერდზე, ატლასსა და სხვა ძვირფას ქსოვილებზე. ოქრომკედლით ნაქარგ სახეებში ხშირად ურთავდ-



ქტიტორი ვაჩიანები. XI საუკუნე. მთავარანგელოზის ეკლესია. ზემო კრიზი



დედოფალი ნათელი. XIII საუკუნე. ზობი ▶

◀ თამარ მეფის საზეიმო სამოსი. დეტალი

თამარ მეფის საზეიმო სამოსი



ნენ მარგალიტს, ფერად მძივებსა და ზოგჯერ პატიოსან თვლებსაც. ოქრომკედით ნაგარქობა ძველთაგანვე გაჰქონდათ სხვა ქვეყნებში. ნაქარგობის მთავარი მოტივებია უმთავრესად ნაყოფიერებასთან დაკავშირებული მცენარეული ორნამენტი (ვაზის ფოთლები და მტკვნები, ხორბლის თავთავები და სხვ.), ანთროპომორფული და ზომომორფული გამოსახულებანი.

**ლაშა-გიორგი ბერთუბნის
ფრესკაზე**

საქართველოს ხელმწიფე ლაშა-გიორგი ბერთუბნის ფრესკაზე ლამაზ და ელევანტურ ტანსაცმელშია. იგი ბიზანტიური და აღმოსავლური სამოსლის ადგილობრივ ვარიაციას უნდა წარმოადგენდეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოსტიუმზე გადმოცემული ნატიფი, საუცხოოდ შესრულებული ორნამენტები, მათი ფერში გამოსახვის წესი ქართულია და მისი ანალოგიები სხვაგან არსად ჩანს. არ არის გამორიცხული, რომ სამოსლის ეს ფორმა, სტილი და მოქარგვის მანერა მეფისთვის საგანგებოდ შექმნილიყო. ამას გვაფიქრებინებს ხელმწიფის გვირგვინის, მისი სამოსლისა და სამკლავურის ორნამენტირების მსგავსება. მეფის სამოსი დაბეჭვილია, უკანა მხრიდან წვრილნაკეცაა („დაპლისულია“), ხოლო წინიდან — მართკუთხად ამოჭრილი. ლაშა-გიორგის კოსტიუმისთვის საგანგებო ყურადღება მიუქცევია ივანე ჯავახიშვილსაც. იგი წერს: „მეფეთა ტანისამოსში ყველაზე უფრო საყურადღებოა ლაშა-გიორგის ტანისამოსი (ბერთუბანი). რა ტანისამოსი უნდა იყოს ან რა სახელი უნდა ერქვას მას, ამის თქმა ძნელია. თითქოს კაბა ან კაბაჩა უნდა იყოს. უფრო საფიქრებელია კაბაჩა, რომელიც მარტო მეფის ტანისამოსი არ იყო. ეს ტანისამოსი წინ იკვრება. დამახასიათებელია ორკავიანი გადასაკეცი და უცნაური ამოჭრილი“. ზუსტად იგივე სამოსი აცვია მეფეს ბერთუბნის ფრესკაზე, მართალია აქ მეფის სახე დაკარგულია, სამაგიეროდ, კარგადაა შემორჩენილი კაბაჩის ქვედა ნაწილი. ფრესკის მიხედვით ირკვევა, რომ მეფის სამოსის ქვედაბოლო მთელ გაცილებასზე დაბეჭვილი ყოფილა. ქსოვილი ოქროსფერია, არ არის გამორიცხული, ის სტაურა იყოს. „ვეფხისტყაოსნისა“ და შაჟუღის მიხედვით სტაურა ოქრონაქსოვი ყოფილა“.

ბეთანიის ფრესკაზე ლაშა გიორგის იმავე ტიპის მოკლე კაბახა აცვია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სამოსი დაბეწვილი არაა, ბეწვის ნაცვლად ამ შემთხვევაში ოქროსფერ ქსოვილზე შესრულებული მცენარეული ორნამენტის ნაქარგობა გამოყენებული. მსგავსი ტიპის ნაქარგობა გვხვდება ატენის სიონში სუმბატ აშოტის ძის თავსაბურავისა და ზემო კრიხის ქტიტორთა ჩაცმულობაში. ბეთანიის ფრესკაზე ლაშა გიორგის კაბახის საყელოები უფრო ფართოა და გადმოკეცილი. სამოსის შესაკერად ე.წ. გეომეტრიული სამყურებით გაფორმებული ხოხბისფერი ძვირფასი ქსოვილია გამოყენებული.

დემეტრე და იუსტინიანე

საქართველოს მეფე დემეტრე ძვირფასი ქსოვილისგან შეკერილ ბისონში შემოსილი დგას. მისი ლორუმი იმნაირივე იისფერია, როგორც აია სოფიის ტაძრის მოზაიკაზე გამოსახული იმპერატორ იუსტინიანე II-ის ფიბულით (საკინძით) შემკული ქლამიდი. ქართველი მეფის მანიაკი კი ისევე უზვადაა შემკული ძვირფასი თვლებით, როგორც იმავე იმპერატორ იუსტინიანესი აია სოფიის ვესტიბიულის მოზაიკაში. ამდენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ დემეტრეს სამოსი ბიზანტიური კოსტიუმის ქართული ანალოგი იყო. ბისონის ძირითადი ნაწილი ე.წ. უსახო ქსოვილისგან არის შეკერილი. ძველ საქართველოში უსახო, ანუ როგორც სულხან-საბა განმარტავს, უჭრელო ქსოვილებს რამდენიმე სახელწოდება ჰქონდა: საია, ზუფი და ხარა. საია, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მიხედვით, „ერთფეროვანი უსახო ქსოვილი“ იყო, ბამბანარევი აბრეშუმი. ფრანგულად შაყე და შერგე, გერმანულად კი შარსცჰ-ი ეწოდებოდა. ზუფი კი „ლარია უჭრელო, დეღვიანი“, უსახო ძვირფასი ოქროქსოვილი ხარა ყოფილა, ხოლო გლუვსა და უსახო აბრეშუმს საქართველოში ძველთაგანვე ატლასს უწოდებდნენ. დემეტრეს ბისონში ძვირფასი თვლებით მანიაკი და კაბის ბოლოა მორთული, სამკლავური კი სავარაუდოდ, ნაქარგობით ყოფილა შემკული, ორნამენტად აქ სადა გეომეტრიული ფიგურებია გამოყენებული.

გიორგი კალანდია

ხელოვნების სასახლის დირექტორი



მეფე ლაშა-გიორგი. XIII საუკუნე. ბერთუბანი

დემეტრე II. XIII საუკუნის 90-იანი წლები. დავითგარეჯა. ხარების ეკლესია





გურჯაანის ყველაწმინდა (VIII ს.)
ერთადერთი ორგუმბათიანი
ეკლესია საქართველოში

ქართული სუროთმოდვრება

„უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული სუროთმოდვრების ძირითად პრინციპს შენობის ძირითადი აგებულების, გარეგანი აღნაგობისა და სახის პარამონიული შეთანხმება წარმოადგენს, ხოლო დამახასიათებელ თვისებად ნაგებობათა მოხდენილი პროპორციულობისა და სიმეტრიის დაცვა სჩვევათ“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი და ამით ხაზს უსვამდა ქართული სუროთმოდვრების თავისთავადობას.



თუშეთი.
სოფელი კვაკლო

„ქართული ხუროთმოძღვრების“ შესავალში ავტორები ნინო ხუნდაძე (ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი) და დინარა ვაჩნაძე (ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი) აღნიშნავენ, რომ ქართული არქიტექტურა სივრცეში სივრცის შექმნისა და ორგანიზების ხელოვნებაა. სივრცის, რომლის თავისებურებაც კონკრეტული დანიშნულებით განისაზღვრება. თუმცა, ნაგებობის თავისებურებას მხოლოდ მისი ფუნქცია არ განსაზღვრავს. ხუროთმოძღვარმა, უპირველესად, შენობისთვის განკუთვნილი ადგილმდებარეობა, ლანდშაფტი უნდა გაითვალისწინოს. შეუძლებელია მთასა და ბარში ერთი და იმავე კონსტრუქციის ნაგებობათა მშენებლობა. განმსაზღვრელი ფაქტორია ასევე კლიმატური პირობები — ნესტიანი და შშრალი ჰავა არქიტექტურისადმი განსხვავებულ მიდგომას, ასევე, განსხვავებული სამშენებლო მასალის შერჩევას განაპირობებს. პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული, ათასწლეულების განმავლობაში, განსხვავებულ კულტურათა განვითარების ისტორია ნათლად წარმოჩნდება ცალკეულ არქიტექტურულ ნაგებობათა თუ არქიტექტურული ანსამბლების, ასევე, ქალაქმშენებლობის თავისებურებებში. თითოეული ქვეყნის ხუროთმოძღვრული სისტემა რელიგიის, ხალხის ფსიქოლოგიისა და ხალხური ტრადიციების, ასევე, სამშენებლო ხელოვნების ტრადიციების საფუძველზე იქმნება. ქართული კულტურის თავისებურებებიც, მისი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყანასთან, ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი ბუნება ნათლად წარმოჩნდება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საფუძველზე“.

წიგნში წარმოჩენილია ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორია ძვ.წ. V-I საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე. მკითხველს საშუალება ეძლევა ისტორიული ფაქტების, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ძეგლების ან მათი ნაშთების ამსახველი ფოტოების საფუძველზე სრულყოფილი წარმოდგენა შეიქმნას უძველეს ქართულ ციხე-ქალაქებზე, ქართულ ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაზე, ქალაქმშენებლობის თავისებურებებზე, საკათედრო ტაძრებზე, ვანის ქვაბებსა და კლდეში ნაკვეთ ვარძიაზე... წარმოდგენილია ასევე XIII-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება, მთის საერო ხუროთმოძღვრება, ხიდები და



ანანური. სამხრეთი ფასადის რელიეფის დეტალი

ე.წ. იმეღის შენობა. აშენდა 1933-1938 წლებში არქიტექტორ ალექსეი შუხვეის პროექტის მიხედვით. მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფითა და კურსების რუხი ტუშენით. ნაგებობა „სტალინური ამპირის“ სტილისაა



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი 1911-1913 წლებშია აგებული, არქიტექტორ მიხეილ ოპანჯანოვის მიერ, ალაჯანის თანაგებრობით და მოდერნის სტილის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს



დოღმენი. ეშერა. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი



უფლისციხე. ძვ. წ. IV-III სს.



ოშკი. ინტერიერი დასავლეთ-აღმოსავლეთის ხედი



რა თქმა უნდა, „ხალი“ ხანის — XIX-XX საუკუნეების არქიტექტურა.

საილუსტრაციო მასალები გამოყენებულია საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან; ხელოვნების სასახლის საცავეებიდან; საქართველოს ეროვნული არქივიდან; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან; ჟურნალ „ისტორიანის“ არქივიდან. წიგნში ასევე გამოყენებულია გურამ აბრამიშვილის, ბადრი ვადაჭკორიას, გოგა ჩანადირის, ირაკლი გედენიძის, ფრიდონ გვეგვიძის, ჯაბა სამუშიას, გიორგი ბაგრატიონის, კოტე იანტბელიძის, ლაშა გვეგვიძისა და სხვათა ფოტომასალები, ცნობილი ეთნოგრაფი მხატვრის ნინო ბრაილაშვილის ჩანახატები და სხვ.

პროექტის ხელმძღვანელია ისტორიკოსი, პროფესორი ჯაბა სამუშია. კონსულტანტი — ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ირინა არსენიშვილი.

წიგნზე მუშაობდა გამომცემლობა „პალიტრა L-ის“ შემოქმედებითი ჯგუფი: რედაქტორი — ლადო იოსებაძე; პროექტის მენეჯერი — ნესტან მაღალაშვილი; მხატვარ-დიზაინერი — რატი თორდია; პასუხისმგებელი რედაქტორი — ზურაბ აბაშიძე; კორექტორები: ნატალია ჩიმაკაძე და ცისანა ბურჯანაძე; დამკაბადონებელი ლევან ლაცაბიძე.

„ისტორიანი“

საქართველოს ილუსტრირებული ისტორიის 24+6 ტომი




ტომი 29

ალექსანდრე | დიდი

გაზეთ „კვირის კალიტრასთან“ ერთად

2- დან 9 იანვრამდე

წიგნის სპეციალური ფასი **8,50 ლარი** გაზეთთან ერთად 10 ლარი



დაინახე შენი ისტორია

შემდეგი წიგნი: საქართველო და რუსეთის იმპერია

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების ჯისურებში ან დაგვიკავშირდით: 0(32) 2382673; 0(32) 2382674 და WWW.ELVA.GE ადგილზე მოგვართმევთ.

უკვე გამოცემული ტომები შეიძლება შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში





რეპორტაჟი III
დასასრული

დართლოს ერთ-ერთი კუთხე. აღდგენილი თუშური სახლი „ახალშინა“ (წინა პლანზე) ციხე-კოშკისა და ასევე აღდგენილი აფხაზთა სახლის ფონზე

თუშური წელწდობა ანუ ახალი წილი თუშური ღირსი თანხებით

ციხემრავალია თუშეთი, მაგრამ მაინც გამოყოფილია ოთხ სოფელს — დართლოს, დიკლოს, ჰელოსა და ომალოს (კესელოს), რომლებიც მთლიანად ციხე-სოფლებია. ძირითადად, თუშეთის სოფლებში შემორჩენილი კოშკები XVI-XVII საუკუნეებისაა. ომალოს დამცველ კესელოს კოშკმრავალ, კლდოვან გორას ცამეტი კოშკი ედგა დარაჯად. აქედან კონტროლდებოდა გომეწრისა და პირიქითა თემისა და ომალო-ხისოს ხეობები.

თუშეთის მცველები

ულმობელმა დრომ კოშკებსა და ციხე-სახლებს თავისი კვალი დაატყო. ისევ და ისევ ნუგზარ იდოიძის მცდელობითა და კეთილი ხალხის დახმარებით, ცამეტი კოშკიდან ექვსი აღდგენილია და დანარჩენთა აღდგენაც მიმდინარეობს. ზაფხულობით ამ კოშკებს არ აკლია ქართველი თუ უცხოელი ტურისტები, მით უფრო, რომ რამდენიმე მათგანში ჩვენს მასპინძელს ექსპოზიცია მოუწყვია და თუშეთის ყოფისთვის დამახასიათებელი ნივთები გამოუფენია.

თუშეთის იმედი იყო აქაური კოშკები და ციხე-სახლები. ერთ თუშურ ლექსში ნათქვამია: „ჰელოში ციხე მაღალო! / შიშით გაქანებს

ქარია, / გარს მტერი შამოგზევეია, / შაყრილა ქისტის ჯარია. / შინ არა დახვდნეს ჭაბუკნი, / გაგამაგრებდა ქალაი; / ომი აქეთ გახურებული, / ტყვია გამოდის ჩქარია. / ჩარდახებ დამღერდებიან, / გადმოსახედნი ქენია. / დათხვიპნა ციხის კედლები, / სისხლი გადმოდის ღვარია, / ივრე დახოცა ქისტები, / ყორედ ააგო მკვდარნია“.

მტრისთვის მეტად ძნელი იყო ციხე-კოშკების ძლევა, მათი შეუპოვრობა გამოცდილი ჰქონდა მომხდურს. ამიტომ იყო, რომ XIX საუკუნის შუა ხანებში, შამილის ერთ-ერთ ბელად მურთაზს, თუშეთზე გამოლაშქრებისას, ზარბაზანიც გადმოუტანია და ფარსმის ციხეებისთვის ისე შეუტყვია. თუმცა თუშებმა



ტრადიციული თუშური ციხე-სახლის ინტერიერი. ავტორის ფოტოები

სირცხვილნაჭამი გააბრუნეს თავის ჯარიანად, დიდი დანაკლისით და ზარბაზანიც წართვეს. ქვემეხზე დატანილი არაბული წარწერის მიხედვით („ამალი აჰმად“) ოსტატ აჰმადის ნახელავი ზარბაზანი, ჭეშოში დაიტოვეს ნაალაფრად.

თუშები 3-4-სართულიან ციხე-სახლებში, ანუ ჩარდახიან სახლებში ცხოვრობდნენ. ვათვალიერებთ კესელოს ერთ-ერთ ადღგენილ ასეთ ციხე-სახლს, რომელშიც ნუგზარ ილიძის მზრუნველ ხელს მუხეუმი მოუწყვია — აქ ყველაფერი წინაპრების ყოველდღიური ყოფის მიხედვითაა გაწყობილი. პირველი სართული ერთი მეტრი სისქის კედლიანი ბაშტეა, ანუ

ბოსელი. იატაკად სიბი ქვებით „ზღვევია“ გამართული. ტერმინი „ზღვე“ იმავე მნიშვნელობით გვხვდება მთელ საქართველოში, მთა-სა და ბარში, თუშეთიდან ტაო-კლარჯეთამდე. ბაშტეში განთავსებულია შესაქონლეობასთან დაკავშირებული იარაღ-ინვენტარი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთ კუთხეში გამართულმა, ამალღებულმა სარეცელმა, რომლის აქეთიკით ქალის სახელსაქმო ხელსაწყო ნივთებია, — საჩეჩელი, ჯარა ანუ ჯარანი — ნართის სართავი, თითისტარი. აქ მშობიარობდა თურმე თუშის ქალი, ასეთი ყოფილა ძველი წესი...

ჯარანის ხსენებაზე ერთი ამბავი გაგვახსენდა. მისი მთავარი ნაწილი მრგვალი

ძველებური ნივთები თუშურ ციხე-სახლში



XIX საუკუნის თუშეთის თემების ბეჭდები





ექსპონატის ნაწილი

სადიურები თუშეთში უზადაა...



დღევანდელი დართლოს ერთი ნაწილი სასტუმრო სახლებით

თუში ვაყები თავიანთ ბედაურებთან



ფორმის დეტალია, რომელსაც ასოციაციით თუშებმა ვერტმფრენის „პროპელერი“ მიაბსგავსებს, როცა პირველად ჩამოფრინდა ამ არემარეში. ჯარანი დაარქვეს მათთვის ამ უცნობ სიახლეს, რაც გაცილებით ზუსტად და ლამაზად გამოხატავს მფრინავი მანქანის არსს. ისევე, როგორც ტაო-კლარჯეთის სოფლებში ახლაც თვითმფრინავის, ამ ძნელად გამოსათქმელი, ხელოვნური სახელის ნაცვლად საფრენაის ან ფრინველაის ეძახიან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ქართული ენის დიალექტები ამოუწურავი საგანძურია სალიტერატურო ენისთვის, მით უფრო, როცა ახალი ტერმინის დანერგვაზეა საქმე... მაგრამ დავუბრუნდეთ „თუშურა ოჯახში“ მოგზაურობას.

ციხე-სახლში

ბოსლის ჭერის მარჯვენა კუნჭულში ერთდოა გამოჭრილი, საიდანაც აღმართულ ერთ მორში საფეხურებამოჭრილი კიბით მეორე სართულზე ავდივართ, რომელსაც შუას ეძახიან. ეს ოჯახის საცხოვრებელია დიდი ზომის სიპზე მოწყობილი კერანათი — შუა-ცეცხლიანი კერით. კერანას თავზე ჯაჭვია ჩამოკიდებული სპილენძის ქვაბით, რომელიც სულ „საქმეში“ იყო, სულ თუხთუხებდა. იქვე საუფროსო სკამ-სავარძელი დგას, კედლებთან ჩამწკრივებულია დახრილჯვრებიანი, ამავე დროს ცისკრის ვარსკვლავის სიმბოლო — „ციკინისყურა“ ორნამენტებით დაჭრელებული კიღობანი, რიტუალური პურის საბეჭდავ-და-საჭრელებლები, ხაჭოს დასამზადებელი და სახავიწე უყურო ქვაბი ერაჭუნა, ხის ჩამჩები-ქიტები, „საწვრიმაღლე“ ზარდახშები, სამკაპა და ორკაპა ჩანგლები... სხვა უამრავი ნივთი, რომელთაგან ზოგს სხვაგან ვერ შეხვდებით. ხუთასამდე აქაური ყოფისა და კულტურისთვის დამახასიათებელი ნივთისთვის მოუყრია თავი ნუგზარ იდოიძეს — გამოცდილ ეთნოლოგს.

ციხე-სახლის მესამე სართული „ზედაშუაა“, მომრავლებული ოჯახის, ძმათაშვილების სამყოფელი. მეოთხე სართული კი ორფერდად გადახურული ჭერხოა, მიმენებელი ჩარდახებით, საიდანაც შესასვლელთან მოჯარებულ მტერს, მომხდურს ლოდებს უმენდნენ. XVII საუკუნიდან ციხე-სახლში სათოფურები გაჩნდა, ტრაპეციის ფორმის მოგრძო სარკმლები. შიგნით განიერი, რომელიც გარეთკენ ვიწრო-




XIX საუკუნის ტაძრის ნანგრევები დართლოში

დება. სათოფურებიდან ერთ-ერთი, სახლის შესასვლელს აკონტროლებდა, დანარჩენები სხვა ციხე-სახლის ან კოშკის შესასვლელს...

ციხე-სახლის წინ კართანებია, სიპის ფილაქნით მოგებული სივრცე. კარებები მჭიდროდ და საიმედოდ ირაზებოდა საკედურებში გაყრილი კედით და ვერტიკალური ურდულით, „საგდოლით“.

პოეზიები

XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე შენდებოდა კოშკები თუშეთში, შემდეგ მათი აგების საჭიროება აღარ იყო, შეწყდა თავდასხმა-ომიანობა. ძველ დროში ყველაფერს მოიკლებდნენ თუშები, მაგრამ კოშკების აღმართვას არ ეძალატებოდა. დახელოვებული ოსტატებიც ჰყოლიათ და კოშკების ამგებთა პათივისცემაც არ ეშლებოდათ. ხშირად თვითონ იკლებდნენ საკვებს, მაგრამ ცდილობდნენ ოსტატისთვის არ მოეკლოთ. მთელი სოფელი მონაწილეობდა მათ აგებაში. დიდი ცოდნითა და გამოცდილებით იღებოდა სიპი სიპზე, სართული სართულს ემატებოდა. წესისამებრ, სიმაღლის მატებასთან ერთად, ციხე თანდათანობით ვიწროვდებოდა, 5-6 სართუ-



*ვიც გომეწარიც გადიყრიდ მუქ ფერს,
მზეს ამაჰლალეზდ უმტეროს თავზე
კოციკათ ფანას წვალქონდარას ვკრუფო.
ყვეთილის ცვრიან გვირგვინ მადგ თავზე-
ეთურ თათარაიძე*



პოლონელი ტურისტები ცხენებს ქირაობენ...

ლი აივებოდა და სიპითვე გადაიხურებოდა. კოშკის გადახურვა კიბე-კიბედ დაკბილული, პირამიდული იცოდნენ. კოშკისგან განსხვავებით, 3-4-სართულიანი ციხე-სახლები ორფერდა სახურავით, სიპით დაბურვილი ჭერხოთი ბოლოვდებოდა. მშრალი წყობით იგებოდა კოშკი. აგების შემდეგ კიდევ კარგა ხნის განმავლობაში ისმოდა სიპების ჭრიალი და ჭახანი, სიპი სიპს საუკუნოდ ენიფთებოდა — კოშკის კედლები „ჯდებოდა“. სოფელი ერთი მკვიდრი, მტკიცე ციხესიმაგრე იყო, ციხე-სახლები და კოშკები ისე ახლოს იყო ერთმანეთთან ჩაწყობილი, რომ მაგალითად, დართლოში ორი ბარგიანი ცხენი ერთმანეთს გვერდს ვერ აუვლიდა.

XX საუკუნის დასაწყისიდან ახალი ტიპის, „ახალი შინას“ აშენება დაიწყო თუშებმა, ქალაქების მიხედვით გადმოტანილის, — ქვემოთ კვლავ სიპისა, კვლავ ბაშტე და მეორე სართული საცხოვრებელი, აივნებიანი, ფანჯრებიანი. აივნები მოხარატებული, ჭვირული „ფარდებით“ იყო მორთული, რომლებსაც როგორც სხვაგან, აქაც რაჭველი ოსტატები აკეთებდნენ. დიდი ოსტატობით გამოჰყავდათ

თუშური ფიგურები — „მზისაზე“ და „მთვარე“, „კუწუბა“ და „ციმციმა“ „ჯაჭვეური“ და „ვარსკვლავი“...

ხირიმი თოფი უღელი ხარი ღირდა...

აღმოსავლეთ საქართველოს მთა განთქმული იყო იარაღ-საჭურველის დამზადებით: მთიულეთ-გუდამაყარი ჯაჭვ-ჩაბალახით, ხეესურეთი — ხმლებითა და ფარებით, თუშეთი კი მშვილდისრის, ანუ ფშვინდ-ისრის დამზადებით. მშვილდს თლიდნენ არყის ხის, შოთხვის, ცირცელისა და ფოხვის ანუ ღგნალისაგან. ამზადებდნენ აგრეთვე კომბინირებულ, ორნაწილიან მშვილდს ჯიხვის რქისგან: „ჯიხვო, გუნება მძიმეო, / კლდიდან რამ გამოგიყვანა? / ისარმა ყიაწითელმა, / ფშვინდმა ამ ჩემის რქისაჲ!“

თოფი XVII საუკუნეებში შემოსულა თუშებში. თავიდან კაჟიან თოფს მოუკიდებია ფეხი. რამდენიმე სახისა ყოფილა. უფრო ხირიმი და მაჟარო ფასობდა. ერთი კარგი ხირიმი ერთი უღელი ხარი ღირებულა. ამ ხნიდან თოფი გახდა ერთგული მეგობარი როგორც

კომპიუტერის დაცვის, ისე მტერზე იერიშის დროს. სწორედ ამ დროს ჩნდება აქაურ კომპიუტერში სათოფურები, სალოდე ჩარდახებთან ერთად.

თუშეთში სამი სახის დროშა ყოფილა. ერთი სამხედრო-საბრძოლო იყო, ბაირახი/ბაირახი წოდებოდა. ბაირახი წითელი ფერისა იყო, ოთხკუთხა და ბოლოში დასდევდა სამი „ტოტი“, ვიწრო ზოლები — წითელი, ლურჯი და თეთრი ფერისა. ბაირახს თავში ბუნიკად რკინის შუბი ჰქონდა ჩამოცმული. როგორც წესი, ლაშქრის მეთაური იყო მდროშე. ასეთი ბაირახი, ადღგინილი, ამჟამად გამოფენილია ომალოს მუზეუმში. მეორე დროშას ალამს უწოდებდნენ, გამოჰქონდათ მიცვალებულის სახელზე დაყენებული სადგინის ანუ დოდის დროს. მესამეს „დროშა“ ერქვა და ხატ-სალოცავების კუთვნილი იყო. ხატობა-დღესასწაულების დროს გამოაბრძანებდნენ ხოლმე. ალამსაც და დროშასაც შებმული ჰქონდა პატარ-პატარა ხანზალაეები და მცირე ზომის თეთრი ნაჭრები.

წელწდობა

უამრავი ხატ-სალოცავია თუშეთში. აქაურებიც პატვს მიაგებენ წინაპართა მიერ დანატოვარ სახატო დღეობა-დღესასწაულებს. სათანადო რიტუალებსა და წეს-ჩვეულებების მეთაური, ლუდის მომხარშველი, საგანგებოდ გამოყოფილი პირი, შულტაა. შულტობა გვარსა და სოფელში მორიგეობით უწევთ. ეს იმდენად საპასუხისმგებლო მოვალეობაა, რომ ამ დღისთვის უცხოეთიდანაც კი ჩამოსულა იქ სამუშაოდ წასული თუში, ეს საპატიო მოვალეობა მოუხდია და უკან გაბრუნებულა.

როგორც დანარჩენ საქართველოში, ახალ წელს აქაც იმედითა და ზვალინდელი დღის რწმენით ხვდებოდნენ თუშები. ბევრი საინტერესო სახალწლო წესიც სრულდებოდა ოჯახში. წელწდობას წლის დასაწყისს უწოდებენ. სოფლებში იხარშება ლუდი და იხდება არაყი. ლუდის მოდუღება-მომხარშვა გვარში გამოყოფილ პირს, ნათეს ევალება. ამ საქმეში ყველა ოჯახი მონაწილეობს, მოაქვთ თითო კაბიწი (საწყაოა) ფორი (ძირითადი სალუდე მასალა) და შემა.

ოჯახებში აცხობენ კოტორს, რომელიც ყველა სადღესასწაულო სუფრის თანამდევია. კოტორი თუშური ხაჭაპურია, ჩვეულებრივზე თხელი და მეტი ერბოთი. ასევე აცხობენ სხვადასხვა ფორმისა და ზომის რიტუალურ

პურებს, ბედისკვერებს. მამაკაცის სახელზე „ბაცუკა“ ცხვება, ქალებისთვის — მრგვალი კვერები. აცხობენ აგრეთვე შინას, ანუ სახლის ანგელოზისა და კერიის კვერს. საქონლის ბარაქიანობისა და სიმრავლისთვის ცხვებოდა „ხარის რქები“, „ფურის ჯიქანი“, „ცხვრის დუმა“, „ცხენის ნალი“ და სხვ. ამ ყველაფერს დააღებდნენ ე. წ. ხონზე (ქართლ-კახეთში ხონჩაზე, დასავლეთ საქართველოში გობზე), დადებდნენ აგრეთვე მარილს, ერბოს, ყველს, ტკბილეულს, მატყლსაც და დაელოდებოდნენ მეკვლეს. მანამდე კი, შობა-ახალი წლის სისხამზე, ოჯახის დიასახლისი გადამდიდა ნაღვერდალს, გააჩაღებდა კერაზე ცეცხლს, სპეტაკ თოვლს შემოიტანდა და კერის გარშემო მიმოფანტავდა. უფროს ქალიშვილს უხმოდ გააღვიძებდა, გაგზავნიდა „უძმრახა“ წყლის მოსატანად. ქალიშვილს მხოლოდ წყალთან „გასაუბრების“ ნება ჰქონდა. წყალში შეაგორებდა წაღებულ კვერს, „დაძინებულ“ წყალს ხელის მორევით „გააღვიძებდა“, თან ეტყოდა: „წყალო, კვერი მოგიტანე, ბედ-იღბალი გამატანეო“. „უძმრახა“, კამკამა წყალსაც მიმოაპკურებდნენ კერის გარშემო და ბავშვებსაც ხელ-პირს ამ წყლით დაბანდნენ.

ამასობაში მეკვლეც მოადგებოდა სახლის ზღურბლს. შეგულებული მეკვლე ფეხბედნიერი და პატვსაცემი პიროვნებაა. არც ის მოდის ხელცარიელი. ბარაქის დასაბედებლად მოაქვს პური და პურზე დადებული ყველი, ტკბილეული, მატყლიც!



თუში ქალები გარმონზე დაკვრა-სიმღერით დღესაც „ფასობენ“. ჩვენი მასპინძელი ციალა ბახტურიძე-ილიძე



სახატო
ლუდის
მონარშვა
ომლოში

მეკვლე კარის ზღურბლთან შემოაგორებს პურს და არყით დალოცვასაც მოაყოლებს „შემოდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი, ერთი ესე, ათასი სხვა! გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“.

კერასთან მივა, ორ მუგუზხალს ერთმანეთზე გახაზუნებით ნაპერწკლებს გაყრის და დაყოლებს: „ამდენა ჯალაბობით გიმრავლასთ, ამდენა ცხვარი, ძროხა, ცხენი“.

წელწლობას აუცილებლად იხარშებოდა ლუდი. რომელიმე ოჯახში იმართებოდა „შეყარაის ღამე“, საერთო სუფრა, სადაც შულტა ლუდით უმასპინძლებოდა სოფლის ყველა გვარის წარმომადგენელს.

თუშური ალუდი

არ შეიძლება, საქართველოს ამ მშვენიერ კუთხესა და მის ტრადიციებზე წერდე და აქ შემორჩენილ ლუდის მონარშვის ტრადიციასზე, თუშურ ალუდზე არაფერი თქვა. ის ახლაც სარიტუალო და წმინდა სასმელია ქართველ მთიელებში — ფშავლებში, ხევსურებსა და განსაკუთრებით, თუშებში.

საქართველოში ლუდის გაგრცელებასა და თუშეთში მის აღმნიშვნელ ტერმინ ალუდის წარმოშობასთან დაკავშირებით ოსი ენათმეცნიერი ვასილ აბაევი მიიჩნევდა, რომ ეს სასმელიცა და მისი სახელწოდებაც ირანული

სამყაროდან, კერძოდ ოსებისგან შემოვიდა, რომელთაც აქვთ ტერმინი „ალუთონი“. მაგრამ იმას კი აღარ განმარტავდა, რომ ეს სახელწოდება ოსებში აღნიშნავდა არა სასმელს, არამედ ცხვრის დუმიანაჭრილ კერძს, ხოლო ლუდის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი „ბეგენი“. ქართველმა ეთნოლოგებმა ანდრო ლეკიაშვილმა და ელდარ ნადირაძემ არგუმენტირებულად დაასაბუთეს, რომ ტერმინი ალუდი იბერიულ-კავკასიურ სივრცეს ეკუთვნის, ხოლო თვითონ სასმელი შემოსულია არა ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდან, მსოფლიო ცივილიზაციის აკვან შუმერიდან, რომელიც დადასტურებულად არის ლუდის სამშობლო. ანუ შემოსულია ძველი აღმოსავლეთის სამყაროდან, ვისთანაც მუდმივად მუზობლობდნენ ქართველი ტომები და მჭიდრო კონტაქტებიც ჰქონდათ უძველეს ხალხებთან — შუმერებთან, ხეთებთან, ურარტუელებთან. ასე რომ, შუმერთაგან, ურარტუ-სამხრეთ კავკასიის, ჩვენი მიწა-წყლის გავლით, სწორედ კავკასიური სამყაროდან აქვთ ლუდის კულტურა შეთვისებული ინდოევროპული წარმომავლობის ხალხებს, მათ შორის ოსებს და არა პირიქით.

სხვადასხვა დროს შევსწრებივარ ლუდის მოდულების საინტერესო პროცესს დართლოსა და ომალოში, ტრადიციულ რელიგიურ დღეობებზე. სალოცავები კი, სადაც დღეო-

ბები იმართება, მრავლადაა თუშეთის სოფლებში. ომალოს სალოცავებია მარიამწმინდა, კობალა, წმინდა გიორგი, თურსიქი (ქალების სავედრებელი, რომელსაც შვილიერებასა და ბარაქიანობას შესთხოვდნენ); დართლოს ჯვარ-ხატებია იახსარი, მაღალოელი, კობალა, ხახმატი, მარიამწმინდა. შულტის მოვალეობას, ანუ ხატობის დღესასწაულის წარმართვისა და სადღეობო ლუდის მოხარშვის პასუხისმგებლობას ამ სოფლებში ოჯახები მორიგეობით ასრულებენ. ომალოში შულტა იმ წელს ანხორ იდოიძე იყო, დართლოში — ვაჟა იდოიძე.

ათენგენობის დღესასწაულისთვის ლუდის მოხარშვის სამზადისი ერთი კვირით ადრე დაიწყეს. ამას „ქვამ შეკიდებას“ ეძახიან. ყოველივე ეს სიპით ნაკებ და სიპითვე გადახურულ ორფერდა შენობაში, სალუდეში (საქვამში) მიმდინარეობს. სალუდეც წმინდა ადგილია, სადაც მიმდინარეობს ლუდის მოხარშვა, დუღება-დაყენება. არც სალუდეში შეიძლება ქალების მიკარება. ამიტომ მთელ პროცესს მამაკაცები უძღვებიან. სალუდეში, სულ ცოტა, ორი ქვაბი მაინც არის. ჩვეულებრივ, ქვაბი 250-300 ლიტრიანია. დართლოურ ქვაბში 20-25 თუნგი წყალი ჩადის და ამდენივე კაბიწი ფორი, ანუ დაროშილი, დაღერდილი ქერის ალაო. სალუდეშივე ინახება სპეციალური ინვენტარი: მოხარშული მასის ანუ დარკოს გასაწერი სამჭირ-საყელაები და თხის ბალნის ხაკები, რიტუალური სასმისი თასები, ყანწები, ჯიხურაები — ჯიხვის რქის ყანწები... ხაკებიდან ბოლოს გამოწურული დარკო განსაკუთრებით ტკბილია და ხალისით მომხმარე პატარა თუშის ბიჭები მოუთმენლად

ელიან მის ჩამორიგებას. გამოწურულ დარკოს გადაიტანენ კოდებში, მიამაგრებენ სანთლებს, გაჭრიან თუშურ ხაჭაპურს — კოტორს და შულტაც დაილოცება ხატის სახელით!

ბევრი საინტერესო წესი და რიტუალი დაკვეება ხატ-სალოცავებისადმი მიძღვნილ დღეობებს. ერთი ასეთია ქორბეღელას, მზის საგალობლად ორსართულიანი ფერხულის ჩაბმა. თან მაღლა-მაღლა მიდიოდნენ მეფერხულეები სალოცავისკენ და თან ფერხული ბრუნავდა. ჯვართ უნდა მიახლებოდნენ და იქ უნდა დაშლილიყო. შუაში „მეციხოვნე“ იყო, ფანდურით ხელში. თუ ხატის კარამდე ჩაიშლებოდა ქორბეღელა, იმ წელს ავდრიან ტაროსს დაიჭერდა და ქერ-იფქლის მოსავალიც ცუდი იქნებოდა და ცხვარ-ძროხის გამრავლებაც ნაკლები...

ტრადიციული ლუდითა და სირჩა არყით წელწდობის მოლოცვით დაეასრულებთ ჩვენს რეპორტაჟებს თუშეთიდან. ვემშვიდობებით დართლო-ომალოს, ციხე-სახლებსა და მათ მკვიდრთ: იდოიძეებს, იჭირაულებს, ცაძიკიძეებს, ბახტურიძეებს...

დანანებით ვტოვებთ სტუმართმოყვარე და კომპერავალ თუშეთს და ასევე დანანებით გვაცილებენ მასპინძლები, აქაურების თქმით ხომ, სტუმარს მზე მოჰყავს, მის წასვლას კი „ღურბელი“ („სტუმრის მოისე მზე მოა, / წაისე, შავი ღურბელი“). თუმცა ვტოვებთ მომავალი შეხვედრის სურვილითა და იმედით.

ნოდარ შოშიტაშვილი

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი*





შურნელი
AUTO BILD
 საქართველო
 წარმოგიდგენს



ADMIRAL A V8 (1966)

ძრავა: V8, 4638 სმ3; 190 სხენის ძალა;
 ბაჟს. სიჩქარე: 200 კმ/სთ

DIPLOMAT A V8 COUPE (1966)

ძრავა: V8, 5354 სმ3; 230 სხენის ძალა;
 ბაჟს. სიჩქარე: 206 კმ/სთ

ანდრეას მაი (1971)

ახალი Opel Insignia: უხვედრა წინაპრებთან

ოთხი მოსუსი და

60-იან წლებში „ოველი“ „კაკიბანის“, „აღმირალის“ და „დიპლომატის“ სახით შესანიშნავ ფლაგმანებს ქმნიდა, რომლებსაც 6 და 8-ცილინდრიანი ძრავები ჰქონდათ. ახლა კი განიცანით მორიგი დიდი „ოველი“: ახალი Insignia 5-კარიანი კუპე 4,90-მეტრიანი ფორმატით



ინილუთ სტატიის სრულად შურნელ „AUTO BILD საქართველოს“ იანვრის ნომერში



INSIGNIA (2016)

ძრავა: 4-სილინდრისანი 2.0; 260 სხანის ძალა;
მაჰს. სიჩქარე: 250 კმ/სთ

KAPITAN A V8 (B.J. 1967)

ძრავა: V8, 4638 სმ3; 190 სხანის ძალა;
მაჰს. სიჩქარე: 200 კმ/სთ

ერთი ასალგაზრდა

ერთი რამ თავიდანვე უნდა ვთქვათ: როცა „ოპელი“ 4,95-მეტრიანი ლიმუზინებში V8-ძრავებს დგამდა, „ფოლკსვაგენი“ მხოლოდ 34-ცხენისძალისანი „ხოჭოებით“ იწონებდა თავს. ეს, შესაძლოა, ბევრმა იცოდეს, მაგრამ დამიჯერეთ, მე ყველაზე კარგად ვიცი, რადგან ჰესენელი ვარ და ჩემი ბავშვობა ყვითელი Opel Rekord D-ს უკანა სავარძელზე მაქვს გატარებული. შესაბამისად, მალევე გავიცანი და შევიყვარე ისეთი დიდი „ოპელები“, როგორებიც „კაპიტანი“, „ადმირალი“ და „დიპლომატი“ იყვნენ.

ეს ყველაფერი 70-იან წლებში ხდებოდა. მე ჯერ კიდევ ძალიან პატარა ვიყავი, როცა „ოპელმა“ პირველად გამოუშვა თავისი ე.წ. K.A.D.-სერიის შესანიშნავი ავტომობილები. ახლა კი უკვე აღარც მე ვარ ახალგაზრდა, 45 წელი შემისრულდა და რიუსელსჰაიმში, „ოპელის“ ქარხნის დიდ დარბაზში სწორედ შესანიშნავ „კაპიტანთან“, „ადმირალთან“ და „დიპლომატთან“ ერთად ვდგავარ. ქარხნის თანამშროლებს ახალი Insignia შემოჰყავთ და ტანში ჟრუანტელი მივლის: როგორც იქნა, ახალი დიდი „ოპელი“!

სპარტაკის აჯანყება

რომაული კატაკლიზმი

მონათა აჯანყება სპარტაკის მეთაურობით (ძვ.წ. 73-71) ანტიკური ეპოქის ყველაზე გრანდიოზული გამოსვლა იყო. მან რომის რესპუბლიკა ყოფნა-არყოფნის სასწორზე დააყენა.

გლადიატორები. ანტიკური ხანის მოზაიკა

გიგანტური მასშტაბის მიუხედავად, სპარტაკის აჯანყება მაინც არ გამხდარა რომაელ ისტორიკოსთა ფართო მსჯელობის საგანი. ამიტომ მის შესახებ მწირი და ფრაგმენტული ცნობები გვაქვს. რომაელი ისტორიკოსი ლუციუს ფლორუსი წერდა: „ვინ იქნებოდა გულგრილი იმის ყურებისას, რომ მსოფლიო მბრძანებელი ხალხი საკუთარ მონებს ეომებოდა და არ შეეძლო მათი განადგურება ერთი ძლიერი დარტყმით... არ ვიცი, რა დავარქვათ სპარტაკის ხელმძღვანელობით წარმართულ ომს, რადგან მონები ჯარისკაცებად იყვნენ, ხოლო გლადიატორები — უფროსებად“. ისტორიკოსი დასძენდა, რომ მონებმა „აბუჩად აგდებით ჩვენი უბედურებები გაზარდეს“. ამგვარი დამოკიდებულების გამო, აჯანყებისა და სპარტაკის ცხოვრების ბევრი დეტალი დღეს უცნობია.

ქალაქ კაპუაში, გნეუს კორნელიუს ლენტულუს ბატიატუსის საგლადიატორო სკოლაში, ძვ.წ. 73 წლის გაზაფხულზე მღელვარება მოხდა, რომელიც 200-მდე გლადიატორმა მოაწყო. სკოლის ადმინისტრაციამ გამოსვლის მკაცრად ჩაშშობა სცადა, თუმცა 80-მდე გლადიატორმა გაქცევა მოახერხა. გზად მათ საგლადიატორო სკოლისთვის განკუთვნილი იარაღის ადალი შეეჩნათ. ისინი შეიარაღდნენ და დაახლოებით 35 კმ-ის გავლის შემდეგ,



თავი ვულკან ვეზუვის შეაფარეს, იქიდან მიმდებარე ტერიტორიების რბევას მიჰყვეს ხელი.

ვეზუვის დღევანდელი 1279-მეტრიანი ვულკანური კონუსი მაშინ უფრო დაბალი იყო. ერთი შეხედვით, ვეზუვი თავდაცვისთვის ხელსაყრელი ადგილი გახლდათ, რადგან მისკენ მხოლოდ ერთი ბილიკი მიდიოდა, მაგრამ იმავედროულად, აჯანყებულთათვის ხაფანგად გადაიქცა.

გაქცეულებმა, როგორც ჩანს, მეთაურებად აირჩიეს სპარტაკი, კრიქსი და ენომა. გლადიატორების წინააღმდეგ საბრძოლველად კი 3 000-კაციანი რაზმით პრეტორი გაიუს პულხერი (ზოგი ისტორიკოსის ცნობით, გაიუს კლოდიუს გლადრიონი. — კ.ს.) გაიგზავნა. გამოცდილი ოფიცრის გათვლით, გაქცეულებს შიმშილი, ადრე თუ გვიან, დანებებას აიძულებდა. მონები სპარტაკის მოხერხებულობამ იხსნა. მისი მითითებით, აჯანყებულებმა ველური ვაზით ბაგირი დაწნეს და იმით ისარგებლეს, რომ კრატერის კლდოვანი მხარე დაუცველი იყო. დამით დაახლოებით 300 მეტრი სიმაღლიდან დაემუნენ და მიინარე ბანაკს დაესხნენ თავს. მოულოდნელობის ფაქტორმა შედეგი გამოიღო და აჯანყებულებმა პირველი გამარჯვება იხეიმეს. ამ გამარჯვებაში უდავო იყო ერთი აჯანყებული მონის — სპარტაკის (ძვ.წ. ?-71 წწ.) წვლილი.

თრაკიელი

ისტორიოგრაფიაში არ არის ერთიანი პოზიცია სპარტაკის წარმომავლობის შესახებ. ისტორიკოსები თანხმდებიან, რომ იგი თრაკიელი სპარტოკიდების დინასტიიდან იყო, მაგრამ კონკრეტულად რომელი ტომიდან, ამის თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი მიიჩნევენ, რომ სპარტაკი წარმოშობით იყო სპარტის ტომიდან, ხოლო „სპარტი“ და „სპარტაკი“ იმავე მნიშვნელობის სახელებია, რაც „რომაელები“ და „რომულუსი“. სხვები მას თრაკიული მედების ტომს აკუთვნებენ. არის სხვა პოზიციაც... თრაკია რომს ძვ.წ. 78-76 წლებში შემოუერთა მაკედონიის პროკონსულმა, აპიუს კლაუდიუს პულხერმა (ძვ.წ. 125-76 წწ.) — სპარტაკის მიერ ვეზუვისთან დამარცხებული გაიუს პულხერის ძმამ. სავარაუდოდ, სპარტაკიც მაშინ ჩაუვარდა რომაელებს ტყვედ და რადგან სამხედრო ოსტატობით გამოირჩეოდა, რომის არმიის დამხმარე ნაწილებში განამწყესეს.

რომაულ არმიაში ყოფნა სპარტაკისთვის დიდი სკოლა იყო, მაგრამ იქ დიდხანს არ გაჩერებულა, დეზერტირი გახდა და მითრიდატე ეპატორის (ძვ.წ. 120-63 წწ.) ლაშქარში გადაბარდა. უცნობია, მეორედ სად ჩავარდა ტყვედ. რომაული წესით, მეორედ რომაელთა წინააღმდეგ მახვილის აღმართვის შემთხვევაში, ტყვე საგლადიატორო სკოლაში ან კატორღაში მიდიოდა. სპარტაკს გაუმართლა და საგლადიატორო სკოლაში მოხვდა. ამ დროისთვის, სავარაუდოდ, იგი 20-24 წლის უნდა ყოფილიყო. სკოლაში მიღების ასაკი ძირითადად 17-24 წლები იყო.


პლუტარქეს დახასიათებით, სპარტაკი „გონებით და ხასიათით უფრო ელინსა და მაღალი მდგომარეობის ადამიანს ჰგავდა“. ბატიატუსის სკოლაში სპარტაკი დაიხვეწა მირმილონის (კარგად შეჭურვილი გლადიატორი) როლში. არ ვიცით, რამდენი გამარჯვება იზეიმა, მაგრამ ფაქტია, რომ ორთაბრძოლებში თავის გამოჩენის გამო სპარტაკმა ხის დაშნა დაიმსახურა, რაც თავისუფლებას ნიშნავდა. მას შეეძლო წასვლა, მაგრამ ბატიატუსის სკოლაში დარჩენა არჩია, სადაც სპარტაკს უკვე ლანისტის (ფარიკაობის მასწავლებელი) მოადგილის რანგში ვხვდებით. სკოლაში სპარტაკს სხვებთან შედარებით უკეთესი პირობები ჰქონდა, ჰყავდა მეუღლეც, მაგრამ მაინც მიემხრო შეთქმულებს.

მონათა არმიის შენება

ვეზუვისთან გლადიატორების რომაელებზე პირველი გამარჯვების ცნობა ელვის სისწრაფით მოედო იტალიას. აჯანყებულებთან თავმოყრა დაიწყო სოფლისა და ქალაქის მონებმა, მწყემსებმა და სხვებმა. აჯანყებულთა რიცხვმა ერთბაშად გადააჭარბა 10 და 20 ათასს. ამ დროს გამოჩნდა სპარტაკის გენიალურობაც. მან კარგად იცოდა, რომ რომაელთა ყველა წარმატება განპირობებული იყო სამხედრო მომზადებით, ბანაკის დისციპლინითა და საბრძოლო პრაქტიკით. ამიტომაც აჯანყებულთა გავრთნა რომაული არმიის ყაიდაზე დაიწყო. სპარტაკმა ისინი დაყო მემურდულეებად, მსუბუქ და მძიმედ შეიარაღებულ მეთრეებად. არმიის ბირთვი იყო ლეგიონი, რომელიც ითვლიდა, სულ ცოტა, 4800 ქვეითსა და 120 მხედარს. ლეგიონის სათავეში იდგა ლევატი, რომელსაც ექვსი ტრიბუნი ეხმარებოდა, სპარტაკის შემთხვევაში — უახლოესი თანამებრძოლი გლადიატორები. ლეგიონი იყოფოდა კოჰორტებად, მანიპულეებად და ცენტურებად.

არმიას აუცილებლად ეყოლებოდა ყოფილი მწყემსებისგან დაკომპლექტებული

სპარტაკის სკულპტურა ლუერში



კავალერია და დამხმარე დანაყოფები, მკაცრად განისაზღვრებოდა ბანაკად ღვომისა და ლაშქრობის წესი. ყველა საკითხი მეთაურთა საბჭოში წყდებოდა. სპარტაკმა მუდმივი ვარჯიშით სწრაფად შექმნა იმ დროისთვის ერთ-ერთი საუკეთესო არმია. მისმა ჯარისკაცებმა შესანიშნავად იცოდნენ მტრის მოქმედებაზე რეაგირება, მაგრამ საბრძოლო იარაღის მწვავე ნაკლებობა სპარტაკის არმიის სუსტ წერტილად რჩებოდა.

რომის სენატი სპარტაკის ქმედებებში ჩვეულებრივ ყაჩაღს ხედავდა. აჯანყებულთა წინააღმდეგ ვებუვისკენ პრეტორი პუბლიუს ვარინიუსი გაიგზავნა. სპარტაკმა ბრძოლაში დასწრება ამჯობინა და პომპეა-ჰერკულანუმის მონაკვეთში და ლუკანიასთან ორმაგი დარტყმით, ვარინიუსის არმია გაანადგურა. აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა იტალიის მდიდარი მხარეები — კამპანია, აპულია და ლუკანია.

წარმატებებმა სპარტაკი ერთბაშად შეცვალა. იგი უკვე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გარეგნულ იერსახეს და რესპუბლიკის ეპოქის კონსულის მსგავსად იმოსებოდა. ასეთი პომპეზურობა თავისი მეომრებისა და მის მხარეს მყოფი იტალიკების თვალში ამაღლებისთვის სჭირდებოდა.

მომდევნო ბრძოლაში სპარტაკმა დაამარცხა რომაელი მხედართმთავარი გაიუს ტორანიუსი. ამ გამარჯვებით აჯანყებულთა ხელში მოექცა სამხრეთი იტალია კალაბრიისა და ბრუტიუმის ჩათვლით. კამპანიიდან სპარტაკი ლუკანიაში გადავიდა, რომელიც პირწმინდად გაძარცვეს აჯანყებულებმა. მათი რაოდენობა უკვე 70 ათასს აღწევდა.

არმიის რიცხობრივი ზრდა სპარტაკისგან მოითხოვდა კვლავ და კვლავ წვრთნას, კავალერიის ახლებურად მოწყობას და სხვ. პლუტარქეს ცნობით, ძვ.წ. 72 წლისთვის, სპარტაკი „მრისხანე ძალად ჩამოყალიბდა. მაგრამ, როგორც ჭკუათმყოფელ ადამიანს, ესმოდა, რომ რომის ძლიერებას ვერ დაძლეოდა, ამიტომ თავისი არმია ალპებისკენ წაიყვანა. იმედოვნებდა, რომ მთებზე გადასვლის შემდეგ ყველას შინ დაბრუნების საშუალებას მისცემდა.

არადა, იმ მომენტისთვის საერთაშორისო და შიდა პოლიტიკური ვითარება რომისთვის არახელსაყრელი იყო. წვრილი ომების გარდა, რომაელები აღმოსავლეთში პონტოს მეფე




მითრიდატე VI ეპატორს ეომებოდნენ, ხოლო დასავლეთში, ესპანეთში, განმდგარ კვინტუს სერტორიუსს (ძვ.წ. 123-72 წწ.). ის ძვ.წ. 72 წლისთვის ღიღების ზენიტში იმყოფებოდა. სერტორიუსის, სპარტაკისა და მითრიდატეს ინტერესების თანხვედრას რომის მსოფლიო სახელმწიფოს დამხობა შეეძლო. მაგრამ ასე არ მოხდა.

სენატმა გააცნობიერა აჯანყებისგან მომდინარე საშიშროება. ამჯერად აჯანყებულთა წინააღმდეგ გაგზავნეს კონსულები გნეუს ლენტულუს კლოდიუსი (ძვ.წ. 114-45 წწ.) და ლუციუს ჰელიუს პუბლიკოლა (ძვ.წ. 120-60 წწ.). უნდა ითქვას, რომ ლენტულუსის ანგარიშზე იყო წარუმატებელი ბრძოლები სერტორიუსის წინააღმდეგ. რომში იგი უფრო მჭევრმეტყველებით იყო ცნობილი, ვიდრე სამხედრო ტალანტით. პუბლიკოლა კი სამხედრო საქმეში გამოცდილი პირი გახლდათ.

ჩრდილოეთში

სპარტაკმა არმია ალპების მიმართულეობით დაძრა. სამხედრო მარშზე მისი არმია დაყოფილი იყო ორ ნაწილად. ერთს თვითონ მიუძღოდა, ხოლო მეორე ნაწილს კრიქსი. კონკრეტული მიზნები უცნობია, მაგრამ ნათუ-



სპარტაკმა მარადიულ ქალაქზე იერიში არ მიიტანა (სურათზე: ძველი რომის თანამედროვე რეკონსტრუქცია)

კვლავ წარმოაჩინა ბრწყინვალე მხედართმთავრული ნიჭი. სპარტაკმა დასწრება ამჯობინა, ვერ კლოდიუსი დაამარცხა, შემდეგი პუბლიკოლა. გამარჯვებულმა სპარტაკმა ბრძოლის ველზე 300 ტყვე რომაელს საგლადიატორო ორთაბრძოლაში მონაწილეობა და ერთმანეთის დახოცვა აიძულა. ასე იძია შური კრიქსის სიკვდილისთვის.

ალპებისკენ მიმავალ გზაზე სპარტაკი ახალ გამარჯვებებს ზეიმობდა. შემხვედრ ქალაქებს აჯანყებულები პირწმინდად მარცვავენ. მდინარე პოსკენ მიმავალ სპარტაკს, მუტინას სიმაგრესთან (დღევანდელი ქალაქი მოდენა. — კ.ს.), სპარტაკს ციხალპიური გალიის პროკონსული გაიუს კასიუს ლონგინუსი გადაედო. იგი სასტიკად დაამარცხეს აჯანყებულებმა, რომელთა მხარეს რიცხოზრივი უპირატესობა იყო. იგივე ბედი ეწია პრეტორ გენეუს მანლიუსსაც. ამ გამარჯვებებით სპარტაკის ხელში კიდევ ერთი მდიდარი პროვინცია აღმოჩნდა. ამ დროს სპარტაკმა არმია დაასვენა და ადგილობრივი გლეხებითა და მონებით შეავსო. აჯანყებულთა რაოდენობამ 120 ათასს მიაღწია.

დასასრულ, როცა არმია მზად იყო ლაშქრობისთვის და ალპებისკენ მიმავალი გზაც თავისუფალი გახლდათ, სპარტაკმა მოულოდნელად გეგმა შეცვალა. იგი შემობრუნდა და სამხრეთისკენ გაემართა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი გაურკვეველია. გზაზე, პიცენის მხარეში, აჯანყებულებმა კვლავ დაამარცხეს რომაელები. ამ გამარჯვებით სპარტაკმა დაამტკიცა, რომ იყო შესანიშნავი მხედართმთავარი, რომელმაც უდიდესი ძალით მონებისგან, უფულოდ და სამხედრო აღჭურვილობის ნაკლებობის პირობებში შექმნა არმია, რომელიც ლეგიონებს ამარცხებდა. სპარტაკმა სიახლევ შეიტანა სამხედრო ორგანიზაციაში და კავალერიის, მსუბუქად შეიარაღებული ნაწილებისა და დაზვერვის როლი გაზარდა.

სამხრეთი

რომი შიშმა მოიცვა. თუცა მარადიულ ქალაქს სპარტაკმა გვერდი აუარა და სიცილიისკენ გაემართა. უკვე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ არც ერთი გავლენიანი რომაელი

ღია, რომ ეს ყოველივე აჯანყებულთა შორის უთანხმოებაზე მიანიშნებდა. ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ რომთან შემდგომი ბრძოლის თაობაზე. სპარტაკი აჯანყებულთა იტალიიდან გაყვანას ემხრობოდა, კრიქსი და მის ზურგს უკან მდგომი გალ-გერმანელები კი, რომლებიც ვითარებას რეალურად ვერ აფასებდნენ, რომზე იერიშს მოითხოვდნენ. სხვა მიზეზებიდან ასახელებენ სპარტაკის მიერ დისციპლინის განმტკიცების მიზნით არმიაში ოქრო-ვერცხლის ხმარების აკრძალვას და სხვ. დღეს ძნელია თქმა, ამ მიზეზებიდან რომელია რეალური. ფაქტი ის არის, რომ აჯანყებულთა დაყოფა-დაქსაქსვა საქმეს რომაელებს უადვილებდა.

არმია რომაელებმაც გაყვეს. თავდაპირველად, ჩვენთვის უცნობ გარემოებაში, პუბლიკოლამ გაანადგურა ენომის ჯარი. შემდეგ, ადრიატიკის ზღვის მახლობლად გარგანოსის მთასთან ცხარე ბრძოლაში რომაელებმა კრიქსის 20-ათასიანი არმია დაამარცხეს. კრიქსი ბრძოლაში დაეცა.

კრიქსისა და ენომის მარცხმა სპარტაკის მდგომარეობა გაართულა. იგი ორ კონსულს შორის აღმოჩნდა, მაგრამ ძნელ ვითარებაში



გამარჯვებული გლადიატორი ტრიბუნების გადაწვევტილებას ელის

არ რისკავდა თავისი სამხედრო რეპუტაციის სასწორზე დადებას. იმ მომენტისთვის რომი კარგი სარდლისა და ჯარისკაცების ნაკლებობასაც განიცდიდა. სპარტაკის დამარცხებულმა კონსულებმა ავტორიტეტი დაკარგეს, ამასთან, მოხსნილი ჰქონდათ სამხედრო უფლებებიც. ძლიერი მხედართმთავრები (გენეუს პომპეუსი, ლუციუს მეტელუსი და ლუციუს ლუკულუსი) ევროპა-აზიის სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდნენ. სენატის განკარგულებაში იყო მხოლოდ ცუდად შეიარაღებული ჯარისკაცები და ვეტერანები. ასეთ ვითარებაში, რომში გამოჩნდა პიროვნება, რომელმაც გარისკა. ეს გახლდათ მარკუს ლიცინიუს კრასუსი (ძვ.წ. 114-53 წწ.). სენატმაც იგი საგანგებო უფლებებით აღჭურვა და აჯანყებულების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება დაავალა.

სამხედრო ნათლობა კრასუსს ძვ.წ. 82-81 წლებში ჰქონდა მიღებული ლუციუს კორნელიუს სულას ხელმძღვანელობით. იყო დიდი ქონების მფლობელი, ეკუთვნოდა 20 ათასი მონა. სარდლობისკენ კრასუსს პატივმოყვარეობა უბიძგებდა. მას თავის გამოჩენის შანსი მიეცა და ისიც ენერგიულად ამოქმედდა. სას-

წრაფოდ შეკრიბა ექვსი ლეგიონი, რომელსაც კონსულთა ხელში მყოფი ორიც დაუმატა. მისი დროშის ქვეშ 40 ათასი ჯარისკაცი შეიკრიბა, რასაც დამხმარე და მოკავშირეთა ჯარი დაემატებოდა. ეს უკვე დიდი სამხედრო ძალა იყო.

კრასუსსა და სპარტაკს შორის პირველი შეტაკება მოხდა ძვ.წ. 72 წლის შემოდგომაზე, პიცენის მხარეში. უფრო ზუსტად, ეს იყო კრასუსის მიერ შემოვლითი მანევრისთვის ორი ლეგიონით გაშვებული ლეგატის, მემიუსის წამოწყებული ბრძოლა. მემიუსის მოქმედებას ახსნა არ აქვს, რადგან ნაბრძანები ჰქონდა ყოველგვარი ბრძოლისთვის თავის არიდება და შემოვლითი მანევრით მტრის ზურგში გასვლა. საუარაუდოდ, მემიუსს მეტისმეტად სურდა თავის გამოჩენა, რისთვისაც მკაცრად დაისაჯა. აჯანყებულებს ხელთ ჩაუვარდათ რომაელთა სამხედრო ნიშნებიც, რაც სამხედრო სირცხვილად მიიჩნეოდა. მარცხმა, სამხედრო ნიშნების დაკარგვამ და მკაცრი სამხედრო დისციპლინის აუცილებლობამ კრასუსი აიძულა, დეზერტირები დეციმაციის წესით დაესაჯა — მან მემიუსის ჯარისკაცებიდან ყოველი მეთუ გამოასალმა სიცოცხლეს.

ძვ.წ. 71 წლის ადრიან გაზაფხულისთვის კრასუსისგან შევიწროებულმა სამხრეთ იტალიაში მყოფმა სპარტაკმა მესინის სრუტისკენ (ჰყოფს სიცილიას კონტინენტისგან) დაიხია. ერთი შეხედვით სრუტე არ არის განიერი, 3,1 კილომეტრია ყველაზე ვიწრო წერტილში, მაგრამ იქ არის ძლიერი მორეგები და სწრაფი დინება — დაახლოებით 9 კმ საათში. სპარტაკი კილიკიელი მეკობრეების იმედად გვემავლა სრუტის ფორსირებასა და სიცილიაში გადასვლას, სადაც მონების აჯანყება უნდა გაეშალა. მაგრამ მეკობრეები კილიკიის პროკონსულმა ვერესმა გადაიბირა. მათ საფასურიც ჩაითვალეს და აჯანყებულებიც დააღალატეს. სპარტაკი სრუტის გადალახვას ტივებით შეეცადა, მაგრამ წარუმატებლად.

აჯანყებულებისთვის სხვა წასასვლელი არსად იყო, უკან მიმავალი გზა კრასუსმა ჩაკეტა. რომაელ მხედართმთავარს უპირატესი პოზიცია ეკავა და აჯანყებულებზე შეტევას მათი იზოლირება ჯობდა. მისი ბრძანებით, ლეგიონერებმა თითქმის 55 კილომეტრის სიგრძის ღრმა თხრილი გათხარეს.

თავდაპირველად სპარტაკი ამ ნაკეობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა, რადგან იტალიაში დარჩენას არ ფიქრობდა. მაგრამ სრუტის გადალახვის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ მიხვდა, რომ ხაფანგში იყო მოქცეული. ჯერ წარუმატებლად შეუტია რომაელებს, მერე კი თხრილის სხვადასხვა უბანზე წვრილი შეტაკებების ტაქტიკას დაადგა. კრასუსმა ლოდინის პოლიტიკა აირჩია, რაც მისთვის მომგებიანი იყო, რადგან შიმშილით შეძლებდა აჯანყებულების დაჩოქებას. კრასუსმა მათი მხრიდან მოლაპარაკების ყველა წინადადება უარყო. ერთ მომენტში რომაელებმა ყურადღება მოაღწუნეს, რითაც სპარტაკმა ისარგებლა. ზამთრის ქარბურქიან ღამეს აჯანყებულებმა ცრუ შეტევა მიიტანეს თხრილის მონაკვეთზე და რომაელების ყურადღებაც მიიქციეს. ალყაში მოქცეულებმა, დაზოცილთა გვაშებითა და ხეებით თხრილის სხვა მონაკვეთი ამოავსეს, რაზეც სპარტაკის არმიამ გადაიარა.

ალყის გარღვევის შემდეგ სპარტაკს მოქმედების თავისუფლება მიეცა. კრასუსი მდევნელის როლში აღმოჩნდა. იგი ხედავდა, რომ გამარჯვებულის სახელი ხელიდან ეცლებოდა და ამიტომაც შეეცადა, მონათა ომისთვის წერტილი კონკურენტი სარდლების გამოჩენამდე დაესვა.




მირმილონი — კარგად შეჭურვილი გლადიატორი

იტალიაში სარდლების — პომპეუს-ლუკულუსის ტანდემის გამოჩენითა და მათთან კრასუსის გაერთიანებით უდიდესი ძალა იქმნებოდა, რომლის ძლევა წარმოუდგენელი ჩანდა. ეს კარგად ესმოდა სპარტაკს, რომელმაც ვითარება აჯანყებულებს გააცნო. გენერალური ბრძოლის გამართვა აშკარად უაზრობა იყო. საჭირო იყო მონების სასწრაფოდ გაყვანა იტალიიდან და სპარტაკიც ადრინდელ გეგმას დაუბრუნდა.

აღსასრული

აჯანყებულთა უზარმაზარი მასის იტალიიდან გაყვანა მხოლოდ კალაბრიის ქალაქ ბრუნდიზიუმიდან შეიძლებოდა. იქ მყოფი გემებით ადვილი იყო ადრიატიკის ზღვის გადაცურვა, აღმოსავლეთით კი სპარტაკი, სავარაუდოდ, მითრიდატე ვეპატორის ლაშქარს მიაშურებდა. მაგრამ აჯანყებულები ბრუნდიზიუმამდე ვერ მივიდნენ, სპარტაკმაც კვლავ შეცვალა გეგმები და მიზნად კრასუსის განადგურება დაისახა.

ამასობაში, ლუკანის ტბასთან, სპარტაკს ჩამოშორდა გალ-გერმანელთა 35-ათასიანი შენაერთი გაიუს კანიციუსისა და კასტუსის



სპარტაკის სიკვდილი. პერმან ფოგელი, 1882

მეთაურობით. კრასუსმა აჯანყებულთა შორის განხეთქილებით უმაღლესად ისარგებლა და განდგომილებზე ბრწყინვალე გამარჯვება იხეიმა. სპარტაკის დევნა მან ლეგატ კვინტუს არიუსს დაავალა, თუმცა სიფრთხილე დაკარგა და აჯანყებულთა წინააღმდეგ დამოუკიდებლად მოქმედება წამოიწყო, რისთვისაც დაისაჯა. სპარტაკმა არიუსი ბრძოლაში დაამარცხა.

ამ გამარჯვებამ აჯანყებულებში კვლავ წარმოშვა იტალიის დატოვების საკითხის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა. აშკარა იყო, რომ ყოველი გამარჯვება აჯანყებულებს რეალურობის აღქმის უნარს აკარგვინებდა. ეს კი სპარტაკის თვადაპირველ გეგმებს ამსხვრევდა. ასეთ ფონზე, უკანასკნელი შეჯახება კრასუსსა და სპარტაკს შორის ძვ.წ. 71 წლის გაზაფხულზე გაიმართა მდინარე სილარის ხემოწველში, ქალაქ პესტუმის მახლობლად. ამჯერად კრასუსმა ვერ გაბედა აჯანყებულებზე ელვისებური იერიშის მიტანა და მოწინააღმდეგისთვის თხრილის შემოვლება წამოიწყო. სამუშაოები ჯერ არ იყო დასრულებული,

რომ მხარეებს შორის მცირე შეტაკებებით ბრძოლა დაიწყო.

სპარტაკმა გარისკა, კრასუსის პირისპირ ქვეითები დატოვა, ხოლო ცხენოსანთა რაზმით ბრუნდისიუმის იერიში წამოიწყო, მაგრამ ბრუნდისიუმში თავისი არმიით უკვე იმყოფებოდა მაკედონიის ყოფილი პროკონსული მარკუს ტერენციუს ვარონ ლუკულუსი (ძვ.წ. 116-256 წწ.), ლუციუსის უმცროსი ძმა. ამან ვითარება მკვეთრად შეცვალა, რადგანაც გაქრა იტალიიდან გემებით აჯანყებულების გაყვანის იმედი. თანაც, ბრძოლაში ახალი ლეგიონები ებმებოდა და სპარტაკმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ კვლავ ძველ მოწინააღმდეგეს — კრასუსს შერკინებოდა.

ბრძოლის შედეგი წინასწარ იყო ცნობილი. რომაელებს უპირატესობა ჰქონდათ ხანგრძლივი მარშით დაქანცულ სპარტაკის ჯარისკაცებთან. პლუტარქეს ცნობით, ბრძოლის წინ სპარტაკს ცხენი მიჰკვარეს, მაგრამ მან მახვილით განგმირა და განაცხადა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მოწინააღმდეგის

საუკეთესო ბედაურს აირჩევდა. ამ ნაბიჯით სპარტაკმა ყველას აუწყა მომენტის სიმძიმე.

ბრძოლა აჯანყებულებმა დაიწყეს. სპარტაკი შეეცადა კრასუსის მოკვლით ბრძოლაში გარდატეხის შეტანას. მონები გაათკეცებული ძალით იბრძოდნენ. სიმამაცის მაგალითს თვით სპარტაკი იძლეოდა, რომელმაც ორი ცენტურიონიც განგმირა. პლუტარქეს ცნობით, სპარტაკი წინა რიგებში იდგა და ბრძამეში დაჭრილი, ცალ ფეხზე დაჩოქილი განაგრძობდა ბრძოლას, ვიდრე რომაელებმა ერთიანად არ აჩეხეს. ფლორუსის შენიშვნით, მონები „იბრძოდნენ არა სიცოცხლისთვის, არამედ სიკვდილისთვის... თვით სპარტაკი მამაცურად იბრძოდა პირველ რიგებში და ბრძოლაში დაეცა ისე, როგორც შეეფერებოდა დიდ მხედარდამთავარს“.

უმეტაურად დარჩენილი მონების ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. კრასუსმა გაიმარჯვა. ბრძოლის ველზე 49 ათასი აჯანყებული ესვენა, ხოლო 6 ათასი ტყვე რომი-კაპუას შორის გზის გასწვრივ აცვეს ჯვარს. გაქცეული 5 ათასი დემორალიზებული აჯანყებული ეტრურიაში გნეუს პომპეუსს შეეჩება, რომელმაც მონათა ომს წერტილი დაუსვა.

სპარტაკი დამარცხდა. მისი წამოწყებული მონათა აჯანყება ისტორიის კუთვნილება გახდა. ცხადია, საინტერესო იქნებოდა გაგება,

რა შეიცვლებოდა სპარტაკის გამარჯვების შემთხვევაში. საგარაუდოდ, არც არაფერი — მონები გახდებოდნენ ბატონები და პირუკუ იდგა, რომ კაცი კაცის საკუთრება არ უნდა იყოს, სამწუხაროდ, ანტიკურმა აზროვნებამ არ იცოდა.

* * *

სპარტაკის აჯანყებას, ანტიკურ პერიოდში მომხდარი მონათა სხვა გამოსვლებიდან განასხვავებდა ბრძოლის ორგანიზებულობა, მასშტაბები და მიზანი. მართალია, იტალიიდან მონების გაყვანის ამოცანა მკაფიოდ არ გამოკვეთილა, ამას ემატებოდა მონარქიის, მეფისა და სახელმწიფოს შექმნის სურვილის უქონლობაც. ერთი შეხედვით ასეა, მაგრამ არაჰინ იცის, სიცილიის დაუფლების შემდეგ რას მოიმოქმედებდა სპარტაკი. მით უმეტეს, რომ მანამდე კუნძულზე ორჯერ სცადეს „მონათა სახელმწიფოს“ (სიცილიის I და II აჯანყებისას. — კ.ს.) შექმნა.

ფაქტია, რომ სპარტაკის აჯანყების შემდეგ რომის იმპერიაში მონათა მდგომარეობა შეიცვალა. თუ აჯანყებამდე მონის ზედამხედველი მისი მფლობელი იყო, ეს პასუხისმგებლობა ნაწილობრივ სახელმწიფომაც იტვირთა.

კახა სურგულაძე

6 ათასი აჯანყებული რომაელებმა ჯვარზე გააკრეს (ფილორ ბრონიკოვი, 1878 წ.)





„მსოფლიოს დირექტორები“

აშშ-ისა და რუსეთის ურთიერთობა საბოლოოდ ერაყში 2002 წელს ომის დაწყების შემდეგ გაფუჭდა

მიხაილ ზიბარის „კრემლის ლაშქარი“ — თანამედროვე რუსეთის მოკლე ისტორია

(დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №№67-72)

როცა პუტინი დასავლელ კოლეგებს ტერორიზმთან ომზე მოუთხრობდა, ისინი ყურადღებით უსმენდნენ და ისე აჩვენებდნენ, თითქოს სჯეროდათ. თავს უქნევდნენ და ეუბნებოდნენ, რომ ხელშეწყობას შეეცდებიან. მაგრამ რეალურად სხვაგვარად გამოდიოდა. ჯერ დახვეწილად მიიტანა კრემლში ფოტომასალა, რომელზეც გადაღებული იყო, როგორ გადასცემენ აზერბაიჯანში აშშ-ის საელჩოს თანამშრომლები ყალბ საბუთებს ჩეჩნური ბანდოორმირებების წევრებს. ეს ფოტოები ზედმეტი ხმაურის გარეშე აჩვენეს მოსკოვში აშშ-ის საელჩოს. ამერიკელები ბოდიშს იხდიდნენ, ირწმუნებოდნენ, რომ შეცდომა მოხდა, რომ ეს რომელიღაც მოხელის თვითნებობაა და დამნაშავე დიპლომატს დაუყოვნებლივ გაიწვევენ.

თუმცა დროთა განმავლობაში სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ აშშ არ ჩქარობს, დაეხმაროს რუსეთს ტერორიზმთან ბრძოლაში. მაგალითად, არ ხურავდნენ იმ ისლამურ ფონდებს, რომლებსაც კრემლი ჩეჩნური იატაკქვეშეთის დაფინანსებაში ადანაშაულებდა. „ჩვენ ისინი შევაბოძეთ, ისინი წმინდა

ჰუმანიტარულ ფუნქციებს ასრულებენ“, — პასუხობდნენ ვაშინგტონში. 11 სექტემბრის შემდეგ, ყველა ეს ფონდი მყისიერად აკრძალეს. კრემლში წყენა დაიხსომეს: ვაშინგტონის ქცევა ნიშნავდა, რომ ფონდების ფუნქცია სულაც არ იყო ჰუმანიტარული. უბრალოდ, როცა რუს ჯარისკაცებს ხოცავდნენ, ამერიკელებისთვის სულერთი იყო, ახლა კი, როცა ამერიკელების მოკვლა დაიწვეს, ზომებსაც მიმართეს.

11 სექტემბერი გახდა რუსეთსა და აშშ-ს შორის იშვიათი ერთიანობის მომენტი. ვლადიმერ პუტინი პირველი მსოფლიო ლიდერი იყო, რომელმაც ბუშს დაურეკა თანადგომის გამოსახატავად. ამ მომენტიდან პუტინს გაუადვილდა ახსნა, ვის ებრძვის ჩეჩნეთში, — იქ იგოვე „ალ ყაიდა“, რომელიც აშშ-ს დაესხა თავს. ამ კონცეფციის ავტორი, რომელიც განმარტავდა, რომ რუსეთის მტრები უფრო ძლიერი არიან, ვიდრე ჩანან, იყო უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის უფროსი ნიკოლაი პატრუშევი.

კრემლი ამერიკელების შემდგომ ქმედებებსაც მთლიანად უჭერდა მხარს. თალიბების რეჟიმი ავღანეთში მუდამ უკიდურესად მტრულად იყო განწყობილი რუსეთის მიმართ: ჯერ

ერთი, თალიბები იდეოლოგიური მემკვიდრეები იყვნენ იმ მოჯაჰედებისა, რომლებმაც 1980-იან წლებში სსრკ დაამარცხეს. გარდა ამისა, ისინი ახდენდნენ სიტუაციის დესტაბილიზებას ტაჯიკეთსა და უზბეკეთში, ე.ი. ნებისმიერ დროს შეეძლოთ სრულმასშტაბიანი ომის დაწყება რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან. სწორედ ამერიკელები უჭერდნენ ფარულად მხარს თალიბებს 1990-იან წლებში. ამიტომ, როცა აშშ-მა თალიბების მოსპობა გადაწყვიტა, მოსკოვში დღესასწაული დადგა.

ავღანეთის დაბომბვის დაწყებამდე ამერიკელებმა კითხვით მიმართეს რუსეთს, ხომ არ იქნებოდა წინააღმდეგი, ყირგიზეთში შეექმნათ სამხედრო-საჰაერო ბაზა ოპერაციის საჭიროებებისთვის — მხოლოდ სამხედრო კამპანიის დროს, მაქსიმუმ, ერთი წლით. ჯერ პრეზიდენტ ბუშის თანაშემწემ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისმა დაურეკა პუტინის ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ალექსანდრ ვოლოშინს, შემდეგ კი ჯორჯ ბუშმა პირდაპირ ჰკითხა პუტინს. რუსეთის თანხმობა აუცილებელი იყო, რადგან ეს ბაზა რუსეთის გავლით მომარაგდებოდა, თან ყირგიზეთიც ითვალისწინებდა რუსეთის პოზიციას. „ეს საკვებით შეესაბამება ჩვენს ინტერესებს, ეს ხომ თალიბებთან საბრძოლველად კეთდება“, — განსაჯეს პუტინმა და ვოლოშინმა. „წინააღმდეგი არ ვართ“, — უპასუხეს მათ.

სამხედრო ოპერაცია ავღანეთში ელვისებური იყო. ის ერთ კვირაზე ნაკლებს გაგრძელდა, რის შემდეგაც თალიბები თითქოს აღორთქლდნენ. ხელისუფლება მათ ჰამიდ ყარზაის პროამერიკულ მთავრობას დაუტო-

ვეს და გაქრნენ, რათა ორიოდე წლის შემდეგ კვლავ გამოჩენილიყვნენ ყველა ხერხიდან და ამერიკელების წინააღმდეგ გამომფიტავი პარტიზანული ომი წარემართათ. მაგრამ 2002 წლის დასაწყისში ყველაფერი ტრიუმფალურად გამოიყურებოდა: მთელი ცივილიზებული სამყარო პირველად იყო ერთიანი და უცბად მოსპო არაცვილიზებული მტერი.

2002 წლის ივნისში ვოლოშინმა ჰკითხა კონდოლიზა რაისს, როდის აპირებდნენ ამერიკელები ყირგიზეთის დატოვებას, ოპერაცია ხომ უკვე დასრულებულია. „იცით, ჩვენ მივხვდით, რომ ეს ბაზა ჩვენ ძალიან გვჭირდება. მუდმივად“, — თითქოსდა ასე უპასუხეს ვაშინგტონიდან.

პუტინი ძალიან განრისხდა. მას ეჩვენებოდა, რომ ამერიკელები ყოველთვის ატყუებდნენ, ყოველ ნაბიჯზე. თანაც, ერთი მხრე, ისინი არასდროს აღიარებდნენ შეცდომებს, მეორე მხრე კი, მუდმივად უთითებდნენ კრემლს შეცდომებზე, ამუნათებდნენ მას და ასწავლიდნენ, როგორ მოქცეულიყო.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი, გარდამტეხი მომენტი იყო ერაყის ომი. ჯორჯ ბუშმა, რომელსაც უბიძგებდნენ ნავთობისა და სამხედრო ლობი და ნეოკონსერვატორი იდეოლოგები, გადაწყვიტა სამხედრო ოპერაციის დაწყება სადამ ჰუსეინის დასამხობად. გადაწყვეტილება მიღებული იყო 2002 წლის აპრილში, ავღანეთში თალიბების საწინააღმდეგო ოპერაციის დასრულებისთანავე. თუმცა კრემლში მაშინვე არ შეუტყვიათ, რომ ერაყზე თავდასხმის საქმე გადაწყვეტილი იყო. ჯერ ვაშინგტონის წარმომადგენლები (პირველ რიგში, კონდოლიზა რაისი) მოლაპარაკების

ერაყის ომის მოწინააღმდეგეთა ერთ-ერთი აქცია ლონდონში





ერაყის ომის წინააღმდეგ გამოსვლამ საერთაშორისო არენაზე პუტინის პოპულარობა გაზარდა, გერპარდ შრიოდერს (მარჯვნივ) კი უიმედოდ მიჩნეული არჩევნები მოაგებინა

დროს მჭერმეტყველად აღწერდნენ, რა სა-
შინელებაა სადამ ჰუსეინის რეჟიმი, როგორ
ახლოს არის „აღ ყაიდას“ ტერორისტებთან
და როგორ ემუქრება მსოფლიოს თავისი
ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღით.
კონდოლიზა რაისი გულახდილი არ ყოფილა.
იგი არ ამბობდა, რომ სამხედრო ოპერაციის
დაწყების გადაწყვეტილება უკვე მიღებულია,
მეტიც, რომ ბრიტანეთის პრემიერი ტონი
ბლეერი უკვე თანახმაა, მასში მონაწილეობა
მიიღოს.

თუმცა სათუთა რაისის სცოდნოდა, რომ რუ-
სეთის ხელისუფალნი ვერ დაიჯერებდნენ სადამ
ჰუსეინის აღწერილ ბოროტებებს, რადგან
მას გაცილებით უკეთ იცნობდნენ, ვიდრე
ამერიკელებს წარმოედგინათ. ყოფილი პრემი-
ერ-მინისტრი და ოდესღაც პუტინის მეტოქე
ევგენი პრიმაკოვი, წარსულში არაბისტი, ლა-
მის სადამ ჰუსეინის მეგობრად ითვლებოდა,
რუსეთის ფსევდოოპოზიციური პარტიების
ლიდერები, კომუნისტი გენადი ზიუგანოვი და
პოპულისტი ვლადიმერ ჟირინოვსკი ბაღდადს
ხშირად სტუმრობდნენ. რუსული კომპანიები
(პირველ რიგში, „ლუკოილი“ და „ზარუ-
ბჟენეფტი“) ერაყში ნავთობს მოიპოვებდნენ.
რუსეთის კომპანიები თანამშრომლობდნენ
ერაყთან პროგრამით „ნავთობი სურსათის
სანაცვლოდ“. რუსეთსა და ერაყს შორის
ფორმალური და არაფორმალური კავშირების
რაოდენობა ძნელი აღსაწერია. ორშაბათის

რეისის მოსკოვიდან ბაღდადში ყოველთვის
ჩაჰყავდა მეძაგები სადამ ჰუსეინის ვაჟებისა
და მათი გარემოცვისთვის.

დაახლოებით ორი წლის შემდეგ, გაეროს
საგამომიებო კომისია, რომელსაც ხელმძღვა-
ნელობდა აშშ-ის ფედერალური სარეზერვო
სისტემის ყოფილი თავმჯდომარე პოლ ვოლ-
კერი, დაადანაშაულებს რამდენიმე ათეულ
რუსულ კომპანიას, აგრეთვე საგანგებო სიტუ-
აციების სამინისტროსა და რუსეთის მართლ-
მადიდებელ ეკლესიას, რომ ისინი იღებდნენ
ერაყული ნავთობის მიწოდების კვოტებს და
უზარმაზარ „ატკატებს“ უხდიდნენ სადამ
ჰუსეინის მთავრობას. ვოლკერის კომისია აგ-
რეთვე დაადანაშაულებს რუსეთის რამდენიმე
პოლიტიკოსს, რომ ისინი სადამ ჰუსეინისგან
ქრთამს იღებდნენ. ყველა დადანაშაულებული
საკუთარ ბრალეულობას უარყოფს, თუმცა
მხოლოდ ალექსანდრ ვოლოშინი დაუმტკი-
ცებს გაეროს კომისიას, რომ მისი ხელმოწერა
წარმოდგენილ საბუთებზე ყალბია.

ასეა თუ ისე, „როგორ იყო მოწყობი-
ლი“ ერაყი, მოსკოვში გაცილებით სრულად
იცოდნენ, ვიდრე ვაშინგტონში. რუსეთის
ხელისუფლება სულაც არ იყო დაინტერესე-
ბული გასაგები, პროგნოზირებადი და კონ-
ტროლირებადი სადამ ჰუსეინის დამსობაში,
რომელიც კორუფციაში იყო ჩაფლული და
არა ქიმიური და მასობრივი მოსპობის იარა-
ღის შემუშავებაში. რუსეთის ბიზნესი ერაყში



მუშაობდა და ომის დაწყების შემთხვევაში ამ შესაძლებლობას დაკარგავდა. თუმცა ამ არგუმენტების წარდგენა კონდოლიზა რაისისთვის კრემლს არ შეეძლო. ამიტომ იყენებდა მხოლოდ არაძალადობის, მშვიდობიანი მოსახლეობისთვის დახმარების, პრობლემების დიპლომატიური ხერხებით მოგვარების არგუმენტებს. ეს ყველაფერი ამერიკელებზე არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა.

მთელმა 2002 წელმა ერაყზე კამათში ჩაიარა: ბუში და ბლერი განაგრძობდნენ პუტინის მოტყუებას ქიმიური და ბაქტერიოლოგიური იარაღიდან მომდინარე საფრთხის შესახებ. გაცილებით ადვილი აღმოჩნდა პუტინისთვის საერთო ენის გამონახვა გერჰარდ შრიოდერთან და ჟაკ შირაკთან. ეს უკანასკნელნი სიტყვიერად ასევე იბრძოდნენ მშვიდობისთვის, საქმეში კი ცინიკურ დაინტერესებას არ მალავდნენ. ფრანგული კომპანიებიც მუშაობდნენ ერაყში და ალბათ, ქრთამებსაც აძლევდნენ, რაც ჟაკ შირაკს მშვიდობისთვის ბრძოლის მოტივაციას უქმნიდა. შრიოდერის პაციფიზმის მიზეზები, შესაძლოა, უფრო კეთილშობილი იყო. 2002 წლის ოქტომბერში გერმანიაში არჩევნები უნდა გამართულიყო და მისი — გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია, განწირული იყო დამარცხებისთვის. უცილობელი წაგების წინაშე, შრიოდერი შეეცადა ესარგებლა ამომრჩეველთა შორის პოპულარული ანტისამთავრობო განწყობით და

მხოლოდ და მხოლოდ პოპულისტური მოსახრებების გამო გამოხატავდა პროტესტს აშშ-ის საომარი გეგმების წინააღმდეგ. რაც უფრო მეტად პაციფისტი ხდებოდა კანცლერი, მით უფრო მეტად იზრდებოდა მისი რეიტინგი. საბოლოოდ, მოხდა დაუჯერებელი რამ — მან არჩევნები მოიგო. ვლადიმერ პუტინი მიუერთდა ამ ჯგუფს, მათ სამმა: პუტინმა, შრიოდერმა და შირაკმა შექმნეს ახალი, ომის საწინააღმდეგო ანტანტა, აშშ-ის, ბრიტანეთისა და ესპანეთის ანტიერაყული ალიანსის საპირწონედ.

თუმცა შირაკს, შრიოდერსა და პუტინს არა მხოლოდ ცინიკური გათვლა აერთიანებდა, არამედ გულწრფელი გაღიზიანებაც. სამივენი უკმაყოფილო იყო, რომ ჯორჯ ბუშმა ომის დაწყება ისე გადაწყვიტა, მათთვის აზრის კითხვა არც უფიქრია. რუსეთის, გერმანიისა და საფრანგეთის ლიდერები, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთისა, არ იყვნენ დაშვებული მსოფლიო ღირებულებათა ამ პირობით საბჭოში; სამაგიეროდ, იქ იყვნენ ვიცე-პრეზიდენტი დიკ ჩეინი, მისი პატრონაჟის ქვეშ მყოფი თავდაცვითი და ნავთობის კორპორაციები, თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი, მისი მოადგილე პოლ ვულფოვიცი და სხვა გავლენიანი ნეოკონსერვატორები. თითოეული მათგანის მნიშვნელობა მსოფლიო პოლიტიკაში გაცილებით დიდი აღმოჩნდა, ვიდრე „დიდი რვიანის“ ქვეყნების ლიდერთა ხმები.



„გაზპრომის“ განკარგულებით, HTB-ის ჟურნალისტები მთავარი რედაქტორის, ვეგენი კისელიაის ჩათვლით, ტელესტუდიაში არ შეუშვეს

ერაყში ომის დაწყების შემდეგ პუტინის დამოკიდებულება აშშ-დმი შეიცვალა, აღნიშნავენ მისი მრჩეველები, და აღარ გაუმჯობესებულა. იგი გულმოსული იყო თავის მეგობარ ტონი ბლერზეც და ყოველი შეხვედრისას ჰკიცხავდა მას, პრესკონფერენციებზეც კი. ბრიტანული პრესა ამ ინციდენტებზე ნერვიულად რეაგირებდა: პუტინი საჯაროდ ამცირებს პრემიერ-მინისტრს, ეს უკანასკნელი კი უხერხულად იღიმება და ღუმს. თუმცა, ეს ვერ კიდევ არ იყო მეგობრობის დასასრული.

ვერც ქიმიური, ვერც ბიოლოგიური იარაღი ერაყში ვერ აღმოაჩინეს. აშშ-ის მაშინდელმა სახელმწიფო მდიანმა კოლინ პაუელმა რამდენიმე წლის შემდეგ საჯაროდაც კი ითხოვა პატიება იმის გამო, რომ შეცდომით მსოფლიო საზოგადოებრიობის დეზინფორმირება მოახდინა.

უნიკალური ჟურნალისტური კოლექტივი

მშვიდობისთვის ბრძოლამ მნიშვნელოვნად გაზარდა პუტინის პოპულარობა საერთაშორისო არენაზე. 2003 წლის ოქტომბერში სოციოლოგიურმა სამსახურმა The Pew Research Center-მა გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა, რომელთა მიხედვით, პუტინი მსოფლიოში ყველაზე პოპულარული პოლი-

ტიკოსი იყო, მეორე ადგილი შირაკს ეკავა, მესამე — შრიოდერს. სამივე პოლიტიკოსმა აშშ-სთან ურთიერთობა გაიუარესა. მაგრამ როგორც ამერიკის მასმედია წერდა, თეთრ სახლში თითოეული ამბოხებული ლიდერის მიმართ სხვადასხვა გადაწყვეტილება მიიღეს: „საფრანგეთი დაისაჯოს, გერმანია უგულვებელყოფილი, რუსეთს — ეპატიოს“. ერთი პერიოდი ამერიკულ მასმედიაში ვლადიმირ პუტინს დიქტატორ სადამის მეგობარს უწოდებდნენ, თუმცა იგი სადამ ჰუსეინს არასოდეს შეხვედრია, განსხვავებით, ვთქვათ, ამერიკის პრეზიდენტის მამის, ჯორჯ ბუშ უფროსისგან. თუმცა პუტინის ეს წოდება მაინცდამაინც არ დამკვიდრებულა.

ვლადიმირ პუტინის რეპუტაციას საზღვარგარეთ განუზომლად მეტად აზიანებდნენ მისი სხვა ყოფილი მეგობრები: ბორის ბერეზოვსკი და ვლადიმირ გუსინსკი.

ჯერ კიდევ 2000 წლის ნოემბერში, როცა ჩაცხრა ხმაური წყალქვეშა ნავის „კურსკის“ დაღუპვის გამო, რუსეთის ძალოვნებმა ორივე გაიხსენეს და ძებნა დაუწყეს. გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ გუსინსკის აღმკვეთ ღონისძიებად კვლავ პატიმრობა შეუფარდეს, ბერეზოვსკი კი დაკითხვაზე გამოიძახეს. მაგრამ ამ დროისთვის ორივე რუსეთის საზღვრებს გარეთ იმყოფებოდა. გუსინსკი

ცხოვრობდა თავის ვილაზე ესპანეთში, ბერნეზოსკი კი საკუთარ სახლში ლონდონში. ორივემ განაცხადა, რომ რუსეთში დაბრუნებას არ აპირებენ.

2000 წლის 6 დეკემბერს გენერალურმა პროკურატურამ გამოაცხადა გუსინსკის საერთაშორისო ძებნა ინტერპოლის ხაზით. ერთი კვირის შემდეგ გუსინსკის ესტუმრნენ ესპანელი პოლიციელები და ციხეში გადაიყვანეს. მისი საქმე გადასცეს ცნობილ მოსამართლე ბალთაზარ გარსონს, რომელიც ადრე ჩილეს ექს-პრეზიდენტ აუგუსტო პინოჩეტის საქმეს იძიებდა. ესპანეთის ციხეში გუსინსკიმ 11 დღეს დაყო, რის შემდეგაც მოსამართლემ გაათავისუფლა 5,5 მლნ დოლარის გირაოს სანაცვლოდ. ამასთან, პოლიციის ზედამხედველობა არ მოუხსნიათ, შინაპატიმრობაში დატოვეს უპასპორტოდ.

საქმე დიდხანს და გამოწვლილვით იზილებოდა. 2001 წლის აპრილში ბალთაზარ გარსონმა დაადგინა, რომ გუსინსკის საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია და მისი გადაცემა დაუშვებელია. გადაწყვეტილების მიღებაში მას მოსკოვში განვითარებული მოვლენები დაეხმარა — სანამ გუსინსკიზე ესპანური სასამართლო „ზრუნავდა“, რუსეთში მთავარ აქტივს, ტელეარხ HTB-ს ართმევდნენ. რუსულმა გაზის მონოპოლისტმა „გაზპრომმა“, რომელსაც არაერთხელ დაუკრედიტებია გუსინსკი და მისგან აქციების პაკეტიც იყიდა, ტელეკომპანიის ვალში წაღება გადაწყვიტა.

HTB-ზე თავდასხმა 2001 წლის ზამთარში მთავარი შიდაპოლიტიკური სკანდალი იყო. მთელი ქვეყანა ორ ბანაკად გაიყო: ერთნი ამბობდნენ, რომ HTB-სთან ერთად რუსეთში სიტყვის თავისუფლება იღუპება; მეორენი — რომ HTB გუსინსკის პირად ბიზნესინტერესებს ემსახურება და ტელეარხს სიტყვის თავისუფლებისა არაფერი სცხია. საფუძველი ორივე თვალსაზრისს გააჩნდა, მაგრამ განსაკუთრებული ირონია სკანდალის ძირითადი მოქმედი პირების შემადგენლობაში იყო. „HTB-ის მკვლელის“ როლს თამაშობდა ცნობილი ლიბერალი ალფრედ კოხი (კომპანია „გაზპრომ-მედიას“ გენერალური დირექტორი), ელცინის ეკონომიკური რეფორმების იდეოლოგ ანატოლი ჩუბაისის მეგობარი. 13 წლის შემდეგ ალფრედ კოხი თავად გახდება დისიდენტი და არ დაბრუნდება ქვეყანაში,

სადაც მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეს აღძრავენ, ე.ი. ის გუსინსკის ზედრს გაიზიარებს.

ბევრს აღარ ემახსოვრება, რომ სიტყვის თავისუფლების მგზნებარე დამცველად, გუსინსკისა და HTB-ის ადვოკატად ყველა სასამართლოში იყო ახალგაზრდა იურისტი პაველ ასტახოვი. ათი წლის შემდეგ იგი არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელე, არამედ სახელმწიფო პოპულისტური ანტიამერიკანიზმის ერთ-ერთი კამკაშა სიმბოლოც გახდება. რუსეთში ბავშვთა უფლებების საკითხებზე რწმუნებულის თანამდებობაზე, იგი იცავდა ავადსახსენებელ „ანტიობლების“ კანონს, რომელიც კრძალავდა ობოლ ბავშვთა გაშვილებას ჯერ ამერიკელებზე, შემდეგ კი ყველა ქვეყანაში, სადაც ერთსქესიანი ქორწინება იყო დაშვებული.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

თარგმნა ჰამლეტ ზუკაკიშვილმა

მოსამართლე ბალთაზარ გარსონმა 2001 წლის აპრილში დაადგინა, რომ გუსინსკის საქმე პოლიტიკურად მოტივირებულია და მისი გადაცემა დაუშვებელია



ՀԻՆՉՆԱԸԻ

2017 ՏՐՈՆ ՌԱՅՅՐՈՆ ԵՄՊՅՈՒՄ ՈՒՆԵՉՈՒ



ოპერაცია

„ევფრატის ფარი“

თურქული ჯავშანტექნიკა სირიაში

ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ სირიაში 2016 წლის 24 აგვისტოს თურქეთის არმიის დანაყოფები შევიდნენ და მოკავშირე თავისუფალი სირიის არმიის რაზმებთან ერთობლივად ოპერაცია შჰიელდ უპჰრატეს-ი (ევფრატის ფარი) დაიწყეს.

სირიის სახელმწიფო საზღვარი თურქეთის მხრიდან 450-მა ჯარისკაცმა, 80-მდე ტანკმა, 20-ზე მეტმა ჯავშანტრანსპორტიორმა, აგრეთვე 155 მმ-იანი თვითმავალი ჰაუბიცა T-155 Firtina-სა და 122 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემა T-122 Sakarya-ს ბატარეებმა საინჟინრო ტექნიკის თანხლებით გადაკვეთეს.

უფრო ადრე ანკარამ ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ერაცის პროვინცია ნინევიაში 150 სამხედრო და 25 ტანკი შეიყვანა პროთურქული ორიენტაციის შეიარაღებული რაზმების მოსამზადებლად.

„ევფრატის ფარის“ მიზანია თურქეთ-სირიის საზღვრისპირა ზოლის „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლებისგან გასუფთავება და იქიდან ქურთთა შეიარაღებული რაზმების გამოდევნა, მაგრამ ყველაზე მთავარი ამოცანა — ბაშარ ასადის რეჟიმის დამხობაა.

სირიაში შესული თურქული დაჯგუფება ჯავშანსატანკო, საარტილერიო, სპეცდანიშნულების, სადაზვერვო, საინჟინრო და უზრუნველყოფის დანაყოფებისგან შედგება. ბრძოლებში წინა ხაზზე ყოველთვის თავისუფალი სირიის არმიის მებრძოლები მოქმედებენ, ხოლო თურქი სამხედროები არტილერიითა და ტანკებით საცეცხლე მხარდაჭერას უზრუნველყოფენ...



„შავი კატა“ მოუსელთა ბანდა

საბჭოთა დამნაშავეების ისტორიიდან

1979 წელს საბჭოთა ტელეკრანებზე გამოვიდა 5-სერიანი ტელეფილმი „შეხვედრის ადგილი უცვლელია“. მას საფუძვლად ძეგები ვაინერების რომანი „გულმონწყალების ერა“ დაედო. ფილმს გრანდიოზული წარმატება ზედა, რაც დიდად განაპირობა მთავარი როლის შემსრულებლის, პოპულარული მომღერლისა და მსახიობის ვლადიმერ ვისოცკის ვირტუოზულმა თამაშმა. ამ სერიალიდან შეიტყო საზოგადოებამ ბანდა „შავი კატის“ შესახებ, რომელიც ომის შემდგომ წლებში მოქმედებდა და მოსკოვს თავზარს სცემდა.

საბჭოთა მილიციისადმი მიძღვნილი პროპაგანდისტული პლაკატი



სინამდვილე და გაგონაობი

საბჭოთა პერიოდში ბანდა „შავი კატის“ შესახებ თითქმის არაფერს წერდნენ. ერთადერთი წყარო არკადი და გიორგი ვაინერების რომანი და მის მიხედვით გადაღებული სერიალი იყო. ბანდის საქმეს გრიფი „საიდუმლო“ მხოლოდ 2010 წელს მოხსნა. ამის შემდეგ ტელეკრანებზე გამოვიდა დოკუმენტური ფილმი „შავი კატა“ (სერიიდან „გამოძიება მიჰყავდათ“). მეორე დოკუმენტური ფილმი ამ ბანდაზე იყო „საბჭოთა სამძებროს ლეგენდები“. ცნობილმა მწერალმა ელუარდ ზრუცკიმ ბანდას რომანი „ას მეერთე კილომეტრი“, ანა მამონტოვამ კი დოკუმენტური მონოგრაფია „უკანასკნელი ბანდა“ მიუძღვნეს. 2016 წელს გამოვიდა სერიალი „შავი კატა“, სადაც მთავარი როლი გელა მესხმა შეასრულა.

როგორც საბჭოთა, ასევე პოსტსაბჭოთა პერიოდში გადაღებულ ფილმებში აშკარაა სინამდვილის მიჩქმალვის მცდელობა. სერიალში „შეხვედრის ადგილი უცვლელია“

ბანდა „შავი კატის“ წევრები გამოწრთობილი კრიმინალები არიან. სინამდვილე კი სხვაგვარია. სერიალში „შავი კატა“ წინა პლანზე მელოდრამატული მომენტი გამოდის და ბოლომდე არ არის გახსნილი, ბანდა როგორ შეიქმნა. სრული სიმართლე არც დოკუმენტურ ფილმებშია გადმოცემული და არც ზრუცკის ან მამონტოვას ნაწარმოებებში. სიმართლის დადგენა მხოლოდ ყველა გამოქვეყნებული ნაწარმოების თუ გადაღებული ფილმების გაანალიზებით, აგრეთვე საარქივო დოკუმენტების შესწავლით მოხერხდა. მხოლოდ ამის შემდეგ შეეიტყვეოთ ვინ იყვნენ ბანდის წევრები და როგორ შეიქმნა დანაშაულებრივი ჯგუფი.

ფილმის „შეხვედრის ადგილი უცვლელია“ მთავარი გმირები არიან მოსკოვის სისხლის სამართლის სამძებროს (МЯР) თანამშრომლები გლეხ ჟეგლოვი (ვლადიმერ ვისოცკი) და ვლადიმერ შარაპოვი (ვლადიმერ კონკინი). ორივეს რეალური პროტოტიპი ჰყავდა. ჟეგლოვს — МЯР-ის ლეგენდარული თანამშრო-

მელი იგორ დმიტრიევიჩ სკორინი (1917-1990). ის მაიკოპში დაიბადა, სისხლის სამართლის სამსახურში 1936 წლიდან მუშაობდა. ედუარდ ხრუცკიმ სკორინს რომანი „მეოთხე ეშელონი“ მიუძღვნა, რომლის მიხედვით გადაღებულია ტელესერიალი „მური“.

ვლადიმირ შარაპოვსაც რეალური პროტოტიპი ჰყავს — ვლადიმირ პავლოვიჩ არაპოვი. დაიბადა 1926 წელს. მოსკოვის სამსახურში მრავალწლიანი საქმიანობის დროს არაერთი დახლართული საქმე გახსნა.

მოუხელთებელი ბანდა

ბანდა „შავი კატა“ 1946 წელს გამოჩნდა. ის მარცვავედა შეძლებულ მოქალაქეთა ბინებს, შემნახველ საღაროებს, მაღაზიებს, შემთხვევის ადგილას კი შავ კატას ხატავდა. ომის შემდგომ საბჭოთა კავშირში კრიმინალური აფეთქება დაიწყო და ბანდიტიზმითა და მარცვით ვერავის გააკვირვებდი. სტალინმა მარცვა-გლეჯა ჩვეული დაუნდობელი მეთოდებით ჩააქრო, თუმცა „შავი კატა“ კვლავაც დაუსჯელად დათარეშობდა. 1949 წელს ისინი კვლავაც თავს ესხმოდნენ მაღაზიებს და შემნახველ საღაროებს, მარცვაგდნენ და კლაგდნენ, შემთხვევის ადგილას კი შავ კატას ხატავდნენ. სტალინმა მოსკოვის ქალაქკომის მაშინდელი პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი გამოიძახა:

— ეს რა ამბავია? მთელ მოსკოვში ჭორები დადის, შავი კატა გამოჩნდა! რას ჰგავს ეს? სოციალისტური სახელმწიფოს დედაქალაქში ვცხოვრობთ თუ ჩიკაგოში?!

სტალინთან საუბრის შემდეგ ხრუშჩოვი MYP-სკენ გაემშურა და ხელმძღვანელობას შეხვდა.

— რაო, ვიღაც ბანდიტებისთვის ვერ მოვივლიათ?! თქვენი დედა და მამა!

წასვლისას დაიმუქრა:

— ერთ თვეს გაძლევთ. თუკი ამ ხნის განმავლობაში ეს შავი კატა თუ რაღაც ოხრობა არ გაანადგურეთ, თქვენს თავს დააბრალეთ!

სამსახურის თანამშრომლები დაფაცურდნენ, მაგრამ ამან შედეგი ვერ გამოიღო. „შავი კატა“ დაუსჯელად დათარეშობდა, რასაც MYP-ის ხელმძღვანელობა გადაყვა. ზოგი მოხსნეს, ზოგი გულაგში გაუშვეს, ზოგიც დააქვეითეს, მოსკოვიდან პერიფერიაში გადაიყვანეს. ხრუშჩოვმა მუქარა შეასრულა.

ბანდა კი მოქმედებდა.

„შენი კრიმინალები არ არიან!“

მოსკოვის სამსახურის ახალმა ხელმძღვანელობამ ბანდის წინააღმდეგ საუკეთესო ძალები გადაისროლა. ბანდიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებას სათავეში გამოცდილი იგორ სკორინი ჩაუდგა. ვლადიმირ არაპოვი მის მოადგილედ დაინიშნა. ისინი ხრუშჩოვმა დაიბარა და უთხრა:

— ახლა მთავარი ამ შავი კატის შეპყრობაა!

სკორინი ენერგიული და გამოცდილი კაცი იყო. მისი ბრძანებით მოეწყო რეიდები რესტორნებსა თუ ავაზაკთა ბუნაგებში, სადაც თავს კრიმინალები იყრიდნენ. გაცხრილეს ისეთი ადგილები, როგორც იყო მარინა რომა, ტუშინსკის ბაზარი და სხვ. დააპატიმრეს ბევრი ე.წ. ავტორიტეტი, პეტროვკაზე (ქუჩა მოსკოვში, სადაც რუსეთის შსს-ს მოსკოვის მთავარი სამმართველო მდებარეობს) ისინი სასტიკად აწამეს. სკორინმა მათ ერთადერთი შეკითხვა დაუსვა:

— რას წარმოადგენს ეს „შავი კატა“? ვინ შედის ამ ბანდაში?

ვერც ერთმა „ავტორიტეტმა“ ამ შეკითხვას პასუხი ვერ გასცა. სკორინიც მიხვდა, რომ ბანდიტების შესახებ მათ მართლაც არაფერი იცოდნენ. ამის შემდეგ სკორინს კანონიერმა ქურდებმა შეუთვალეს, შეეხვედეთ და მოვილაპარაკოთ. შეხვედრა რესტორან „ასტორიაში“ გაიმართა.

— ამ ბანდის წევრები ჩავაბარეთ, თორემ ყოფას გიტირებთ! — უთხრა სკორინმა.

— სიამოვნებით, მაგრამ ვერაფერი დავადგინეთ.

ვლადიმირ არაპოვი





ფილმის („შუბვედრის ადგილი უცვლელია“) გმირებს, გლებ ჟეგლოვსა და ვლადიმერ შარაპოვს, 2009 წელს კიევიში ძველი დაუდგეს. სკულპტურული კომპოზიცია გამოხატავს მათი როლის შემსრულებლებს — ვლადიმერ ვისოცკისა და ვლადიმერ კონკინს. ფეხებთან გამოსახულია ბანდა „შავი კატის“ ნიშანი



— რაო?

— ისინი ჩვენები არ არიან! — უთხრეს ქურდებმა სკორინს...

ნიკიტა ხრუშჩოვმა სკორინი პირადად მიიღო. ხრუშჩოვს დაჯდომა არც შეუთავაზებია, ჯიქურ ჰკითხა:

— რაზე გაარკვეე?

— ვერა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ისინი კრიმინალები არ არიან.

— შენ რა, ხუმრობ?! —

— ქურდულ სამყაროში ჩვენი ხალხი გვყავს. გაცხრილეთ ყველაფერი, დაწყებული მარინა რომიდან, დამთავრებული ტუშინსკის ბაზრობით. ამ ბანდის შესახებ არაფერი არაფერი იცის.

— მაშ, რაშია საქმე?

— ესენი სისხლის სამართლის დამნაშავეთა სამყაროს არ განეკუთვნებიან, — სკორინი წამით გაჩუმდა, — არ გამოვრიცხავ, რომ აბვერის (გერმანიის სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა) სპეცაგენტები იყვნენ.

— გააფრინე! — დასჭეჭა ხრუშჩოვმა, — ომი კარგა ხანია დამთავრდა! რა აბვერი, რის აბვერი?!

— მაშინ ბანდერელები იქნებიან! შესაძლოა ამერიკის დაზვერვასთან არიან შეკრული და მოსკოვში ქაოსის დათესვა სურთ! უდავოა, რომ ბანდას დამნაშავეთა სამყაროსთან კავშირი არ აქვს!

ამ საუბრის შესახებ ხრუშჩოვმა სტალინს აცნობა. დიქტატორმა უშიშროების მინისტრი ვიქტორ ავაკუმოვი გამოიძახა.

— რაც გინდათ ჰქენით, მაგრამ ეს შავი კატაა თუ რაღაც, უმოკლეს ხანში უნდა განადგურდეს! გასაგებია? — ასეთი იყო სტალინის დირექტევა.

შეიქმნა უშიშროებისა და შსს-ს გაერთიანებული ჯგუფი, რომელშიც სკორინი და არაპოვიც შეიყვანეს.

ლეგენდები და კურიოზები

მაშინდელი გაზეთები, ბუნებრივია, ბანდაზე კრინტსაც არ ძრავდნენ. საბჭოთა კავშირი სოციალისტური სახელმწიფოა. აქ არ არსებობს არავითარი ორგანიზებული დანაშაული! ასეთი იყო ოფიციალური პოზიცია. ამიტომაც

კანონზომიერი იყო, რომ მოსკოვი ჭორებით აივსო. გამოჩნდნენ ისეთებიც, ვინც ირწმუნებოდა, რომ ბანდა „შავ კატას“ აგენტურა ყველგან, კრემლშიც კი ჰყავს. ვინც გზაზე გადაეღობებათ, კლავენ, გვამს კი შუაზე ხერხავენო. ხმები მოუხელთებელი ბანდის შესახებ მთელ მოსკოვსა და პოდმოსკოვიეს მოედო. პატარა ბიჭები კედლებზე, ღობეებზე, ჭიშკრებსა თუ სასკოლო დაფებზე შავ კატას ხატავდნენ.

— მთელი მოსკოვი ასეთი ნახატებით იყო აჭრელბული, — იგონებს რუსი მწერალი ანატოლი რიბაკოვი.

მწერალი ელჟარდ ხრუცკი ინტერვიუში ჰყვებოდა, როგორ იძიეს შური მათემატიკის მასწავლებელზე, რომელიც სისხლს უშრობდათ. ბავშვებმა ჩანთაში წერილი ჩაუდეს, სადაც ეწერა: დღეს შენთან მოვალთ, გააშხადე ხუთასი მანეთი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიკვდილი გელის. წერილის ბოლოს შავი კატა იყო დახატული. მოხდა ისე, რომ მასწავლებელმა ჩანთა გაკვეთილის დროს გახსნა და გული წაუვიდა...

ოხუნჯობის მსხვერპლი გახდა ცნობილი დიქტორი იური ლევიტანიც. მან გაზეთის ყუთში კონვერტი იპოვა. შიგ წერილი იღო: დღეს შენთან მოვალთ, გადაიხადე 1.000 რუბლი. ძაღლობაში გაცხადება არ გაბედო, თორემ მოგკლავთო. წერილი მთავრდებოდა ხელმოწერით შავი კატა, შემდეგ კი კატა იყო მიხატული.

— ლევიტანს გული წაუვიდა და საავადმყოფოში გააქანეს, — წერს ცნობილი კრიმინალისტი ალექსანდრ გუროვი.

შემდეგ დადგინდა, რომ ცნობილ დიქტორს მეზობლის ბავშვები გაეხუმრნენ.

ბანდას გამოუჩნდნენ მიმბაძველებიც — პატარა ბიჭები და მოზარდები, რომლებიც ცდილობდნენ, ბინები გაეტეხათ, ყაჩაღები, რომლებიც მოქალაქეებს მარცვავენენ, შემთხვევის ადგილას შავ კატას ხატავდნენ.

— ჩეკისტებმა მიმბაძველებიც ადვილად გაანადგურეს. გამოირკვა, რომ ნამდვილ „შავ კატასთან“ საერთო არაფერი ჰქონდათ, — წერს გუროვი.

დროთა განმავლობაში ხმები მოუხელთებელი ბანდის შესახებ მოსკოვსაც გასცდა. მსგავსი ბანდები გაჩნდება ლენინგრადში, სემიპალატინსკში, ტაშკენტში, ყარაგანდაში, მინსკში. ზოგიერთ ასეთ ბანდაში თავი

მოიყარეს საშიშმა დამნაშავეებმა. ჩეკისტებმა ისინიც გაანადგურეს. დამტკიცდა, რომ ეს ბანდები მიმბაძველები იყვნენ, ნამდვილი „შავი კატა“ ვერ მოიხელთეს.

მალალი, ძმრა მამაკაცი

ფილმში „შეხვედრის ადგილი უცნობია“ არის სცენა, როცა ბანდიტები თავს ესხმიან მაღაზიას და ამ დროს იქ მხოლოდ დარაჯი და მისი შვილიშვილი არიან. ეს უკანასკნელი უჩუმრად გაიპარება, ტელეფონის ჯიხურთან მივა და მილიციაში დარეკვას შეეცდება. ბანდიტები მას დანახავენ და კლავენ. წასვლისას კი მაღაზიაში ნახშირით შავ კატას ხატავენ.

— ეს სცენა ნაწილობრივ სინამდვილიდან არის აღებული, — წერს გორგი ვაინერი, — ბანდიტები სასურსათო მაღაზიას მართლაც დაესხნენ თავს და იქ დარაჯი და მისი შვილიშვილიც იმყოფებოდნენ. პატარამ ბაბუს თვისი საყვარელი შავი კნუტი მოუყვანა. ამ დროს ბანდიტები შემოვარდნენ. მათ დარაჯი განაიარაღეს და მაღაზიიდან ყველაფერი გახიდეს. წასვლის წინ ერთ-ერთმა ბანდიტმა დანა იძრო და დარაჯის მოკვლა დააპირა. ბავშვი ბანდიტს მუხლებში ჩაუვარდა და

გელა მესხი. კადრი სერიალიდან „შავი კატა“



კრემლმორეული შეჭვეწა, ბაბუა არ მომიკ-
ლო. ბანდიტმა გაიცინა, შავი კნუტი გამო-
ართვა და თავზე ხელი გადაუსვა.

— მე არა, ამ კატას სთხოვე!

ბანდიტი ღიმილით შესცქეროდა, როგორ
სთხოვდა ბიჭი კატას, ბაბუა გადამირჩინეო.
ეტყობოდა, ამით უდიდეს სიამოვნებას იღებ-
და. ბოლოს, როგორც იქნა, კნუტმა დაიკ-
ნავლა. ბანდიტმაც მას კვლავ თავზე ხელი
გადაუსვა და ბიჭს დაუბრუნა:

— კარგი, არც შენ მოგკლავთ და არც
ბაბუაშენს!

წასვლისას კი კედელზე ნახშირით შავი
კატა დახატა.

დარაჯი და მისი შვილიშვილი მოსკოვის
სამმებროშიც დაჰკითხეს და უშიშროებაშიც.
ორივემ ერთხმად განაცხადა, მამაკაცი, რომე-
ლიც გვესაუბრებოდა, ბანდის მეთაური იყო.

— ეს საიდან დაასკვნით?

— სხვები მას უსიტყვოდ ემორჩილებოდ-
ნენ.

ბაბუამ და შვილიშვილმა სხვა ბანდიტე-
ბის სახეები ვერ გაარჩიეს, რადგან ყველას
ნიღაბი ეკეთა. სახეს მხოლოდ მაღალი, ქერა
მამაკაცი არ მალავდა. მას ტყავის ქურთუ-
კი ეცვა, მოძრაობდა სწრაფად, უხმაუროდ,
როგორც კარგად ნავარჯიშევ ადამიანებს
სჩვევიათ.

— მაღალი, ქერა მამაკაცი...

ამიერიდან მათ „მაღალი, ქერა მამაკაცის
ბანდადაც“ მოიხსენიებდნენ.

...ხრუშჩოვი ამჯერად ბევრად თავაზიანი
იყო. სკორინს დაჯდომა შესთავაზა, არაყი
დაუსხა.

— ვხედავ, ვირივით მუშაობ! რამე გაარ-
კვიე?

— სავარაუდოდ, ბანდის მეთაური მაღალი,
ქერა მამაკაცია, იცვამს ტყავის ქურთუკს,
ათლელტური აღნაგობისაა. ალბათ, მოქმედი
ან ყოფილი სპორტსმენია.

— ერთი ამიხსენი, ეს შავი კატა რაღას
ნიშნავს?

— **НЭП**-ის დროს (ე.წ. ახალი ეკონომიკუ-
რი პოლიტიკა 1921-1928 წლებში) მოსკოვში
დათარეშობდნენ ბანდები, რომლებიც „ნეჰმა-
ნებს“ (**НЭП**-ის დროს ნებადართული მეწარ-
მეები) ძარცვავდნენ და კლავდნენ, კედელზე
კი ნახშირით შავ კატას ხატავდნენ. შავი კატა
შურისძიების სიმბოლოა. აქაოდა, ნეჰმანები
ხალხის ფულით გაზულუქდნენო.



(მარჯვენა) ნიკიტა ხრუშჩოვი

— ანუ თავი სახალხო შურისმძიებლებად
წარმოიდგინეს?

— დიახ! 1932 წლისთვის ასეთი ბანდე-
ბი გაანადგურეს. 1939-1940 წლებში კვლავ
გამოჩნდნენ, მაგრამ უმალ მოსკეს. ომის
შემდგომ პირველ წლებში კი კვლავ წამოჰ-
ყვეს თავი.

— საინტერესოა, — ხრუშჩოვი ჩაფიქრდა,
— გამოდის, ამ ბანდის წევრები რაღაცის გამო
შურს იძიებენ?

— როგორც ჩანს, თავს უსამართლოდ და-
ჩაგრულად გრძნობენ.

— მოიცა, მოიცა, — გაღიზიანებით შეაწყ-
ვეტინა ხრუშჩოვმა, — ხან მეუბნები, ბანდის
წევრები აბვერის სპეცაგენტები არიან, ხანაც
— ბანდერელებიო, რა ხდება?!

— გულდასმით შევისწავლე ფაქტები და
დავასკვნი, აბვერი ან ბანდერელები აქ არა-
ფერ შუაშია!

— ძალიან კარგი, — ხრუშჩოვმა დამცი-
ნავად გაიღიმა.

— სავარაუდოდ, ბანდა ყოფილი ფრონტე-
ლებისგან შედგება. ეტყობა, რაღაცის გამო
ბანაკში მოხვდნენ, იქიდან გაიქცნენ, ყალბი
დოკუმენტები იშოვეს და იარაღი აიღეს.

— რაო?!

— მათ ფულის შონის სურვილი ნაკლე-



ბად ამოდრავებთ. ისინი ჯავრს იყრიან ქვეყანაზე, რომელიც თითქოსდა მათ უსამართლოდ მოექცა. ყველა კანონი ფეხზე ჰკიდიათ, ქურდული, საბჭოური, ყოველგვარი! მათი შურისძიებაც ესაა.

— საინტერესოა, — ხრუშჩოვი ჩაფიქრდა.

— მათ გარდა, ბანდაში ახალგაზრდა, ჯანმრთელი და ენერგიული ბიჭებიც არიან, სპორტსმენები! კრიმინალებთან საერთო არაფერი აქვთ. არიან აქტიური კომკავშირელები, გამოდიან კრებებზე. ზოგი მათგანი, შესაძლოა, ორდენოსანიცაა.

— აბა, აბა, მეტისმეტად ნუ გაუბერე!

— დამკვრელი მუშები, აქტიური კომკავშირელები! საზოგადოება მათ ასეთებად იცნობს. სინამდვილეში კი ბანდიტები არიან.

— ფრონტელები გასაგებია, მაგრამ კომკავშირელებს რადა სურთ?

— ახალგაზრდას ადრენალინი სჭირდება. ეს ერთი. მეორეც, სურთ კარგად ჩაიცვან-დაიხურონ. ამჟამინდელი ტოტალური დეფიციტის პირობებში ეს ადვილი როდია.

— რესტორნებში რატომ არ დადიან?

— ფულის დახარჯვა სხვანაირადაც შეიძლება. მაგალითად, ლამაზად ჩაიცვა-დაიხურო, იყიდო მოტოციკლი ან სულაც კერძო სახლი სადმე პოდსმოსკოვიეში...

— ეს შენი ფანტაზიებია, თუ ფაქტები გაქვს?

— სიამოვნებას ჰგვრით ის ფაქტი, რომ ამხელა სახელმწიფოს კუკულამალობანას ეთამაშებიან, — სკორინმა ხრუშჩოვის დამცინავ ტონს ყურადღება არ მიაქცია, — ამ ახალგაზრდებმაც ამერიკული კინოს გმირებად წარმოიდგინეს თავი. ახლა ხომ ომში ნაალაფევი ფილმები ბლომად შემოვიდა. ერთგვარი საბჭოთა რობინ ჰუდები არიან. მილიციაც ფეხზე ჰკიდიათ, უშიშროებაც, ქურდებიც. ახალგაზრდისთვის ამის შეგრძნება ბევრს ნიშნავს.

— მაშ, შენი აზრით, საბჭოთა ახალგაზრდები ამერიკული კინოს გველენით ხალხს მარცვავენ და კლავენ?

— ისინი აგრესიულ გარემოში აღიზარდნენ. ომი, შემდგომი სიდუხჭირე... ამან ყალბი ფასეულობები გამოიუმუშავათ. ახალგაზრდულ ასაკში მეამბოხეობა ჩვეულებრივი ამბავია. მათი ამბოხი არარაობის ამბოხია, ადამიანის, რომელიც არსებული სინამდვილისადმი დაბოღმულია, მაგრამ მისი ამბოხი სულიერი სილატაკის ამბოხია. ჰოდა, ასეთი გამოხატულება ჰპოვა.

— გირჩევ, ასეთი აზრები შენთვის შეინახო, — ხრუშჩოვს თვალები აენთო, — დედუქცია შერლოკ ჰოლმს დაუთმე! შენთვის, საბჭოთა მილიციელისთვის, მხოლოდ ფაქტები არსებობს! გაქვს ფაქტები? კი, ბატონო! არა? მაშ, პასუხს აგებ!

— მაპატიეთ, ნიკიტა სერგეევიჩ!

— ამჯერად მიპატიებია, მაგრამ შემდეგისთვის დაიხსომე: უფლებას არ მოგცემ, ჩვენს ახალგაზრდობას ჩირქი მისცხო! კონკრეტული ბრალდება ფაქტებით უნდა დადასტურდეს! ახლა შეგიძლია წაზვიდე!

ხრუშჩოვმა განკარგულება გასცა, დაეპატიმრებინათ ყველა, ვინც ოდნავ მაინც საეჭვოდ მოეჩვენებოდათ. მილიციაში ბლომად მიჰყავდათ ტყავის ქურთუკში გამოწყობილი მაღალი, ქერა მამაკაცები. შემოწმებით ირკვეოდა, რომ ბანდასთან არაფერი საერთო არ ჰქონდათ და მილიციაც იძულებული იყო, დაკავებულები გაეთავისუფლებინა.

ერთ შშვენიერ დღეს უბნის ინსპექტორ ბირიუკოვს მოახსენეს, სასაუბრეში მაღალი, ქერა მამაკაცი ზის, ლულს მიირთმევს და კი-



მოსკოვი 1950 წელს

ბორჩხალებს აყოლებსო. ბირიუკოვი წამოდგა და სასაუზმისკენ წელი ნაბიჯით გაემართა. ტყავის ქურთუკში გამოწყობილი მაღალი, ქერა მამაკაცი მშვიდად იჯდა და ლუღს შეექცეოდა. ინსპექტორი მასთან მივიდა, ხელი ქულთან მიიტანა.

— ამხანაგო, თქვენი საბუთები!

ყმაწვილმა გაიღიმა. კეთილი, ბავშვური ღიმილი ჰქონდა. ბირიუკოვი უნებლიეთ შეცბა, უკან დაიხია.

— საბუთები? ახლავე.

მოულოდნელად, ელვისებური მოძრაობით რევოლვერი იძრო. გაისმა სროლა.

ტყვიით განგმირული ბირიუკოვი დაეცა. მაღალი, ქერა მამაკაცი კი გარეთ გავარდა და გაუჩინარდა.

ამჯერად მოწმეები უხვად იყვნენ. მებუფეტე ქალმა მამაკაცის გარეგნობა დაწვრილებით აღწერა: — სიმაღლე მეტრი და 87 სანტიმეტრი, თმის ფერი ქერა, ნაკვთები სწორი, აღნაგობა ათლეტური.

— რამე გამორჩეული ნიშანი თუ აქვს? ბეჭედი, ხალი, ნაიარევი?

— არა, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ათლეტური აღნაგობისაა. შევხედე და უნებლიეთ გავიფიქრე, რომ სპორტსმენია. მებუფეტე წამით გაჩუქდა, — ვკითხე, ფეხბურთელი ხომ არ ხართ-მეთქი. არა, ჰოკეისტი ვარო, მომიგო.

სასაუზმეში დარჩა კათხა, საიდანაც მაღალი, ქერა მამაკაცი ლუღს მიირთმევდა. კათხაზე მისი თითების ანაბეჭდები იყო. მოსკოვის სამძებროს კარტოთუკაში მსგავსი ანაბეჭდები არ აღმოჩნდა. ცხადი გახდა, რომ მაღალი, ქერა მამაკაცი აქამდე სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა.

ბანდიტი უნიღბოდ

1951 წელს სტალინის ბრძანებით უშიშროების მინისტრი ავაკუშოვი თანამდებობიდან მოხსნეს და დააპატიმრეს. მას ბრალი სიონისტებთან კავშირსა და საშობლოს ღალატში დასდეს. უშიშროებაშიც მთელი ე.წ. ჯამუშური ქსელი აღმოაჩინეს. დაიწყო მასობრივი წმენდები.

ბანდა „შავი კატა“ კი კვლავაც მოქმედებდა მოსკოვსა და პოდმოსკოვიეში.

ამჯერად სკორინი ხრუშჩოვთან მისვლას არ ჩქარობდა. ფაქტები, რასაც ნიკიტა სერგეევინი მოითხოვდა, არ ჰქონდა. ბანდის წევრთაგან სახეს მხოლოდ მეთაური არ იფარავდა, სხვებს ნიღბები ეკეთათ.

— რატომ სხვების მსგავსად სახეს არ იფარავს? — სკორინმა სიგარეტს მოუკიდა.

— ჩვენთან ასე თამაში სიამოვნებს, — არაპოვმა გაიღიმა.

— არ მგონია, მხოლოდ ეს იყოს მიზეზი, — სკორინი წამით გაჩუმდა, — დარწმუნებულია, რომ ვერ იცნობენ.

— რაო?

— ბომა იქ არ მოიპარავს, სადაც ცხოვრობს. ყველა ძარცვა იმ ადგილებში მოხდებოდა, სადაც ბანდიტები არ ცხოვრობენ, ამიტომაც ვერ იცნობენ.

— მაშ, სხვები ნიღაბს რად ატარებენ?

— ეტყობა, ქერა მამაკაცს კონსპირაციისთვის თავისი წარმოდგენა აქვს, — სკორინი შეჩერდა, — ერთ ფაქტს მიაქციე ყურადღება: ბანდიტებს მთელი მოსკოვი და პოდმოსკოვიე აკლებული აქვთ. ერთადერთი ადგილი, სადაც ძარცვა არ მომხდარა, კრასნოგორსკია.

— მაშ, შენი აზრით, მაღალი ქერა მამაკაცი კრასნოგორსკელია?

— დიახ, ამიტომაც დარწმუნებულია, რომ ვერ იცნობენ.

1952 წელს ბანდიტები შემნახველ სალაროს დაესხნენ თავს, ამჯერად — დღისით, შესვენების დროს. ბანდიტმა ჯიბიდან უშიშროების მოწმობა ამოიღო:

— გააღე!

კარი, რასაკვირველია, იმ წამსვე გაუღეს. ბანდიტებმა ყველანი კედელთან მიაყენეს, ფული ტომრებში ჩააწყვეს. ამ დროს მოულოდნელად ტელეფონის ზარი გაისმა. ერთ-ერთმა ბანდიტმა ყურმილი აიღო:

— ალო, შემნახველი სალაროა?

— არა, სტადიონია! — მიუგო ბანდიტმა და ყურმილი დაკიდა.

წასვლისას კედელზე ნახშირით შავი კატა დახატეს, შემდეგ სალაროს თანამშრომლებს ცეცხლი გაუხსნეს.

— რაღაც სასწაულით, შემნახველი სალაროს ერთი თანამშრომელი გადარჩა. ის მძიმედ

დაიჭრა, სხვები კი დაილუნენ, — წერს ანა მამონტოვა.

სკორინი მასალებს კვლავაც გულდასმით გაეცნო. რატომ თქვა ბანდიტმა სტადიონიაო? ასეთი რამ თავში მხოლოდ იმას მოუვა, ვინც სპორტს მისდევს. მაღალი, ქერა მამაკაცის გარეგნობა იმაზე მიუთითებს, რომ სპორტსმენია.

— მოწინავე მუშა და სპორტსმენი.

სკორინს თავისი მოსაზრებები ამჯერად თვით არაპოვისთვისაც კი არ გაუზიარებია. ხრუშჩოვის აგრესიული რეაქციის შემდეგ ცხადი გახდა, რომ უფროსობა ასეთ ჰიპოთეზას ანტისაბჭოთა პროპაგანდად აღიქვამდა. არაპოვმა შესაძლოა დაასმინოს ან მათ საუბარს ვინმემ ყური მოჰკრას და ხელმძღვანელობასთან ენა მიიტანოს. ცილისწამება საბჭოთა კომკავშირზე! ამის გამო ადვილი შესაძლებელია, ბანაკშიც მოხვდეს.

— თუკი გაქვთ კონკრეტული ფაქტები, გადმოალაგეთ. არა? მაშინ ასეთი ცილისწამებისთვის დაისჯებით! — გაახსენდა ხრუშჩოვის სიტყვები.

სკორინი წამოდგა და სიგარეტს მოუკიდა...
(დასასრული მომდევნო ნომერში)

ნიკა თივზაძე


ისტორიის დოქტორი

პეტროვის 38 (მოსკოვის სამკებროს მისამართი)



მცხეთის ჯვარი

ტაძრის
სამხრეთი ფასადი



ქართული არქიტექტურის გვირგვინად წოდებული მცხეთის ჯვრის ტაძარი მდებარეობს მტკვრისა და არაგვის შესართავთან, ძველი მცხეთიდან 1,5 კილომეტრის დაშორებით. იგი აგებულია სწორედ იმ ადგილას, სადაც მირიან მეფემ ქრისტიანობის მიღების აღსანიშნავად ხის ჯვარი აღმართა. დიდი ტაძრის აშენებამდე ერისმთავარმა გუარამმა მცირე ეკლესია ააგო მირიანის ჯვრის გვერდით, ხოლო VI-VII საუკუნეების მიჯნაზე მისმა ძემ, ერისმთავარმა სტეფანოზმა მცხეთის ჯვრის ცნობილი ტაძარი ააშენა. ჯვარი, თავის ქვის კვარცხლბეკით, ინტერიერში მოექცა. ეს კვარცხლბეკი ტაძრის შუაგულში დღემდეა შემორჩენილი.

მცხეთის ჯვარი თარიღდება 584-604 წლებით. ქართული ხუროთმოძღვრებისთვის ეს ე.წ. კლასიკური პერიოდია. ტაძარი უნიკალურია არქიტექტურული თვალსაზრისით და იგი კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის სრულყოფილად ჩამოყალიბებულ ნიმუშს წარმოადგენს (ტეტრაკონქი ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ტიპია, რომლის გვემის საფუძველი აფსიდებით შედგენილი ჯვარია).


ქრისტიანულ ტაძრებში უმეტესწილად ერთი აფსიდაა, რომელშიც საკურთხეველია გამართული. ცალკეულ ჯგუფებად გვხვდება მრავალაფსიდიანი ტაძრები, მაგალითად, ტრიკონქები, ტეტრაკონქები, არის ექვსაბსიდიანიც კი (ნიკორწმინდა).

მცხეთის ჯვრის არქიტექტურული წინასახე ნინოწმინდის ტაძარია (მის შესახებ იხილეთ სტატია „ისტორიანის“ წლებანდელი ნომერის ნომერში). ნინოწმინდაში სივრცე შექმნილია ოთხი ძირითადი და ოთხი დამატებითი აფსიდით, რომლებსაც არა დეკორატიული, არამედ კონსტრუქციული დატვირთვაც აკისრია და გამოყენებულია როგორც გუმბათის დასაბჯენად, ისე ნაგებობის ფართობის გასაზრდელად. მცხეთის ჯვრის კონსტრუქციაში კი, ამ დამატებითი აფსიდების ნაცვლად, გაჩნდა ე.წ. კუთხის ოთახები, რომლებიც პირდაპირ კი აღარ ებმის ძირითად სივრცეს, არამედ მცირე ნიშებით უკავშირდება.

ნინოწმინდის ტაძრის მსგავსად, აქაც რვა მასიური საყრდენია გუმბათისთვის, თუმცა კონსტრუქციულად ბევრად უფრო მყარი და გამართულია. გარდა ამისა, მისი მრავალაფსიდურობა გარემასებში აღარ ვლინდება, ანუ ტაძრის გვემა სწორკუთხედში მოექცა. ინტერიერში მეტად გამოიკვეთა ჯვრის სივრცული მოხაზულობაც.

მცხეთის ჯვარში მიგნებული ტეტრაკონქის ტიპის კონსტრუქციული მოდელის დახვეწილობის გამო, ქართული ხუროთმოძღვრებაში მისი შესაბამისი მთელი არქიტექტურული ტიპი გაჩნდა. ატენის სიონი ქართლში, მარტვილის ტაძარი სამეგრელოში და ძველი შუამთის მონასტრის დიდი ტაძარი კახეთში, დიდი სიზუსტით იმეორებენ მცხეთის ჯვრის გვემარებას.

პირველი, რაც მცხეთის ჯვრის ტაძართან მიახლოებისას მძაფრ შთაბეჭდილებას ახდენს, არის არქიტექტურული ნაგებობის



გუმბათის რვა მასიური საყრდენი

ქვის კვარცხლბეკი მირიან მეფის აღმართული ჯვრისთვის



მცხეთის ჯვარი
ჰარმონიულად
ერწყმის ლანდშაფტს



შერწყმა რელიეფთან, გარემოსთან, რომლის ბუნებრივ ნაწილადაც აღიქმება.

რაც შეეხება ფასადების მორთულობას, დასავლეთის მხარე, ვინაიდან კლდოვანი ქარაფი აკრავს და მისი ახლოდან აღქმა შეუძლებელია, ყოველგვარი მორთულობის გარეშეა და-

ტოვებული. ჩრდილოეთის მხრიდან ფასადის დიდ ნაწილს მცირე ჯვრის ადრეული ტაძარი ეფარება, ამიტომ გაფორმების ელემენტები აქაც არ გვხვდება. აღმოსავლეთ და სამხრეთ ფასადებზე გამოსახული რელიეფები კი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში

ჯვრის ამაღლების კომპოზიცია



დასავლეთის მხარეს
ტაძარს კლდოვანი
ქარაფი აკრავს



ერთ-ერთი ადრეული და მაღალმხატვრული ნიმუშებია. აქ პირველად გვხვდება ადამიანთა გამოსახულებები ტაძართა გაფორმებაში. ასევე ქართული ეპიგრაფიკის ერთ-ერთი უძველესი და მაღალმხატვრული ნიმუშებია რელიეფებზე დატანილი საქტიტორო წარ-

წერები. აქ საფასადო რელიეფი ორგანულად უკავშირდება ტაძრის საერთო ხუროთმოძღვრულ აგებულებას და მას შთამბეჭდავსა და გამომსახველს ხდის.

აღმოსავლეთ ფასადზე, საკურთხევის აფსიდის სამწახნაგა შვერილზე, სარკმელთა

ტაძრის სამხრეთი ფასადი, დეტალი





ქრისტე აკურთხებს მუხლმოყრილ ერისმთავარ სტეფანოს I-ს

საკურთხევის აფსიდის სამწახნაგა შვერილზე, სარკმელთა ზემოთ, კედელში, ჩასმულია სამი რელიეფური ფილა

ზემოთ, კედელში, ჩასმულია სამი რელიეფური ფილა, რომლებიც ერთიან კომპოზიციას ქმნის. რელიეფებზე ისტორიულ პირთა სულის ხსნისთვის ლოცვა-ვედრებისა და უფლის მიერ მათი კურთხევის თემაა ასახული, რაც ხაზგასმულია რელიეფების თანმხლებ წარწერებშიც. თითოეული ფილის თავისუფალ არეებზე, ღრმად ჩაკვეთილი ძველი ქართული გრაფემებით, შესრულებულია ასომთავრული წარწერები, რომლებიც ჯვრის ეკლესიის მამუნებელთა – ქართლის ერისთავთა სახელებს გვამცნობენ. ცენტრალურ ფილაზე ვხედავთ ფეხზე მდგომ ქრისტეს, რომელიც მის წინაშე მუხლმოყრილ ქტიტორს – ერისმთავარ სტეფანოს I-ს (586-604 წწ.) აკურთხებს თავზე ხელის დადებით. გარკვევით იკითხება წარწერა: „ჯუარო მაცხოვრისაო სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალო“.

საკურთხევის აფსიდის გვერდითა წახნაგებზე ჩასმულ ფილებზე გამოსახული არიან ასევე მუხლმოყრილი და ვედრების შესტით ქრისტესკენ ხელებგაწვდილი სტეფანოს ერისმთავრის ძმა დემეტრე (მარცხენა ფილაზე) – „წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო დემეტრეს ვპატოსსა მეოხ ხეყავ“. მარჯვენა ფილაზე კი გამოსახული ადარნასე ვიპატოსი და მისი მცირეწლოვანი ვაჟი ქობულ-სტეფანოსი (შემდგომში, ერისმთავარი სტეფანოს





სარკმლის ზემოთ
მოთავსებულ ფილაზე
გამოკვეთილია ჭაბუკი
ქობულ-სტეფანოზი
და წმინდა სტეფანე
პირველდიაკვანი



აღმოსავლეთი ფასადი.
აუტორისა და
ზურაბ ცერცვაძის ფოტოები





დიდი მცხეთა,
ხელი არმაზის მთის მხრიდან



II) – „წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო ადრნერსეს ვპატოსს მეოხ ეყავ“. ქტიტორებს მაცხოვარს წარუდგენენ მთავარანგელოზები მიქაელი და გაბრიელი. ისინი ხელის შესტით ცენტრისკენ მიმართავენ ამ ფიგურებს. ცენტრალური ფილის თავზე, კედლის სიბრტყიდან გამოწეულ სათაურზე გამოსახულია ანგელოზი ხელში საყვირით.

სამხრეთ ფასადზე, სვედრებელი წარწერის თანახმად, შვერილი აფსიდის სარკმლის ზემოთ მოთავსებულ ფილაზე გამოკვეთილია ჭაბუკი ქობულ-სტეფანოზი. წმინდა სტეფანე პირველდიაკვნის წინაშე ის მუხლმოყრილია და ვედრებად ხელებგაწვდილი. გუმბათის ყელის სამხრეთ წახნაგზე მოთავსებულია მცირე ზომის რელიეფი მუხლმოყრილი და ვედრებით ხელებგაწვდილი საერო პირის გამოსახულებით, რომელიც მეცნიერთა მოსაზრებით, შესაძლოა ხუროთმოძღვარს განასახიერებდეს.

სამხრეთი შესასვლელის თავზე (ტიმპანზე) გამოკვეთილია ჯვრის ამალღების კომპოზიცია. ამალღების თემა ხმიანობს სამხრეთივე ფასადის მეორე შესასვლელის (პატარა კარის) თავზე გამოკვეთილ რელიეფზეც.

ტაძარს გარს ერტყა სამი მხრიდან საბრძოლო კოშკებით გამაგრებული გალავანი, რომლის ნაშთებიც დღემდეა შემორჩენილი და XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება.

მარიტა სახლთსუციოშვილი

*ოსუ, ხელოვნებათმცოდნეობის
მაგისტრანტი*

გურამ ლორთქიფანიძის სადარდელი

**გურამ ლორთქიფანიძე:
ისტორიკოსობა არ არის
დღეს ისეთი პოპულარული
სპეციალობა, როგორც ადრე იყო**

პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე ნახევარ საუკუნეზე მეტია საყვარულ საქმეს ემსახურება და ქართულ არქეოლოგიას უმნიშვნელოვანესი კვლევებით ამდიდრებს. მისი სამეცნიერო ღვაწლი კარგად არის ცნობილი, თუმცა ბევრმა შესაძლოა არაფერი იცოდეს ბატონი გურამის შემოქმედებითი და პოეტური ბუნების შესახებ. გთავაზობთ რამდენიმე შტრიხს არქეოლოგ გურამ ლორთქიფანიძის ცხოვრებიდან.

გურამ ლორთქიფანიძე

— ბავშვობა ბათუმში გაატარე, სადგურთან ახლოს ვცხოვრობდით. ჩვენს ქუჩას მაშინ მარჯის ქუჩა ერქვა, თუმცა ნიკოლოზის დროს მიხაილოვის ქუჩა იყო, ახლა კი ვაჟა-ფშაველას ქუჩაა. 48 ნომერში ვცხოვრობდით. თბილი მოგონებები მაკავშირებს ამ სახლთან, საერთოდ ბათუმთან, ჩვენს მეზობლებთან. როცა მეძლევა საშუალება და ჩავდივარ, აუცილებლად მივდივარ ჩვენს ყოფილ სახლთან, ვნახულობ მეზობლებს, მხოლოდ ისე, რომ არ შევაწუხო... შემოვიფიქროვო ეზო-კუნჭულს...

ომის წლებში, როცა პატარა ვიყავი, ქალაქში ერთი მანქანა თუ გაივლიდა, ბურთის პირდაპირ ქუჩაში ვთამაშობდით. ახლა, ცხადია, ყველაფერი სხვაგვარადაა...

დედა კბილის ექიმი იყო, თუმცა ადარ მუშაობდა. მამას საინტერესო ისტორია ჰქონდა. ეს არასდროს ჩამიწერია ჩემს ბიოგრაფიაში და ახლა პირველად ვამბობ: მამა, ამბროსი ლორთქიფანიძე, კოჯორთან ბრძოლაში დაიჭრა, გრივოლ ლორთქიფანიძის (დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო მინისტრი, — რედ.) თანაშემწე იყო. მართალია, გადარჩა, მაგრამ ისეთ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა, ექიმთანაც ვერ მივიდა. კარაბინით იყო დაჭრილი, ტყვია ამოსაღები ჰქონდა,



მაგრამ მაშინ გვარდიელის გამოჩენა ექიმთან სიკვდილის ტოლფასი იქნებოდა. ამიტომ იმალებოდა.

ბავშვობა ისეთი მქონდა, გაგიკვირდებათ. ჯერ პიონერთა რაზმის ხელმძღვანელი ვიყავი, მერე კომკავშირელი. მამა ირონიულად უყურებდა ამ ამბავს, თუმცა, არაფერს მეუბნებოდა. ჩემს დას კი ეხუმრებოდა, ეს პავლიკ მოროზოვი არ გამოვიდესო.

მთელი ცხოვრება გაჰყვა მამას შიში. 1952 წელს, რეპრესიები რომ დაიწყო, მამას შეატყობინეს, დასაპატიმრებელთა სიაში ხარ და საქართველო დატოვეო. ისიც რუსეთში წავიდა რამდენიმე წლით და ვიდრე სტალინი არ გარდაიცვალა, საქართველოში ვერ დაბრუნდა. ახლა შეიძლება ბევრს გაუკვირდეს, თუმცა ასეთი ამბები ხდებოდა ხოლმე: კაცი, რომელმაც მამას შეატყობინა დასასჯელთა სიაში ყოფნა, თავად იყო კა-გე-ბეს მაღალჩინოსანი, გეგი თამლიანი, მოსკოვში მუშაობდა.

მეტად დაძაბული ვითარება იყო, შინ პოლიტიკურ თემაზე ხმას ვინ ამოიღებდა. ისედაც სულ ხმადაბლა ლაპარაკობდნენ. ემინოდით, ვინმეს რამე არ გაეგონა და სადმე არ დაესმინა. ჯაშუშომანია მძვინვარებდა. ახლა

რომ დაეფიქრდები, ეხვდები, რა პერიოდი გამოიარა საქართველომ.

სკოლაში პროპაგანდა მაღალ დონეზე ჰქონდა დაყენებული საბჭოთა ხელისუფლებას. მასსოვს, ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები“ დავდგით. „საზიზღარი ამერიკელის“ როლს ვთამაშობდი, დრუე ერქვა. ბავშვებს არ უნდოდათ კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლის თამაში, რატომ უნდა ვიყო „საზიზღარი ამერიკელი“. ამ დროს, მასწავლებლები გვყავდა არაჩვეულებრივი. მარო კენხუაშვილი გვასწავლიდა ქართულს. ყველას შეგვაყვარა ქართული ლიტერატურა.

ლენინის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი. შესანიშნავი პედაგოგები მუშაობდნენ. მარგო ჩხაიძე დაწყებითი კლასების მასწავლებელი იყო. უნდა გენახათ, როგორ ზრუნავდა თავის მოწაფეებზე, შინ აკითხავდა მათ... არადა, ახლა რომ ვფიქრობ, საკმაოდ დუხჭირი ცხოვრება ჰქონდა, მამით ობოლ შვილს მართო ზრდიდა... მაინც ჰქონდა იმის ხალისი, რომ ჩვენზე ეზრუნა და შეიღებოდათ ველოდით.

ბათუმში საინტერესო ხალხი ცხოვრობდა. მათ შორის იყვნენ ისინიც, ვინც 1921 წელს ვერ გავიდა საქართველოდან. მასსოვს დონდუების ოჯახი. საინტერესო ბიბლიოთეკა ჰქონდათ, წიგნებს ვთხოვლობდი მათგან. ერთხელაც ვითხოვე ჟურნალ „პრომეთეს“ პირველი ნომერი. ამ ჟურნალით გავცანინი საქართველოს, ჩემს სამშობლოს. მაშინ პირველად წავიკითხე, რომ თურმე საბჭოთა დროშის გარდა არსებობდა საქართველოს დროშაც, ამაზე წერილი ჰქონდა დაწერილი კონსტანტინე გამსახურდიას. ეს ნომერი, როგორც რელიკვია, დამრჩა, სამწუხაროდ, ვერ დაუბრუნე მათ... ბევრი რამ ხელნაწერებად გადადიოდა ხელიდან ხელში. ასე წავიკითხე გრიგოლ რობაქიძე.

მერე მსოფლიო ომის შემდეგ წიგნები კი გამოვიდა, მაგრამ სულ პროპაგანდისტული ლიტერატურა იბეჭდებოდა. მერე რუსულადაც დავიწყე კითხვა. კერძოდ დავდიოდი ინგლისურზე. ებრაელების ოჯახში, საინტერესო ბიბლიოთეკა ჰქონდათ. მართალია, წიგნს შინ არ მატანდნენ წასაკითხად, მაგრამ იქ უფლება მქონდა დამეთვალთვალებინა, გადამეხედა. ვიმახსოვრებდი, რაც მომწონდა და მერე ქალაქში ვეძებდი.

სკოლაში გამორჩეული ვიყავი. სულ ვფიქ-

რობ, რატომ მერგო ასეთი ბედი, რომ მასწავლებლებს განსაკუთრებულად ვუყვარდი.

მყავდა ბიძაშვილი, ჯიმშერ ლორთქიფანიძე, რომელიც დიპლომატიურ სამსახურში იყო და ბერიას ინტელექტუალთა ჯგუფში შედიოდა. მამამისმა, კლიმენტი ლორთქიფანიძემ 1937 წელს მოიკლა თავი, რადგან გაიგო, რომ დაჭერას უპირებდნენ. ჯიმშერი რომ ჩამოდიოდა მოსკოვიდან, ჩვენთან ჩერდებოდა. საღამოობით გვიამბობდა თურქეთის არქეოლოგიურ აღმოჩენებზე. მაშინ დავინტერესდი არქეოლოგიით. თანაც, ჩვენს სახლთან აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი იყო. იქ მუშაობდა ჩემი ნათლია, რომელთანაც ხშირად მტოვებდა დედა. შემქმლო ექსპონატები დამეთვალთვალებინა. ამან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ახლაც კი, თუ ბათუმში მოვხვდი, აუცილებლად მივდივარ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში...

სკოლა რომ დავამთავრე, მირჩევდნენ, იურისტი გაუმხდარიყავი, მაგრამ მე ისტორია ვარჩიე.

1956 წელს ჩავაბარე ჩვენს უნივერსიტეტში. კეთილგანწყობილი მიძღებეს კომისია იყო,

სტუდენტი გურამ ლორთქიფანიძე





ვახტანგ ბერიძე, გურამ ლორთქიფანიძე, ანასტას მიქოიანი და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე პუზანოვი აღმოსავლეთ-მცოდნეობის IV კონგრესზე ეცნობიან ვიორგი ჩუბინაშვილის ახლად გამოქვეყნებულ „ქართულ ოქრომჭედლობას“, სადაც გააპარეს და ილუსტრაციებად ხატები დაბეჭდეს (მოსკოვი, 1960 წ.)

ერთი წამით არ მიგრძნია, რომ ვინმე დამჩაგრავდა. 19 ქულა მოვიპოვე და ჩავირიცხე.

დეკანის მოადგილე იყო ბაკურ ბაქრაძე, მან გამოგვიცხადა, რომ იყო მოსული ერთი ადგილი მოსკოვიდან, ლომონოსოვის უნივერსიტეტში სასწავლებლად. ვის უნდა, რომ წაიედესო. სურვილი გამოუთქვი. დედა საკმაოდ მკაცრად მზრდიდა, ჩემს ნებაზე არ მიშვებდა, 11 საათზე შინ უნდა ვყოფილიყავი... ვიფიქრე, ამ არტახებს თავს დავაღწევ და ნამდვილი თავისუფლებით დავტკბები-მეთქი. გავიარე კონკურსი და მართლაც წავედი მოსკოვში სასწავლებლად.

ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი (1957 წ.)




ჩამრიცხეს ისტორიის ფაკულტეტის არქეოლოგიის განყოფილებაზე. საერთო საცნოურებელში მომცეს ცალკე ოთახი. ესეც გასაოცარი იყო... ჩემდამი დიდი კეთილგანწყობა ჰქონდათ. ვერ ამიხსნია, რით იყო ეს გამოწვეული... აი, დღესაც ვცდილობ, რომ ისეთივე კეთილგანწყობილი ვიყო ახალგაზრდებისადმი, როგორიც ლომონოსოვის უნივერსიტეტის პროფესურა იყო ჩემ მიმართ.

გამიჭირდა რუსულად სწავლა, მაგრამ ამხანაგებიც მეხმარებოდნენ. ჩემთან სწავლობდნენ ყოფილი მეზღვაურებიცა და მაღალჩინოსნების შვილებიც, მაგალითად, მაშინდელი ცეკას მდფენის, მიხაილ სუსლოვის ქალიშვილი...

თავისუფლებითაც ვტკბებოდი, მაგრამ სესიებამდე... მერე მიფხვდი, რომ ჭარბი თავისუფლებაც არ ყოფილა კარგი.

პირველ კურსზე, ერთ დღეს სიდრით (ეს იყო ყველაზე იაფფასიანი ვაშლის ღვინო) ვიქეიფეთ და დილით ლექციასზე წავედი. ბორის ნიკალაევი გრაკოვი კითხულობდა. ძალიან ცუდად ვიყავი. მკითხა: „ბატინკა, ვამპლოზო“. ამოიღო 5 რუბლი და მომცა, წადი, ნაბახუსევზე გამოდიო. მაშინ 5 რუბლი დიდი ფული იყო. თანაც ვინ მომცა! საყოველთაოდ ცნობილმა მეცნიერმა, ვის დანახვაზეც კედელს ვეკვროდი.

სტუდენტები გასაოცარ თავისუფლებას გვაზიარეს. მიკვირს, როგორ ბედავდნენ. ჩანს, ბორის გრაკოვი ძალიან გვენდობოდა,



გათხრები ვანში

ერთ ლექციაზე გვითხრა, ნიკოლოზი გაცილებით თავმდაბალი იყო, ვიდრე სტალინი, პოლკოვნიკობის ზემოთ არ წასულაო... არაჩვეულებრივი პროფესიონალები გვასწავლიდნენ, წარუშლელი კვალი დატოვეს ჩვენზე.

გასაოცარი კაცი იყო ჩემი თემის ხელმძღვანელი ვლადიმირ ბლაგატსკი. შინ დაუყვანილი ხოლმე. მხოლოდ ერთხელ გვქონდა კონფლიქტი. მითხრა, ქართული ასოები დამიწერო. დაუწერე. დახედა და: დროა ლათინურ შრიფტზე გადახვიდე ქართველები, ეს ძალიან არქაული ასოებიაო. მაშინ კი მაგრად ვეკამათე... თუმცა, ურთიერთობა არ გაგვეუჭებია.

კიდევ ერთი ამბავი მახსოვს, ოღონდ ეს ანასტას მიქოიანს ეხება. 1960 წელია, აღმოსავლეთმცოდნეობის IV კონგრესი მიმდინარეობს. IV კურსის სტუდენტი ვარ. მაშინ ახალი გამოქვეყნებული იყო გიორგი ჩუბინაშვილის ორტომეული „ქართული ოქრომჭედლობა“, სადაც გააპარეს და ხატები დაბეჭდეს ილუსტრაციებად. „პრაღაში“ დაიბეჭდა საშინელი რეცენზია. სწორედ მეორე დღეს, კონგრესის გამოფენა მოეწყო, სადაც სახელმწიფო მოხელეები მოვიდნენ. მე შემთხვევით აღმოვჩნდი მათთან. ანასტას მიქოიანი დიდხანს ათვალიერებდა ჩუბინაშვილის წიგნს, გავბედე და ვკითხე, მოგეწონათ ეს წიგნი-მეთქი? მომიბრუნდა, – ჩვენში განა ცოტას აკრიტიკებენ? მაგრამ კარგი წიგნები მაინც საუკუნეებს

უძლებენო. ამ დღეს ფოტოც გადაიღეს და დამრჩა სამახსოვროდ.

დისერტაცია მქონდა „კოლხეთი ძველი წელთაღრიცხვის II-I საუკუნეებში“. იმდენად წესიერი კაცი იყო ჩემი ხელმძღვანელი ბლაგატსკი, რომ ყველაზე დიდხანს ჩემი დისერტაცია იღო დასამტკიცებლად უმაღლეს აკადემიურ კომისიაში. ერთი წელიწადი დააკვირდა, რადგან თემა ჩემს ხელმძღვანელს მოუვიდა დასამტკიცებლად.

საკანდიდატო დისერტაცია მოსკოვში დაიცავი, სადოქტორო დისერტაცია – უკვე საქართველოში. კომისიის ხელმძღვანელი

გერმანიაში კოლეგასთან, ქართველოლოგ ანიგრეტ ლუნინგთან ერთად





გერმანელი რაინდის „ალჭურვილობა“ — სალაღობო ფოტო

ბატონი გიორგი მელიქიშვილი იყო. ჩემი პირველი წიგნის რედაქტორიც ის გახლდათ. მეტად სამართლიანი და ყურადღებიანი ადამიანი იყო.

პირველი სველე პრაქტიკა მივიღე რუსეთში – ყირიმში, ნოვგოროდში... მოსკოვის უნივერსიტეტმა გამიფართოვა თვალსაწიერი, თუმცა ჩვენი, ქართული არქეოლოგიური სკოლა ძალიან მაღალ დონეზე იყო. პირველად რომ გამოვიდა „საქართველოს არქეოლოგია“, ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები მთხოვდნენ, ქართულიდან მეთარგმნა. ძალიან აინტერესებდათ.

არქეოლოგისთვის მეტად მნიშვნელოვანია იღბალი. ბედნიერი ვარ, რომ მყავდა საუკეთესო მასწავლებლები. არქეოლოგიაში პირველ ქართველ ქალბატონთან, ნინო ხოშტარიასთან ვანის გათხრებზე ვმუშაობდი. ვანის კარიბჭესთან დამაყენა სამუშაოდ. მივაკვლიე გრაფიტებს, მათგან ზოგიერთი არ არის გამოქვეყნებული. ნახატები აქვს ჯარისკაცს გაკეთებული, მილიტარისტული სცენები, იარაღი, თავისი სახელიც აქვს დაწერილი. სულ მინდა, ღრმა კონტექსტი მიეცე ამ გრაფიტს

და ისე გამოვაქვეყნო. ახლა ვამთავრებ წიგნს და შემდეგ აუცილებლად ამ გრაფიტს მივუბრუნდები. 1961 წლიდან ამაზე ვფიქრობ... ჩემი პირველი წიგნი ქალბატონი ნინო ხოშტარიას ხსოვნას მივუძღვენი. შემდეგ, ბატონმა ანდრო აფაქიძემ დამიტოვა ბიჭვინთაში თავისი ექსპედიცია, 1976 წლიდან დამოუკიდებელი ექსპედიცია მქონდა. მაშინ სრულიად ახალგაზრდა კაცი ვიყავი. მაღლიერებით ვიხსენებ, რომ მენდო ბატონი ანდრია.

არქეოლოგი კეთილგანწყობილი უნდა იყოს. სხვანაირად ვერ იმუშაებს. მნიშვნელოვანია კოლექტიური მუშაობა, კოლეგიალობა. შეიძლება შენ ვერ დაინახო, სხვამ დაინახოს...

ეს საქმე ზოგს მკვდარი ნივთების ძებნა ჰკონია. არა, ადამიანი მთავარია არქეოლოგისთვის. თუ ადამიანი არ გაიაზრე, არტეფაქტის აღწერა არაფერია.

არქეოლოგი ტრავმების ქება მუდმივად. მნიშვნელობა არ აქვს, ვის სამარხს გახსნი: ახალგაზრდისას თუ მოხუცისას. იმ პერიოდისგან მოყოლებული, როცა ადამიანმა გადაწყვიტა, პატივი მიეგო გარდაცვლილისთვის და ისე დაეკრძალა, ეს უკვე ტრავმად შეირაცხა. რომაელები რომ კრძალავდნენ, რთულ რიტუალებს მართავდნენ. საკმაოდ ძვირი ჯდება, თორმეტი ტაბულის კანონებია, სადაც შეზღუდვები იყო ჩამოწერილი... რამდენი მუსიკოსი უნდა მოეწვიათ დაკრძალვაზე, რამდენი უნდა დაეხარჯათ ქელეხზე. დაკრძალვის წესები დღემდე მოგვადგეს, თუმცა ქრისტიანულად გადაფასებული. კაცობრიობა სპირალურად ვითარდება, ერთსა და იმავე გზას გავდივართ ყველანი. არქეოლოგები ამის უპირველესი მოწმეები ვართ...

თითქოს ამოდ არ ჩაუვლია წლებს, მაგრამ მაინც... ვდარდობ, რომ დრო უკეთ უნდა გამომეყენებინა... ვდარდობ, რომ ჩემი ქალიშვილი და შვილიშვილები არ გაპყვენ ჩემს პროფესიას, ქალიშვილი თურქოლოგია, შვილიშვილები იურისტი და ეკონომისტი მყავს.

ჩემს ბიბლიოთეკას უნივერსიტეტს დაუშტოვებ...

და კიდევ, ყველაზე მთავარი სადარდელი იცით რა მაქვს? ისტორიკოსობა არ არის დღეს ისეთი პოპულარული სპეციალობა, როგორც ადრე იყო, სათანადოდ ვერ აცნობიერებენ მის ხიბლსა და სიკეთეს. საქართველოს ისტორიის სამსახური დიდი პატივია...

ლელა ჯიჩაშვილი

პროფესორ ბიორბი ჯავახიშვილის მოსაბონარი

ქრისტეშობისთვის მიწურულს 75 წლის გახდებოდა ცნობილი ქართველი ლიტერატურათმცოდნე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი. სამწუხაროდ, ის ამ საიუბილეო თარიღის დადგომამდე ერთი წლით ადრე — 2015 წლის გიორგობისთვის გარდაიცვალა.



გიორგი ჯავახიშვილი დაიბადა 1941 წლის 20 დეკემბერს, გარეკახეთის სოფელ ყანდაურაში, ნიკოლოზ ჯავახიშვილის ოჯახში.

ხსენებული სოფელი, რომლის ისტორიული სახელწოდება იყო ყანდაური, მდებარეობს ცივ-გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე და ადმინისტრაციულად საგარეჯოს რაიონში შედის.

ყანდაური ნასოფლარად იქცა შაჰ-აბას I-ის მიერ კახეთში მოწყობილი გამანადგურებელი ლაშქრობების შედეგად. ეს სოფელი აღადგინეს ერეკლე II-ის ინიციატივით, რომელმაც იქ თავისი პირადი ყმები დაასახლა. ამის თაობაზე კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ II იუწყებოდა 1797 წლით დათარიღებულ განჩინებაში „სოფელ ყანდაურის თაობაზე“.

მეფემ ეს სოფელი საუფლისწულო მამულად უბოძა თავის ძეს — მირიან ბატონიშვილს, რომელიც იყო საიმპერიო სენატის წევრი, ნამდვილი სახელმწიფო მრჩეველი, გენერალ-ლეიტენანტი და ყაბარდოს პოლკის შეფი. იმავედროულად, ის ლიტერატურულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასაც ეწეოდა.

უფლისწულ იოანე ბაგრატიონის ნაშრომში „ქართლ-კახეთის აღწერა“ ცალკეა გამოყოფილი გარეკახეთში მდებარე სოფლები, რომელთაგან საუფლისწულო მამულად მხოლოდ ყანდაური იხსენიება.

XVIII საუკუნის ბოლო მესამედში ყანდაურში დამკვიდრებულთა შორის იყო შიდა ქართლის სოფელ ძევერიდან გადმოსახლებული ჯავახიშვილების ოჯახიც, რომელშიც ცხოვრობდა სამი ძმა — ბერი, დიმიტრი (იგი-

ვე ტეტია) და ჯავახ გიორგის ძე ჯავახიშვილები. მათგან უფროსი ძმის შთამომავალი იყო პროფესორი გიორგი ჯავახიშვილი, რომლის გენეალოგიური ხაზი ასე გამოიყურება: ბერი (იხსენიება სოფლის მოსახლეობის 1804 წლის აღწერაში) — თევდორე (დაბადებული 1771 წელს, იხსენიება 1838 წლის აღწერაში) — სოლომონი (დაბ. 1805 წ.) — დავითი (დაბ. 1831 წ.) — სოლომონი (1883-1967) — ნიკოლოზი (1910-1942) — გიორგი (1941-2015).

მეორე მსოფლიო ომი უდიდეს ტრაგედიად იქცა სოლომონ ჯავახიშვილის ოჯახისთვისაც, რომელმაც ფრონტზე ორი ვაჟი დაკარგა. მათგან უფროსი — ნიკოლოზი იბრძოდა 1942 წლის დასაწყისში ჩამოყალიბებული 392-ე ქართული დივიზიის 802-ე მსროლელი პოლკის შემადგენლობაში და შემოდგომაზე ყაბარდო-ბალყარეთში დაიღუპა.

დაობლებული გიორგი ჯავახიშვილის აღზრდა დედასთან, სოფიო მიქელაშვილთან

მარცხნიდან: მიკოლა ბაჟანი, გიორგი ჯავახიშვილი, ვიტალი კოროტიჩი, ივან დრანი (1964 წ.)





ლადო გუდაიშვილის მიერ გიორგი ჯავახიშვილისთვის ნაჩუქარი ნახატები: „მერანი“ (ზემოთ) და „ბერიკა-ვირუკელა“ (ქვემოთ), — მხატვრის მინაწერით (3.II.1978 წ.)



ლ. გუდაიშვილი.
1978-30x21.
„მერიკა ვირუკელა“
ჩრ. ღმ.
ეს ქაღალდი წასაბო ღვიძლი კიბისა
ანი იტვირ სავაყაჟმა იტვირმა.
ლ. გუდაიშვილი - ი.
3.01.8.1978.
თბილისი

ერთად ითავეს პაპა სოლომონმა და ბებიამ — სოფიო გამყრელიძემ (რომელიც წარმოშობით რაჭის სოფელ სომიწოდან იყო), ასევე დიდმა ბებიამ — ლელა ავალიშვილ-გამყრელიძისამ.

სკოლაში გიორგი სანიმუშო მოსწავლედ ითვლებოდა, რაც შეუძნეველი არ დარჩენილა. ნიჭიერი და შრომისმოყვარე ყმაწვილის აღზრდასა და პიროვნებად ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი ლეონიძემ. მისი ღვაწლი ჯეროვნად დააფასა გიორგი ჯავახიშვილმა და აღზრდელის შემოქმედების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა.

გიორგი ჯავახიშვილი თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოღვაწეობდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მუშაობდა: ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტად, პროფესორად, გამგედ, ბოლოს კი უნივერსიტეტის პრორექტორად სამეცნიერო ნაწილში.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას, იკვლევდა ქართული ლიტერატურის, ფოლკლორისტიკისა და წიგნთმცოდნეობის საკითხებს. მონოგრაფიულად პირველმა შეისწავლა თელავის ლიტერატურული ცხოვრება XVII-XX საუკუნეებში, რომელიც მის სადოქტორო დისერტაციად იქცა. იგი ავტორია ასზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და მრავალი წიგნისა, რომელთა შორის არის: „წიგნი და გამომცემელი“ (1980), „ორი სახელის გახსენება“ (1982), „პროტოტიპების ლექსიკონი“ (1997), „თელავის ლიტერატურული ბოჰემა“ (1998), „გიორგი ლეონიძის თვალსაწიერი“ (1999), „შეხვედრები გიორგი ლეონიძესთან“ (2000), „ელენე დარიანის ლეგენდა და სინამდვილე“ (2001), „წერილების ოთხკარედი“ (2001), „გაზეთი „ზმა კახეთისა — 1912-1915“ (2002), „ფრანგულ-ქართული კულტურულ-ლიტერატურული შეხვედრები თელავში“ (2003), „ლექსისა და სიმღერის კვალდაკვალ“ (2004), „ქალთა განათლების კერები თელავში“ (2010), რომლის თანავტორია მისი მეუღლე მარინე გოგებაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის დამსახურებული პედაგოგი.

გიორგი ჯავახიშვილმა შეადგინა, შესავლით ან ბოლოსიტყვაობით გამოსცა: ნარკვევი „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ (1986), იოსებ მჭედლიშვილის ლექსების კრებული „ფერადი მძივი“ (1988), გალაკტიონ ტაბიძის ლექსების

კრებული „ალზიორა“ (1991), ალექსანდრე ორბელიანის ნარკვევი „თელავი“ (1997), გიორგი ლეონიძის „ნამცერევი“ (2000), თელავზე დაწერილი ლექსების კრებული სახელწოდებით: „ფილტვად აქვს კახეთს თელავი“ (2000), მათე ალბუთაშვილის ნაშრომი „პანკისის ხეობა. ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა“ (2005).

სამეცნიერო ხელმძღვანელობას უწევდა საგრანტო პროექტს „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემა“, რომლის ექვსი ტომი უკვე დაბეჭდილია.

გიორგი ჯავახიშვილმა კალამი მწერლობაშიც წარმატებით მოსინჯა. მისი მოთხრობები „ციდეულების“ საერთო სახელწოდებით გამოქვეყნდა მისივე საიუბილეო კრებულში. ამ მოთხრობებს პროფესორი თემურ ჯაგონიშვილი ასე აფასებდა: „გიორგი ჯავახიშვილს კარგად იცნობს ქართველი საზოგადოებრიობა, როგორც ლიტერატურათმცოდნესა და ფოლკლორისტს, მრავალი საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევის ავტორს. ამ მშვენიერი მოთხრობებით კი იგი მწერლის ამპლუაში მოგვევლინა, რაც მისი შემოქმედებითი ნიჭიერების კიდევ ერთ, უდავო დადასტურებას წამოადგენს... ავტორი ამ მინიატურების მოთხრობელიცაა, მათში ასახულ ამბავთა მონაწილე — პერსონაჟიც, მაგრამ ყველგან ხალხის სიბრძნით მოხიბლული და ამ ხიბლის მკითხველამდე მიმტანი. და ეს არ არის მხოლოდ მწერლური პოზიცია, რადგან იგი არა მარტო თავისი მიწიერი ცხოვრებით არის ამ მინიატურების სამყაროს ღვიძლი შვილი, არამედ გონებით — შემეცნებითი და ინტელექტუალური თვალსაზრისითაც“.


გიორგი ჯავახიშვილს შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ისეთ გამოჩენილ ქართველ და უცხოელ საზოგადო მოღვაწეებთან, მეცნიერებთან, მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებთან, როგორებიც იყვნენ: გიორგი ლეონიძე, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჭიაურელი, აკაკი გაწერელია, შოთა მესხია, გიორგი ჯიბლაძე, ნოდარ დუმბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი, ელგუჯა მადრაძე, მიხეილ ჩიქოვანი, დევიდ მარშალ ლენგი, მიკოლა ბაჟანი, ვიტალი კოროტიჩი, ივან დრაჩი და სხვები.

ბატონი გიორგის ბიბლიოთეკაში დაცულია ვეველა ქართველისთვის საყვარელი მხატვრუ-



ელენე ახვლედიანის სივრძის დროინდელი ჩანახატი „ზამთარი“. დაცულია გიორგი ჯავახიშვილის შთამომავლებთან

ავტოგრაფი წიგნზე „ნატვრის ხე“ (1965 წ.)



ლი ნაწარმოები, გიორგი ლეონიძის უკვდავი ქმნილება „ნატვრის ხე“, რომელსაც ავტორის წარწერა ამშვენებს: „ჩემს პატარა ძმობილს — გიორგი ჯავახიშვილს. გ. ლეონიძე. 10. IV. 65“.

ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისთვის გ. ჯავახიშვილი დააჯილდოვეს ღირსების ორდენით და წინანდლის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მისი სახელობის სტიპენდია დაწესდა გორის უნივერსიტეტში.

ამ ქვეყნიდან ვალმოხდილად წასულმა, მდიდარ შემოქმედებით მემკვიდრეობასთან ერთად, დატოვა საამაყო შთამომავლობაც — სამი შვილი და ოთხი შვილიშვილი. უფროსი ვაჟი ნიკო ჯავახიშვილი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ასული ლელა ჯავახიშვილი — ფილოლოგიის დოქტორია, ხოლო უმცროსი ვაჟი დავით ჯავახიშვილი ისტორიის დოქტორი და იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია.

უფალმა ნათელში ამყოფოს გიორგი ჯავახიშვილის სული და უდღერძელოს შთამომავლობა.

ლილა პაბრატიონ-პაპალიში



სკოლა მთაში

ემვისი მოსწავლე და რმა მასწავლებელი სოფელ ველევი ამაბრმებენ რაჭას

ქუთაისის სახელმწიფო არქივში მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ველევის საჯარო სკოლას 143 წლის ისტორია აქვს — პირველდაწყებითი სკოლა აქ 1873 წელს დაარსებულია. მოგვიანებით, ილია ჭავჭავაძის „ივერია“ (№166, 1887 წელი) იტყობინებოდა, რომ ერთკლასიანი სკოლები რაჭის 13 სოფელში, მათ შორის, ველევშიც ყოფილა...

ქვემო რაჭაში, ზღვის დონიდან 1200 მეტრის სიმაღლეზე და ამბროლაურიდან 18 კილომეტრში, ველევის თემი საწალიკის მთაზე მერცხლის ბუდესავით არის მიშენებული.

ახლომახლო სოფლებიდან ჩამომდინარე ნაკადულები სოფელ ველევთან რიონის მარცხენა შენაკადს, მდინარე ველეულას ქმნიან. მის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე გაშენებულია ველევის თემი და მასში შემავალი სოფლები: კვირიკეწმინდა, ბეთლევი, რომელსაც ადრე ბეთლევი ერქვა, შხივანა და ველევი.

თუმცა განსაკუთრებულ ხიბლს აძლევს უჩვეულო სანახაობა — ბუნებრივი მოვლენების შემოქმედებით სხვადასხვა ფორმადიებული გაბუნის კლდე; მის ყველაზე მაღალ ნაწილს მთქნარებამორეული ლომის მოხაზულობა აქვს, ერთი ნაწილი უგუმბათო ეკლესიას ჩამოჰგავს, სხვან — ნაბადმოსურულ, შხეზე სასაუბროდ გამოსულ მოხუცებსაც ამოიცნობს მახვილი თვალი.

დაცლილია ერთ დროს მჭიდროდ დასახლებული რაჭა. არც ველევის თემია გამონაკლისი. ზაფხულობით კი ამოდიან წინაპართა ნაფუძარზე მოაგარაკენი, მაგრამ მოსახლეობის სიმცირის გამო აღარც მაღაზია მუშაობს და არც სახელმწიფო ტრანსპორტი მოძრაობს, კვირა დღის გარდა. პარასკეობით, გვიან შემოდგომამდე, ტყიბულიდან ამოდიან საგაჭროდ ცოლ-ქმარი, ირინა და გურამ კუბლაშვილები. სოფელ შხივანის მკვიდრი, ყველას გაჭირვების ტალკვესი ემზარ სირამეც ხშირად მიდი-მოდის თბილისსა და რაჭას შორის თავისი სამარშრუტო ტაქსით, მაგრამ არ ჰყოფნით ეს ყველაფერი აქაურებს.

ცივი ამინდები ოქტომბრის ბოლოდან აპრილამდე გრძელდება. წლებულსაც დადგა თუ არა გიორგობისთვე, რაჭაში პირველი თოვლი მოვიდა. დილით გაღვიძებულებს წითელი ვარდები გადათეთრებული დახვდათ. თბილი დღეები მალევე დაუბრუნდათ, თუმცა დროებით...

მრავალძალის ტაძრისკენ მიმავალნი ვე-



ლევში, გაბუნის კლდესთან ქალს წამოვყე-
ეთ. მანქანა გაუჩერეთ. ჩვენი თანამგზავრი
ველევის სკოლის დირექტორი ეკა ჭიჭინაძე
აღმოჩნდა. პირველ ზარზეც მიგვიწვია და
გზამიც ბევრი რამ გვიამბო ყურადსაღები.

ეკა ჭიჭინაძე: ველევი ისტორიულ წყა-
როებში XVIII საუკუნიდან მოიხსენიება.
სოფლის წარმოშობა და სახელწოდება გა-
ბედულ, ღირსეულ იმერთ მეფეს, სოლომონ
I-ს უკავშირდება. როგორც რევაზ ჯაფარიძე
გვიამბობს, ტახტის მომავალი მემკვიდრე
რაჭაში, ხოტევის ციხის მფლობელ გიორგი
წულუკიძეს აღუზრდა. მამის, ალექსანდრე
მეფის გარდაცვალების დღესვე გელათში
მეფედ ნაკურთხი სოლომონი, იმავე წელს
დროებით გარიდებია შინაურ თუ გარეშე
მტრებს და ახალშერთულ დედოფალთან ერ-
თად, რაჭაში გახიზნულა. ჯერ საწალიკის
მთის ძირას მდებარე სოფელ სხარტალში,
მერე კი გამზრდელი წულუკიძეების კუთვნილ
ხოტევის ციხეში შეუფარებია თავი.

თქმულების თანახმად, ფიქრით დამძი-
მებული მეფე ერთ ლამაზ ველზე გადიოდა
თურმე ზოგჯერ გულის გადასაყოლებლად.
მერე გარშემო ტყე გაუჩეხავთ, სათვალთვალო

კოშკი აუგიათ და სოფელიც გაუშენებიათ.
როცა სოლომონის იმერეთში დაბრუნების
დრო დამდგარა, დანახებით უთქვამს, — ველე-
ვი, ამ ადგილს ველევიო! და დაარქვეს თურმე
სოფელს ველევი...

ველევის სკოლა და აზნაური კვიტაშვილები

ველევის თემის ცენტრს სასახლე ჰქვია
და დღეს აქ საჯარო სკოლის შენობა დგას.
ამ ადგილას თავად წულუკიძეს საზაფხულო
სამყოფელი ჰქონია, რომელიც მოგვიანებით
მაჩაბელზე გათხოვილი ქალიშვილისთვის
მიუცია მზითვში. ბევრი რამ შეუმატებია სა-
სახლისთვის მაჩაბელს. შემდეგ კი იგი სოფ-
ლის აზნაურ კვიტაშვილებისთვის გადაუცია.

1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრის შემ-
დეგ, რომელსაც სკოლის შენობაც შეეწირა,
ადდგენითი სამუშაოების დროს გამოიკვეთა
სასახლის ნანგრევები, მარნის ნაშთი, ათზე
მეტე განივზოლიანი ქვევრი, რომელიც მხო-
ლოდ ქართლისთვის არის დამახასიათებელი
და, როგორც ჩანს, მაჩაბლის წყალობით
მოხვდა რაჭაში. გამოჩნდა ეკლესიის ქვებიც.
ეტყობა, სასახლეს კარის ეკლესიაც ჰქონია.

აზნაურ კვიტაშვილების უღამაზეს ჩუ-
ქურთმებიანი აივნებით დამშვენებული სახ-



ხოტევის ციხე

ლები ველეკში დღემდე გულგრილს არავის ტოვებს.

XIX საუკუნის მიწურულს, როცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხსნიდა სკოლებს, ქრისტეფორე კვიციანი, ონში მომუშავე ქველმოქმედს კუთვნილი სახნავ-სათესი ადგილი ტბელაური სოფლისთვის დაუთმო. მისივე წყალობით, ამ ადგილას, ხის დათლილი მორებისგან აუშენებიათ ოროთახიანი დაწყებითი სკოლა, რომელსაც ჯარგვალა სკოლას ეძახდნენ. პირველი მასწავლებელი ყოფილა პეტრე მესხი, სასულიერო პირი კვიციანიდან — წიგნიერი, განათლებული, საქმეზე შეყვარებული ადამიანი, რომელსაც პეტრე უჩიტელს ეძახდნენ თურმე.

ახნაურ კვიციანის ჩუქურთმებიანი აივნით დამშვენებული სახლი



1923 წელს სამხედრო პირს, გიორგი ქრისტეფორეს ძე კვიციანი ახალი შვიდწლიანი სკოლის მშენებლობისთვის თავისი სასახლის ტერიტორია დაუთმო. ორი საკირე კირი, საკირეების მფლობელ ალექსანდრე კვიციანი დაუწვავს. მშენებლებად კი ტყეზულიდან დაუქირავებიათ თექვსმეტი ბერძენი ხელოსანი. მშენებლობა 1925 წელს დასრულებულა. სახურავად გვიანფოდალურ ხანაში აგებული და საბჭოთა პერიოდში უმოქმედოდ მდგარი წმინდა სამების ეკლესიის თუთიის სახურავი გამოუყენებიათ. წინააღმდეგობა გაუწევია ეკლესიასთან ახლოს მცხოვრებ ბესო გორგიაშვილს. მთაში გაუტყუებიათ, შენს სათიბებს ჯოგი ასევეაო. უკან დაბრუნებულს ეკლესია სახურავადილი დახვედრია. გაბრაზებულს ესლა უთქვამს, — თუ თქვენ ეგ „ცინკა“ გამოგადგებათ, მაგასაც ვნახავო. ასეც მომხდარა: ჯერ ხანძარი გაჩენილა, მერე სახურავი დაზიანებია, 1970 წლის აგვისტოში კი ისევ ხანძარი გასჩენია და ეკლესიის „ცინკაც“ მაშინ ჩამდნარა...

ახალი უმეობა

ეკა ჭიჭინაძე: — 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრამ, რომელმაც ყველაზე მეტად რაჭა დაზარალა, ჩვენი ჭირ-ვარამგამოვლილი სკოლის შენობაც დაანგრია. მიგრაციამ და-



სტუმარ-
მასპინძლები
და
მოსწავლეები
პირველი
ზარის
შემდეგ

ცალა რაჭის სოფლები, გამოკეტა სახლები. იკლო მოსწავლეთა რაოდენობამაც. თუ ადრე ველეულას ხეობის სოფლებს კიდევ ორი დაწყებითი — შხიანისა და კვირიკეშინდის სკოლა ემსახურებოდა, მიწისძვრამ ველევის ერთადერთ სკოლასაც შეუქმნა საფრთხე. გაკვეთილებს სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთში, მასწავლებელთა გადარჩენილ პატარა სახლსა და ეზოში გაშლილ კარავში ვაწყობდით.

„რკინის ქალამნები“ ჩავიცვი, ვინ აღარ დავიხმარეთ ველეველებმა და მართლაც, რვა თვის თავზე, იმავე, 1991 წლის 24 დეკემბერს შემოვედით ახალ, თუმც კი დაუმთავრებელ შენობაში... მოგვიანებით, ჩვენი სოფლიდან წასული არაერთი ადამიანი დაგვეხმარა და

დღეს სოფელში დგას სკოლის შენობა, რომელიც 54 მოსწავლესა გათვლილი.

არც ერთი პირველკლასელი...

ველევის სკოლა, რომელსაც ადრე საკლასო ოთახები არ ჰყოფინდა და პარალელური კლასებიც კი ჰყავდა, წლეულს, ახალ სასწავლო წელს მხოლოდ ექვსი მოსწავლით შეზღვა. ტრადიციულად, ზარს პირველკლასელები რეკავდნენ, მაგრამ რადგან პირველკლასელი არ ჰყავდათ, 5 წლის ღიზი გოგსაძე მოიყვანეს და ზარი დაარეკვინეს. მერე კი მოსწავლეებმა ქართველი პოეტების ლექსებით შეკრული კომპოზიციაც წარმოადგინეს.

რვა პედაგოგის ექვსივე მოსწავლე: და-ძმანი, ლუკა და ელენე გოგსაძეები, ლუკა და

ველევის საჯარო სკოლის შენობა





სოფელი ველევი

„ჩემი სკოლა“. ლუკა გოგსადის ნახატი. VI კლასი



„ია ია“. ანი არდიას ნახატი. IV კლასი



ანი არდიები, სალომე ვაჩაძე და ლაშა ბაღ-დასაროვი წარჩინებით სწავლობენ.

იუნესკოს მიერ, 2016 წლის რუსთაველის წლად გამოცხადების გამო, ამბროლაურის კულტურის სახლში მოწეობილ კონკურსში „ეკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“, ველე-ველმა მოსწავლეებმა პოემის ეპიზოდების ზეპირად ცოდნა წარმოაჩინეს. ჟიურის მოწვეულმა წევრმა, მომღერალმა გოჩა ჭაბუკაიძემ, მხატვრულ კითხვაში საუკეთესოდ ელენე გოგსაძე, ხოლო სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულად ლუკა არდია დაასახელა. ექვსივე ველეველმა მოსწავლემ საჩუქრად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და პოეტ ბადრი სულაძის ლექსების კრებული მიიღო. ახლახან ველეველმა პატარებმა ზიდიკარის კულტურის სახლში შეკრებილი საზოგადოებაც გააკვირვეს „ვეფხისტყაოსნის“ მთელი თავების ზეპირად ცოდნით.

რაიონულ და რესპუბლიკურ გამოფენებში მიღწეული წარმატებების შემდეგ, ლუკა და ელენე გოგსაძეებისა და ანი არდიას ნახატები საერთაშორისო გამოფენაზე გაგზავნეს საფრანგეთში. ჯილდოს სახით, ბავშვები სათაფლიის მღვიმის, ბაგრატიის, მოწამეთისა და გელათის ტაძრების მოსანახულებლად წაიყვანეს. პატარებმა ზაფხულში საწალიკე და ხიზათაც დალაშქრეს. კლდეკარიდან, რაჭის ქედის გადაღმა, ხელისგულივით გადაშლილი იმერეთიც დაინახეს და ახალი პეიზაჟებიც დახატეს.

რვა მასწავლებელი

სკოლას ორი მამაკაცი მასწავლებელი ჰყავს: იოსებ (სოსო) გოგსაძე და გივი (გია) ენუქიძე. გენერლებს ეძახიან სოფელში. სოსო ბიოლოგიასა და სპორტს, გია — ფიზიკა-მათემატიკას ასწავლის, ქიმიას — ლალი ბიბილაშვილი. დები მაცაბურიძეები სერტიფიცირებული მასწავლებლები არიან. ირმა მშობლიური ენისა და ლიტერატურის, თეონა კი ისტორია-გეოგრაფიის პედაგოგია. ბევრი ისტორიად ქცეული ნივთი შეუგროვებით და სკოლაში პატარა მუზეუმშიც მოუწყვიტო. თემის ეკლესია-მონასტრების ისტორიაც შეუსწავლიათ მოსწავლეებთან ერთად და ტოპონიმებიც შეუგროვებით. ლენა გოგსაძე რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. გორიდან სამუშაოდ ჩამოსული, აქაურების რძალი გამხდარა და 35 წელიწადია ველევის სკოლაშია.

თაია მამარდაშვილმა კი წლებულს პირველად შეადო ველევის საჯარო სკოლის კარი. ქუთაისიდან ამოსულა რაჭაში. მაკა და ტარიელ გოგსაძეების სამშვილიან ოჯახში იცხოვრებს. პროგრამით „ასწავლო საქართველოსთვის“ იგი ველეველი მოსწავლეების ოცნებასაც აასრულებს — ინგლისურ ენას შეასწავლის მათ.

მართალია, ცოტანი არიან, მაგრამ ველეველი მოსწავლეები საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის მიერ გამოცხადებული არაერთი სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის გამარჯვებულნი არიან. 2010 წელს ველევის საჯარო სკოლა ქვეყნის იმ 27 სკოლას შორის აღმოჩნდა, აღიარებასთან ერთად, ფულადი ჯილდო, 4.000 ლარიც რომ დაიმსახურა. მერვე მასწავლებელი კი თავად სკოლის დირექტორია. სერტიფიცირებული ფილოლოგი ეკა ჭიჭინაძე შვილიშვილებსა და მოსწავლეებთან ერთად საახალწლო დღესასწაულისთვის ემზადება...

„ჩემი სოფელი ველევი მაღალ მთაშია, ადამიანებისგან მიტოვებული, დასუსტებული და ძალაგამოლეული“, — გულისტკივილით წერდა წლების წინ მერვეკლასელი დათო გოგსაძე.

ახლაც ასეა.

ზაფხულობით თუ ამოაკითხავენ მამაპაპისეულ სახლ-კარს რაჭველები. მრევლიც აღარ ჰყავს ველევის წმინდა სამებისა და გორისტევის წმინდა გიორგის, შხივანის მაცხოვრისა და ბეთლემის ღვთისმშობლის შობის სახელობის ისედაც ნანგრევებად ქცეულ ტაძრებს...

აქაურების იმედად ახლახან მიღებული „მთის კანონი“ ქცეულა. ნოემბრის ბოლოს ამბროლაურში აეროდრომიც გაიხსნა და უგზობობის პრობლემას ეს მეტ-ნაკლებად შეამცირებს.

ვინ იცის, იქნებ ახალ სასწავლო წელს ველევის საჯარო სკოლის მოსწავლეთა რიცხვმაც იმატოს. ახლა კი ექვსი მოსწავლე საახალწლო ზემისთვის რვა მასწავლებელთან ერთად ემზადება.

ბედნიერი ახალი წელი დაგებდებოდეთ, რაჭველებო!



კვითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“

დათოვლილი ვარდები



წინასახალწლო „საშხადისი“



თამარ კახანაძე

ისტორიული აგებები ქველი ჟურნალ- გაზეთებიდან

გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთებიდან. ყოველკვირეულ გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1877 წლის 3 მარტს დაიბეჭდა თბილისში. „ივერიის“ დამაარსებელი და პირველი რედაქტორი იყო ილია ჭავჭავაძე. თანარედაქტორი იყო სერგეი მესხი. ქართული პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი „დროება“ 1866 წლის 4 მარტს თბილისში დაარსდა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ შტაბად, ეროვნული კულტურის ცენტრად გადაიქცა. მისი პირველი რედაქტორი იყო გიორგი წერეთელი. საცენზურო წესდების დარღვევის გამო, დახურეს 1885 წლის 16 სექტემბერს.

საახალწლოდ

ახალწლის მეკვლეობა, დაბეჭდა უფრო ძველი ჩვეულებაა, ვიდრე თვით ახალწლის უქმე.

დღეს გერმანული შობის ხე შემოსულა ფერადი ვარსკვლავებით და სანთლებით მორთული, რომელიც ვიდრე ნათლიდებამდე ართობს ჩვენს მოზარდ თაობას. ძველად კი ასე როდი იყო.

უეჭველია, ახალწლის დღესასწაული უნდა შემოსულიყვეს რომითგან, რადგან გურიაში ეძახიან კალანდას, რაც მოგვაგონებს იმავე მნიშვნელობიან კალენდრე ლათინურ სიტყვასა.

იმერეთში ახალწლისთვის ამზადებენ ჩიჩილაკს, ერთგვარ ჩილიკა ჯოხს, შტოებ დასხმულს, რომელსაც როგორც ღერი, ისე შტოები გარანდული აქვს ასე, რომ ზოგჯერ მეტად წვრილი, ნახეწი ზედვე აქვთ თმასავით. ჩიჩილაკი, ფორთოხლებით, ვაშლებით, კამფეთებით მორთული და აბრეშუმის ძაფ-შემოვლებული, ხელით დააქვთ და ისე ულოცავენ ერთმანეთს ახალწელიწადს.

მაგრამ ყოველ ოჯახს თავის მეკვლე ჰყავს, ზოგჯერ მეკვლეობს თვით უფროსი ოჯახისა. დილა ადრიან მეკვლე მხარზე ხურჯინს გადაიდებს გაკეთებული ინდაურით,



ჩიჩილაკს დღესაც ისე ამზადებენ, როგორც 100 წლის წინ

ქათმებით და სხვა სანოვავით საესეს, ხელში დაიჭერს მორთულ-მოკაზმულ ჩიჩილაკს, მიღის მისალოცად და კარის გაღებას სთხოვს დამხდურსა. ჯერ გაიმართება ლაპარაკი მეკვლესა და დამხდურს შუა. დამხდური სამჯერ ჰკითხავს, რა მოგაქვსო. ყოველი კითხვის შემდეგ მეკვლე მოუყვება ლექსად, როგორ უნდა მილოცვა და დამხდური მხოლოდ მერე გაუღებს კარს.

მეკვლე:

კარი გამიღე!

დამხდური:

რა მოგაქვს?

მეკვლე:

მომაქვს წყალობა წმინდა ბასილის,

მომაქვს მისივე ლოცვა-კურთხევა

და ვითხოვ მისგან, რათა აცცილდეს

უბედურება, უმართლო წყევა.

მომაქვს მშვიდობა და სიტკბოება,

კაცთა სიცოცხლე, ბედნიერება;

მომაქვს, კაცთათვის რაც საჭიროა,

ამა სოფლისა ყველა დიდება.

საჭირო არის და კიდევც მომაქვს

აწ განათლება ვეროპიისა,

რიგი და წესი შვეიცარიის,

ძმობა, ერთობა იტალიისა.



საქმის და შრომის მოყვარეობა
და ოსტატობა, ოქრო ანგლისა;
მომაქვს ურმობით და ჯორკიდებით
მარგალიტები, თვლები ლალისა.
კარი გამიღე!!

დამხდური:
რა მოგაქვს?

მეკვლე:
თასით ღვინის სმა ჭავჭავაძისა,
პური და ღვინო კახელებისა,
ზმა და მოლხენა გუგუნავისა,
ცეკვა, დაირა თბილელებისა.
ლოდი და ზურნა, თარი, ნაღარა
და დამღერება სპარსელებისა,
იმერულ, მგერულ-გურულთ ვაჭრობა,
მასთან სიღინჯე ქართველებისა.
ეხლა ღმერთსა ვსთხოვ მე, ბატონებო
თქვენს სიცოცხლესა ძვირფასს მარადა,
მაღალმა ღმერთმა თქვენ გაგიოთნოს
სუყველას ასი წლისა კალანდა.

ცხადია, ლექსი აღბეჭდილია ახალი
ცხოვრების გაულენითაც, მაგრამ ესეც საინ-
ტერესო უნდა იყოს ხალხის ზნე-ჩვეულების
და სიტყვიერების მკვლევარისათვის.

პეტრე შირიანაშვილი

„სახალხო ფურცელი“, 1917 წ. №76

* * *

ახალ-წლის ღამეს ჯავახეთში

დღესაც დაღამდა, ბიჭებო,
ზვალე სხვა წელი დგებო;
ცომი მოზილეთ, ქალებო
და მოამზადეთ ტაბლაო ¹⁾.
დააწყეთ ერთი „ბასილი“ ²⁾
და ერთიც წლისა პურია:
„ბასილი“ წმინდა ბასილსა;
პური-კი ჩვენი მხვედრია.
„ხარისა ქელიც“ ³⁾ დააცხეთ
და ორიოდე კოკორა ⁴⁾;
ცხრილშიაც ქერი ჩაყარეთ,
შემოვიყვანოთ ნიკორა.
წყვილი სანთელიც დაჰქენით,
მივაკრათ ორთავე რქებსა,—
ჭირიმე იმის ქელისა,—
ვნახოთ სად მიანათებსა!
ქალო, ცეცხლს შემა დაადე,—
აგუგუნ-ალაპლაპდესა;
ცეცხლს ახლო მაშა დააგდე,
დაკრა ჩვენს მუგუზალესა:
„ამდენი ცხვარი და ძროხა,
ამდენი ცხენი, ფულიო,
რამდენიც ემა შეშასა
სცვიოდეს ნაპერწკალიო.
ბიჭებო, როცა აღგებით,
ნუ ივლით ფეხ-შიშველიო;
თორე რა მიდგებ-მოდგებით,
შეგყვით მიწა-მწველიო ⁵⁾
ყიყლიყო არ უნდ მომესმეს,
ისე მოვიდო „უნძრახი“ ⁶⁾,
რომ არავისგან მომესმეს
ზვალე სიცილი და ძრახი.
ქალო, ვიდრე მე მოვიდე,
ზდე ტაბაკს ტყლაპ-კაკალიო:
ცხვარ-ძროხას ხორჩით მივადგე,
არ ეცეთ იმათ თვალიო.
შემდეგ ავიდებ მე ხონჩას,
სანთლებით გაკაშკაშებულს,
სამჯერ მოუვლი ერლო-ბანს,
ბანით ჩავაგდებ წლისა პურს.
რძალო, ადევნე მას თვალი:
ვნახოთ რა პირზედ დადგება.—
ბედი ან უბედურება
ამ წელს მისგან გაიგება.
თქვენზეც მოვიცილი, ხიზანო ⁷⁾
„ასე ტკბილამთაც დაბერდით!“
შენ ნუ მიმტყუნებ, იზანო, ⁸⁾
ვინ დავაბერო წინ ალვით;



(ზემოთ) ექსპონატი საირხეს განძიდან, (ქვემოთ) ღვინის ჭურჭელი ხარის გამოსახულებით თრელის სამაროვნის სამეფო სამარხიდან ძვ.წ. VIII-VII სს. ბოსელი იყო შინაური ცხოველის განაყოფიერების მფარველი ღვთაება, ბოსლობა კი მის კულტთან დაკავშირებული მოძრავი ხალხური დღეობა. იხდიდნენ იანვარსა ან თებერვალში... ქვემო რაჭაში ლობიოსგულიან პურებს აცხობდნენ, რომლებიც შეღამებისას ბოსელში შექონდათ, ხარ-ძროხას ტანზე კვერცხს გადაუსვამდნენ, ყველა შესვამდა ჭიქა ღვინოს და საქონელს დალოცავდა („ფიქრობენ, რომ ბოსლობაში ასახულ ღვთაებას თავდაპირველად ასახიერებდა ხარი, რომელიც ქრისტიანულ პანთეონში წმინდა ბასილად პერსონიფიცირდება“)



სახლო, აგცილდეს მონება
თათრისა, მაჰმად რჯულისა;
უფალო, მოგვეც გონება
შენახვის ქრისტეს რჯულისა!

- 1) ტაბლა, ხორაგით საყსე ხონჩა.
- 2) ბასილი, პურია ადამიანის სახისა. ამ პურს წმ. ბასილის დღეობას აცხობენ.
- 3) ხარის ქედის მსგავსი პური.
- 4) კოკორა, კვერია.
- 5) მიწა-მწვეელი — მუწუკია ფეხის გულზე.
- 6) უნძრახი, ისე ადრე მოტანილი წყალი, რომ მომტანი არავის დალაპარაკებოდეს.
- 7) ხიზანს ჯავახეთში ოჯახობას ეტყვიან.
- 8) იზანი, ჭკვა-გონებაა.

„ივერია“, 1893წ. №2

* * *

ახალი ფილიწადი

და ბოსლობა რაჭაში

აი იწურება ძველი წელიწადი. უკანასკნელი დღე დაილია და დაბნელდა, რომ ზვალ ახალ-წელიწადად გათენდეს და გაბრწყინდეს. რაჭის დაბა-სოფლებში, მკვიდრნი უჩვეულებრივო ფუსფუსს შეუდგნენ. დედაკაცები აცხობენ ბასილას, ხაჭაპურებს, ქაღებს, ჰკანზმავენ სტოლს (სუფრას), ვაჟები სახლის კარზე აყუდებენ გალამაზებულ (გაკაფულ) რცხილას ტოტებს, ამზადებენ მარხილებს და ეხლა ყველა ეს ახლის წლის თადარიგია, ყველას ჰსურს, რომ პირი არ შეირცხვინოს მომავლის წლის წინაშე.

ქაღებს ასე აცხობენ: ღორის ქონში ურევენ ფქვილს, მერე ამ შეზავებულ ფქვილს გათხლებულ ცომში სდებენ და აყალო მიწის კვებზე აცხობენ ხაჭაპურს: ხაჭოს ურევენ კვერცხში, ცომში სდებენ და აცხობენ. აცხობენ აგრეთვე ნალის, ლურსმის და სხვა ამ გვარს პურებს. ბასილა კაცსა ჰგავს, თვალებში ნიგვზების ლებანი ურჭვია. სტოლს ჰკანზმავენ ბასილით, ხაჭაპურებით, ფრთხილის (თხილი) კუკურებით, ბჭყორით (ეკლის ფოთლები), დედოფლის-ხელით (წიფლის ღეროზედ ამოდის სოკოსავით, ხელის ტოლად). ყველა ამას ამშვენებს ღორის თავი, შუბლზე ჯვარ-გამოყვანილი.

შეკანძმულ სტოლს არ ალაგებენ ერთ-კვირამდის. ალაგებისას-კი დედოფლის ხელსა და ფრთხილის კუკურს დასწვენ ხოლმე.

რცხილის გალამაზებული ხეც კარზედ აყუდია ნათელი-ღებამდის. სიმბოლური

მნიშვნელობა ხისა არის შემდეგი: რამდენიც ხეზედ კუკურია, იმდენი წერი (მნა) მოგვივიდეს ახალ წელსაო. ნათელილების შემდეგ დასჭრიან ამ ხეს დასწვენ.

მარხილს წინა დღითვე ამზადებენ. ნაკოდ (დაპობილ) შეშას ზედ დაუდებენ, ამაზედ დააწვობენ ფრთხილის კუკურს, ბჰყორს და დედოფლის ხელს. დღით ვინც ადრე გაიღვიძებს, ადგება, ბასილას გაიტანს, მივა მარხილთან, ბჰყორს, ფრთხილის კუკურებს მოჰგლეჯს, ბასილაზე დააწვობს და უკანვე დაბრუნდება. შინ შემოსვლისას იტყვის: „შემოვლდი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, მოვიდა ახალი წელიწადი შეძენისა, მომგობისა; ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა; ბრაჰალს ამ დღეს დაესწართ ცოლით, შვილით“. შემოვა თუ არა ბასილას სტოლზე დასდებს, მერე მობრუნდება და დიდსა და პატარას რიგზედ პირში აბაზიანს გამოავლებს. დიასახლისები-კი თავის ქმარ-შვილს ჩურჩხელებს დაურიგებენ ამ სიტყვებით: „ბრაჰალს ამ დღეს დეესწარ“.

წირვის მოსმენის შემდეგ სუფრაზე დასხდებიან და მხიარულობენ. უცხო კაცს ამ დღეს სახლში არ შეიყვანენ. თუ ვინმე უცხო კაცი სტუმრად მივიდა, არ უნდა დაიძახოს, არამედ კარები დააბრახუნოს.

ახალი წლის ორის კვირის შემდეგ ბოსლობა იციან. ამ დღისთვის გამოაცხობენ ხაჭაპურს, ქადებს. მერე ბავშვები ამ პურებსა და კვერცხს წაიღებენ ბოსელში, კვერცხს გადაავლებენ ყველა საქონელს და შემდეგ ერთი ბავშვთაგანი ამ კვერცხს დამალავს ბოსელშივე. მერე პირჯვარს გადიწერენ, ხაჭაპურებს გასტეხენ, ჩაილუკებებიან, თითო სტაქანს ღვინოს დალევენ და თანაც იტყვიან: „ღმერთო, საქონელი გაგვიმრავლე“. საქონელს რქებზე ღორის ქონს წაუსმენ და შინ დაბრუნდებიან და მიმავალნი იძახიან: „ბოსელ, ბოსელ!“ სახლის კარები დაკეტილი დახდებათ. შიგ დედაკაცია. გარედგან ეუბნებიან:

— კარა კირისა!

— კარი უღლისა! ხარებმა რა შემოთვალეს?

— უღლები დაამზადეთ, ჩვენ მზათა ვართო. კარი კირისა!

— ზროხებმა რა შემოთვალეს?

— სახბორე დაამზადეთ, ჩვენ მზათა ვართო. კარი კირისა.

— კარა უღლისა. ღორებმა რა შემოთვალეს?

— საგოჭე დაამზადეთ, ჩვენ მზათა ვართო. კარი კირისა!

— კარა უღლისა! ცხენებმა რა შემოთვალეს?

საკვიცე დაამზადეთ, ჩვენ მზათა ვართო!

კარები გაიღება. შევლენ. დედაკაცს ჯამში სიმინდის მოხელილი ქაბო უჭირავს. აიღებს ამ გუნდას და კარების კედელს სტყორცნის ისე მაგრად, რომ წინწკლები გასცვივა. წინწკლები თუ ბავშვებს მოხვდა კარგაო. შემდეგ სუფრაზე დასხდებიან. ჭამის წინად, ჩვეულებისამებრ, პატარძალი ყველას რიგზედ ხელებს დააბანინებს. გაზაფხულზე, ბოსლიდგან საქონლის გამოყვანის დროს, ბოსლის კარის დირეზედ ზემოხსენებულ დამალულ კვერცხს დასდებენ და მერე საქონელს გამოუშვებენ. თუ საქონელი ისე გამოვიდა, რომ კვერცხს ფეხი არ წამოჰკრა და არ გატეხა, იმ წელიწადს საქონელიც არ დაზიანდება, მთლიანად შერჩება პატრონს, პირიქით, თუ გასტეხეს, საქონელიც დაზიანდებაო.

ესომ

„ივერია“, 1890წ. №2

მოამზადა თუა ცაგურიშვილმა

მოსე ჯანაშვილი — ქართველი ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. სწორედ მისი ფსევდონიმი გახლდათ „ესომ“




ბებრივი

უაფხურო უძლიერო იდეები



ილია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი



მღვდელ-მონაზონი ილია.
1960 წ.

4-ტომეული

19 დეკემბრიდან

თვეში ერთხელ გაზეთ
„კვირის კალიტრასთან“ ერთად

წიგნის
სპეციალური ფასი
18,50 ლ
გაზეთთან ერთად
20 ლ

**უწინდესის განცდები, ტკივილი,
სიხარული, რეალური ამბები.
დოკუმენტები და ფოტოები პირადი
არქივიდან. ეს საქართველოს
შეულამბეგებელი ისტორიაა!**

ტომი I

იკითხეთ წიგნის მალაჩიებში და პრესის გავრცელების ჯიხურებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

 Palitra.L.Publishing www.palitra.ge